

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა:  
ამერიკისმცოდნეობა

მარიამ ხატიაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები  
საქართველოში 1980-იან წლებში

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი ელენე მექმარიაშვილი  
იურისპრუდენციის დოქტორი, პროფესორი ფილიპ სიბი

თბილისი

2019

## აბსტრაქტი

სადოქტორო დისერტაციის კვლევის ობიექტს წარმოადგენს 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საქართველოში.

კვლევის მთავარი ამოცანებია: 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების გაანალიზება; 1980-იან წლებში შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების გარკვევა საბჭოთა კავშირისა და, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ; ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვის შეფასება და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება პირველად წყაროებს, მათ შორის, საარქივო დოკუმენტებს, სოციოლოგიური კვლევის ანგარიშებს, ინტერვიუებს; ასევე სახალხო დიპლომატიის ამერიკელი მკვლევრების ნაშრომებს, კერძოდ, მონოგრაფიებს, სტატიებსა და სხვა ხასიათის ნაშრომებს.

აღნიშნული კვლევა ინტერდისციპლინურია. იგი აერთიანებს ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს. კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა ეფუძნება ამ მეცნიერებებში აპრობირებულ სხვადასხვა – როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის – მეთოდს.

ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები 1980-იან წლებში, შესწავლილია 1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები, გაანალიზებულია ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა საქართველოში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ და შემუშავებულია რეკომენდაციები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილი ძალის უკუგდების კონტექსტში.

კვლევის შედეგად გამოტანილია შემდეგი მთავარი დასკვნები:

1. სახალხო დიპლომატია რეიგანისთვის იმ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც, დიალოგის გზით, ბიპოლარულ სამყაროში, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული განსხვავება მშვიდობიანი

მოლაპარაკებების გზით უნდა დაერეგულირებინა.

2. რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებდა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 1981-1984 წლებში რეიგანის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მიერ გავრცელებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გასანეიტრალებლად. ამასთანავე, 1985 წლიდან, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ახალი ეტაპი დაიწყო.

3. 1980-იან წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები მოიცავდა ამერიკულ და ქართველ ხალხებს შორის კავშირის დამყარებასა და გაღრმავებას, რაც, მათ პირდაპირი დიალოგის, ამერიკული კულტურისა და საზოგადოების კომპლექსური გააზრების, საბჭოთა ყოფასთან მისი შედარების, რეალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევდა და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პროპაგანდასთან გასამკლავებლად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდა.

4. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველ ათწლეულში გააქტიურებული რუსეთის რბილი ძალა, ამერიკული რბილი ძალისგან განსხვავებით, საქართველოს მიზნის – ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის – პირდაპირ, აშკარა გამოწვევას წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, ამერიკული სახალხო დიპლომატია ეფუძნება ორმხრივად ურთიერთხელსაყრელ პრინციპს და ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების – მათ შორის, სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიმართულებით – მოგვარებაში გვებმარება. თანამედროვე საქართველოში, რუსეთის რბილი ძალისგან განსხვავებით, ამერიკული რბილი ძალის ინსტრუმენტები ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ არ გამოიყენება.

5. 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილებამ გამოკვეთა იმის აუცილებლობა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებულ რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად საქართველომ საგარეო პოლიტიკის კურსში უნდა გადადგას კომპლექსური, ფრთხილი, კოორდინირებული, ქმედითი ნაბიჯები და სახალხო დიპლომატია მის შემადგენელ ნაწილად იქცეს.

ამასთანავე, ეროვნული უსაფრთხოების ქმედით ინსტრუმენტად სახალხო დიპლომატიის გამოყენება პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი სამი თავისგან შედგება. თითოეული თავი დაყოფილია ორ ქვეთავად. ნაშრომს ახლავს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესავალი, დასკვნა და 344 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

## Abstract

The doctoral dissertation aims to analyze the U.S. public diplomacy objectives in Georgia in the 1980s.

The research goals include the exploration of the issues of the U.S. public diplomacy and national security in the 1980s, examination of the U.S. public diplomacy objectives toward the Soviet Union, specifically, toward Georgia and evaluation of Russia's vision of American soft power in Georgia after the Russo-Georgian War of 2008. Based on the U.S. public diplomacy lessons from the 1980s, this dissertation supports recommendations to modern Georgia's foreign policy regarding countering Russia's soft power.

The research data in this dissertation is mainly drawn from the primary sources – including but not limited to the archival documents, reports, and interviews – and secondary sources – works of American public diplomacy scholars, including monographs and articles.

The research is interdisciplinary, as it covers the fields from the humanities, social and political sciences. Hence the research methodology is based on the combination of qualitative and quantitative methods from these fields.

The dissertation analyzes the 1980s' U.S. public diplomacy and national security issues; explores the 1980s' U.S. public diplomacy objectives in the Soviet Union, specifically, in Georgia; evaluates Russia's vision of American soft power in Georgia after the Russo-Georgian War of 2008 and supports recommendations to modern Georgia's foreign policy.

The main research findings show, that:

1. To Ronald Reagan, public diplomacy was one of the means to solve problems peacefully and to resolve existing differences through negotiations between the U.S. and the Soviet Union in a bipolar world;
2. The national security interests of the Ronald Reagan administration included active use of public diplomacy. Research results show that in 1981-1984 Reagan administration actively worked to counter Soviet propaganda and disinformation in the world. From a public diplomacy perspective, after 1985 the new stage between the United States and the Soviet Union started;
3. The U.S. public diplomacy objectives in Georgia in the 1980s included building bridges and developing relations between American and Georgian people. The U.S.

public diplomacy in the 1980s enabled Georgians to have a direct dialogue with Americans. It helped them to fully comprehend and compare the U.S. culture and society with the Soviet ones. Through the U.S. public diplomacy programs Georgians got a real life experience in the 1980s. It was an effective tool to handle Soviet propaganda;

4. In the first decade after the Russo-Georgian War of 2008 Russia's soft power, unlikely to the U.S. soft power, represents a clear challenge to Georgia's goal of EU-Atlantic integration. Conversely to Russia's soft power, American public diplomacy is based on the mutually beneficial principle and helps Georgia to manage important and relevant issues, i.e. strengthening strategic communication and developing media literacy. In modern Georgia the U.S. soft power instruments are constructive to Georgia's national interests;

5. The 1980s U.S. public diplomacy lessons show the necessity for Georgia to make complex, coordinated and effectual steps in the field of foreign policy to counter Russia's soft power. Georgia should make public diplomacy as a part of its foreign policy. The use of public diplomacy as a constructive instrument of national security will also bring positive changes;

The general part of this dissertation consists of three chapters. Each chapter is divided into two subchapters. It has abstract in Georgian and in English, introduction, conclusion and a bibliography, which includes 344 sources.

## შინაარსი

აბსტრაქტი.....	II
Abstract.....	V
თვალსაჩინოების ჩამონათვალი .....	VIII
აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი .....	VIII
შესავალი.....	1
თავი 1: ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები 1980-იან წლებში.....	27
1.1. სახალხო დიპლომატია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი .....	27
1.2. სახალხო დიპლომატია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინსტრუმენტი.....	53
თავი 2: სახალხო დიპლომატია და ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1980-იან წლებში .....	75
2.1. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია და საბჭოთა კავშირი 1980-იან წლებში.....	75
2.2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოში 1980-იან წლებში .....	88
თავი 3. ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის.....	109
3.1. ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და შეერთებული შტატებისა და რუსეთის რბილი ძალის შეფასება საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. 109	
3.2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში .....	135
დასკვნა.....	144
ბიბლიოგრაფია.....	154

## თვალსაჩინოების ჩამონათვალი

სქემა I. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერის ცვლილება 2008-2018 წლებში – გვ. 130

### აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი

CPD – Center on Public Diplomacy, სახალხო დიპლომატიის ცენტრი

FF – Friendship Force, მეგობრობის ლაშქარი

IRI – International Republican Institute, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი

MDF – Media Development Foundation, მედიის განვითარების ფონდი

NDI – National Democratic Institute, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი

NSDD – National Security Decision Directive, ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივა

NSS – National Security Strategy, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია

USIA – United States Information Agency, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო

USICA – U.S. International Communication Agency, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო კომუნიკაციის სააგენტო

U.S. ACPD – U.S. Advisory Commission on Public Diplomacy, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა საბჭოს

VOA – Voice of America, ამერიკის ხმა



## შესავალი

საკვლევი პრობლემა და აქტუალობა. სახალხო დიპლომატია, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევის ახალი სფერო, დინამიურად ვითარდება. მას საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა. მიმაჩნია, რომ სახალხო დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისთვის კომუნიკაციის მშობლიური სისტემაა. მსოფლიოში სახალხო დიპლომატიით „საუბარი“ და უცხო ქვეყნების საზოგადოებებთან კომუნიკაციის დამყარება ყველაზე კარგად შეერთებულ შტატებს შეუძლია.

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო, საინფორმაციო, საგარეოპოლიტიკური და დიპლომატიური მიზნების მისაღწევად, დემოკრატიული ქვეყნები სულ უფრო მეტად იყენებენ რბილი ძალის რესურსებზე დაფუძნებული სახალხო დიპლომატიის ელემენტებს, რაც მათ კეთილგანწყობის მოპოვებასა და პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებაში ეხმარება. დღევანდელ მსოფლიოში, კერძოდ საქართველოში, რუსეთის მზარდი აგრესიისა და მის მიერ წარმოებული საინფორმაციო ანუ ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ ფონზე, ჩვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიაში რბილი ძალისა და სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტების განხილვა-გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სახალხო დიპლომატიის გზით საგარეო პოლიტიკის სფეროში არსებულ სხვადასხვა სახის გამოწვევასთან გამკლავება შეიძლება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ მიმართულ რუსულ პროპაგანდასთან, დეზინფორმაციასა და მზარდ აგრესიასთან დაპირისპირება სახალხო დიპლომატიის მახასიათებლებისა და რბილი ძალის რესურსების უწყვეტი და ფრთხილი გამოყენებით შეიძლება.

სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირთან მიმართებით აქტიურად გამოიყენა. საგარეო ურთიერთობის სფეროში ამგვარმა მიდგომამ შეერთებულ შტატებს სხვადასხვა მიმართულებით წარმატება მოუტანა. საბჭოთა კავშირის პროპაგანდასთან და დეზინფორმაციულ კამპანიასთან შესაბრძოლებლად შტატებმა ქმედითი ნაბიჯები შეიმუშავა. საბოლოოდ, ცივი ომის პერიოდის ამერიკული სახალხო დიპლომატიის

ღონისძიებებმა საბჭოთა კავშირის სისტემასთან იდეოლოგიური დაპირისპირება და მისი ნგრევა შეძლო. ცივი ომის დასრულების შემდეგ სახალხო დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში საერთაშორისო ურთიერთობის ახალი გამოწვევებისა და მახასიათებლების შესაბამისად იცვლება. თანამედროვე სამყაროში კი საბჭოთა კავშირის პირდაპირი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში კვლავ ცდილობს იმ პროპაგანდული და დეზინფორმაციული ტექნიკის, მიდგომების გამოყენებას, რომელსაც ის ცივი ომის პერიოდში თავის რესპუბლიკებში იყენებდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების კვლევას ჩვენი ქვეყნისთვის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სადოქტორო ნაშრომის თემის აქტუალობასა და მნიშვნელობას რამდენიმე საკითხი განსაზღვრავს. უპირველეს ყოვლისა, **აქტუალობა განპირობებულია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და ურთიერთობის დინამიური გაღრმავების პროცესით.** თანამედროვე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებასა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცება წარმოადგენს. როგორც 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაშია აღნიშნული, შეერთებულ შტატებთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დეოკუპაციის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისა და ჩვენს ქვეყანაში ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაციისა და მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის კუთხით (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 10). ამასთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მიზანს ამ სტრატეგიული პარტნიორობის, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა წარმოადგენს. გარდა ამისა, შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის ორგანოების საგარეო საქმიანობისა და კავშირურთიერთობის კოორდინაციის ხელშეწყობა საგარეო პოლიტიკის სფეროს მიმართულებით შეერთებული შტატების შესწავლის აუცილებლობას გვკარნახობს.

მეორე მხრივ, საკვლევი საკითხის აქტუალობას ამერიკისმცოდნეობის, როგორც აკადემიური დარგის, მიმართ ქართულ აკადემიურ და არაკადემიურ სივრცეში მზარდი ინტერესი განაპირობებს. ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სფეროს გამოცდილების კვლევა, ცოდნა, გამოწვევების, პრობლემებისა თუ წარმატებული ისტორიების ობიექტური ანალიზი ჩვენს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისა და პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას მოგვცემს. დღესდღეობით, საქართველოში მუდმივად იზრდება ინტერესი ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ. ამასთანავე, როდესაც სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები უფრო ხშირად საუბრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობის თვისობრივ გაღრმავებაზე, აუცილებელია შეიქმნას სამეცნიერო ნაშრომები, რომლებსაც თეორიული შედეგების გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება.

მესამეც, თემის აქტუალობას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროების ერთ-ერთ გამოწვევასთან – საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების საპირისპიროდ მიმართულ რუსეთის რბილი ძალის აქტივობებსა და პროპაგანდასთან – დაპირისპირების, შეწინააღმდეგებისა და გამკლავების აუცილებლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ისტორიაში სხვადასხვა პროპაგანდასთან გამკლავებისა და მასთან ბრძოლის ყველაზე სტრუქტურული, კოორდინირებული, ეფექტური და წარმატებული გამოცდილება აქვს. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მესვეურები ცივი ომის პერიოდში, რბილი ძალის საშუალებით, სახალხო დიპლომატიის აქტივობებით უპირისპირდებოდნენ საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პროპაგანდაულ, დეზინფორმაციულ ღონისძიებებს. რუსეთის მხრიდან ყალბი სიახლეების (ე.წ. ფეიკნიუსი)<sup>1</sup> დისკურსში გავრცელებულ ე.წ. საინფორმაციო გადაცდომებთან (Information Disorder) – როგორცაა, მაგალითად,

---

<sup>1</sup> Fake News – მცდარი ინფორმაციის გავრცელება მედია საშუალებებით (ბეჭდური, სამაუწყებლო, ონლაინ) (იხ.: Althuis and Haiden 2018, 2)

დეზინფორმაციული<sup>2</sup>, მიზინფორმაციული<sup>3</sup>, მალინფორმაციული<sup>4</sup> მესიჯები – დაპირისპირება ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. იმის ანალიზი, თუ როგორ შეძლო რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ სახალხო დიპლომატიის აქტიური გამოყენებით საბჭოთა კავშირის პროპაგანდასთან შებრძოლება, რითაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური რღვევისთვის ნიადაგი მოამზადა, დაგვეხმარება შევიმუშავოთ კონკრეტული წინადადებები, რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სფეროში რუსეთის მიერ წარმოებული ე.წ. ჰიბრიდული ომის ტაქტიკასთან გამკლავების შესაძლებლობას მოგვცემს.

თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიული კომუნიკაციების განმტკიცებისა და გაძლიერების მცდელობა, რაც მიზნად ისახავს საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან საგარეოპოლიტიკური კურსის მიმართ ძლიერი, გაცნობიერებული მხარდაჭერის უზრუნველყოფას. სახალხო დიპლომატია, როგორც პრაქტიკისა და აკადემიური სფეროს მიმართულეა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. აქედან გამომდინარე, შეერთებულ შტატებს სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების ეფექტური დაგეგმვის, კოორდინირებისა და წარმატებით განხორციელების ყველაზე გრძელვადიანი გამოცდილება აქვს. ამ მხრივ, ამერიკული სახალხო დიპლომატიის ტენდენციების შესწავლა ჩვენთვის კიდევ უფრო მეტად პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

საკვლევი თემის აქტუალობას, როგორც საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიული წარსული, ასევე ამერიკული სამყაროს როლისა და მნიშვნელობის ზრდაც განაპირობებს. შეერთებული შტატების როლი დღითიდღე იზრდება მსოფლიოს

---

<sup>2</sup> Disinformation – წინასწარ იმ განზრახვით შექმნილი მცდარი, ყალბი ინფორმაცია, რომ ზიანი მოუტანოს პიროვნებას, სოციალურ ჯგუფს, ორგანიზაციას ან ქვეყანას (იხ.: Wardle & Derakshan 2017, 20).

<sup>3</sup> Misinformation – მცდარი, ყალბი ინფორმაცია, რომელიც ზიანის მოსატანად არ არის შექმნილი (იხ.: Wardle & Derakshan 2017, 20).

<sup>4</sup> Malinformation – რეალობაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე ან ქვეყანაზე ზიანის მოსატანად (იხ.: Wardle & Derakshan 2017, 20).

სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში. ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის უწყვეტობას უზრუნველყოფს. აღნიშნული საკითხების პარალელურად, 21-ე საუკუნის საქართველოს დიპლომატიის ერთ-ერთი პრინციპი – შეიმუშავოს საგარეო პოლიტიკის სტაბილური და მტკიცე კურსი, რომელსაც ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის უნარი ექნება – სადოქტორო თემის აქტუალობას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს.

თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს საერთაშორისო, კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების აკადემიური წრეების ინტერესის ზრდა ცივი ომის პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობების მიმართ. ამასთან ერთად, იზრდება საერთაშორისო მკვლევართა და პრაქტიკოს დიპლომატთა, სახელმწიფო მოღვაწეთა ინტერესი საბჭოთა კავშირის მიერ ცივი ომის პერიოდში განხორციელებული პროპაგანდისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის რბილი ძალის შეფასების მიმართ, რაც მათ მასთან გასამკლავებლად ძლიერი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შექმნის შესაძლებლობას მისცემს.

ნაშრომს აქტუალურს ხდის ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჯერჯერობით არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საბჭოთა კავშირის მიმართ საქართველოსთან დაკავშირებით 1980-იან წლებში, ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში გააქტიურებული რუსეთის რბილი ძალა, რომელიც მოცემულ ნაშრომში ამ ვიწრო მიმართულებით არის წარმოდგენილი. მართალია საქართველოში არსებობს ცალკეული სტატია რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის შესახებ, თუმცა, მისი სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები საბჭოთა კავშირის მიმართ აქამდე შეუსწავლელია ისევე, როგორც არავის უმუშავია თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფეროში, რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში, შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ისტორიული გამოცდილების საკითხებზე. სადოქტორო დისერტაციაში წარმოდგენილი კვლევის ამგვარი მიმართულება მის თეორიულ მნიშვნელობას ზრდის.

საქართველოში რუსეთის მიერ გააქტიურებული რბილი ძალის ფონზე, ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განხორციელების

განსაკუთრებული აუცილებლობა იკვეთება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის თემატიკა სულ უფრო მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს, როგორც სამეცნიერო ვაკუუმის შესავსებად, ასევე საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. საკითხის კვლევა გვეხმარება საქართველოს უახლესი ისტორიული წარსულის გააზრებაში; ასევე, ქართულ-ამერიკული ისტორიული, დიპლომატიური ურთიერთობის შესწავლისა და ქართულ სივრცეში საბჭოთა კავშირის/რუსეთის მიერ განხორციელებული პროპაგანდული, დეზინფორმაციული ქმედებების გაანალიზების საშუალებას იძლევა. ამ საკითხების ისტორიულ ჭრილში კვლევა თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შედარებით ზუსტი, ობიექტური შეფასების, მართვისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ მომავალზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას ქმნის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს 1980-იან წლებში საქართველოში შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობების ამომწურავი, ყოველმხრივი შეფასება. იგი მისი მიზნების წარმოჩენისა და გაანალიზების ცდას წარმოადგენს.

**კვლევის ამოცანა.** მოცემული კვლევის მთავარი ამოცანაა ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლა საქართველოში 1980-იან წლებში და ამის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში.

**კვლევის მიზანი.** კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს და შეისწავლოს:

- **1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები** – მათ შორის სახალხო დიპლომატიის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის განსაზღვრების, არსის, მნიშვნელობისა და მიზნების შესწავლა; იმის კვლევა, თუ რა როლს თამაშობდა სახალხო დიპლომატია რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკის იმ სტრატეგიაში, რომელიც ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევას გულისხმობდა; მნიშვნელობა და შინაარსი, რომელიც სახალხო დიპლომატიას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს გადმოსახედიდან, ამერიკის

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში 1980-იან წლებში ჰქონდა; იმის გამოვლენა, გულისხმობდა თუ არა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას.

- **1980-იან წლებში საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები** – მათ შორის ის, თუ როგორ განსხვავდებოდა ეს მიზნები რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პირველი და მეორე ვადის პერიოდში; მისი სახალხო დიპლომატიის ძალისხმევა 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის დეზინფორმაციულ და პროპაგანდულ ღონისძიებებთან მიმართებაში; იმ მიზნების ჩამოყალიბების პროცესი, რომლებიც 1980-იან წლებში ამერიკულ სახალხო დიპლომატიას საბჭოთა კავშირის მიმართ ჰქონდა; საქართველოს მაგალითზე იმის გარკვევა, ისახავდა თუ არა შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები 1980-იან წლებში საბჭოთა სისტემაზე შინაგანი ზეწოლის განხორციელებას;
- **ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის** – მათ შორის ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილების შეფასებას თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისთვის; როგორია ამერიკული რბილი ძალის საპირისპიროდ რუსეთის რბილი ძალის ქმედების ანალიზი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ; როგორ არის განსაზღვრული რბილი ძალა რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსში და რა მიზანი აქვს რუსეთს საქართველოს მიმართ რბილი ძალის დღის წესრიგის ჩამოყალიბებისას; როგორია საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული რბილი ძალის საშუალებები და რა ბუნება აქვს მათ; როგორია საქართველოში რუსეთის რბილი ძალის ქცევის სრული სურათი; 1980-იანი წლების როგორც ამერიკული სახალხო დიპლომატიის, ასევე საბჭოთა და რუსეთის თანამედროვე პროპაგანდის მემკვიდრეობითობის წარმოაჩენა;

კვლევის ძირითადი მიზანია რეკომენდაციების შემუშავება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების

კონტექსტში. მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილებს როგორც საბჭოთა კავშირის ანტიამერიკული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებას.

კვლევის საბოლოო მიზანია იმის განსაზღვრა, თუ: 1. როგორ შეძლო რეიგანის ადმინისტრაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის გამოყენებით საბჭოთა კავშირთან იმგვარი ურთიერთობის დამყარება, რამაც ამ უკანასკნელის დაშლისთვის იდეოლოგიური ნიადაგი საბჭოთა კავშირის შიგნიდან მოამზადა; 2. რა მიზანი და მიზნები ჰქონდა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელსაც ის სახალხო დიპლომატიის გამოყენებით და ამ გზით საბჭოთა პროპაგანდასთან დაპირისპირებას ცდილობდა.

**კვლევის ჰიპოთეზა.** კვლევის ჰიპოთეზა გულისხმობს იმას, რომ 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში სახალხო დიპლომატიის აქტივობების განხორციელებით ცდილობდა საბჭოთა კავშირის შიგნიდან დაშლისთვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას.

**კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო.** კვლევა კონცენტრირდება რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდის შესწავლაზე. მისი პრეზიდენტობა მიემდგვნა „ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევას“ და „ბოროტების იმპერიის“ დაშლას. მეორე მხრივ, რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდს სხვადასხვა მიზეზის გამო სახალხო დიპლომატიის სფეროში ოქროს ხანად მოიხსენიებენ. აღნიშნული საკითხის საქართველოს ისტორიული პერსპექტივიდან შესწავლა წარმოაჩენს რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მცდელობებს, რბილი ძალის სტრატეგიის საშუალებით გაეძლიერებინა ტრადიციული ამერიკული დიპლომატია ისე, რომ სახალხო დიპლომატიის გამოყენებით საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებისთვის ამერიკული საზოგადოებისა და კულტურის შესახებ ობიექტური და უტყუარი ინფორმაცია მიეწოდებინა.

კვლევა ქრონოლოგიურად მოიცავს 1980-იან წლებს – ცივი ომის ბოლო ათწლეულს, რონალდ რეიგანის ორი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდს (1981-1989) – და ასევე 2008-2018 წლებს – რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პირველ ათწლეულს. თემიდან გამომდინარე, ზოგიერთი საკითხის შესწავლამ მოითხოვა როგორც 1980-იან წლებამდელი, ასევე 2018 წლის შემდეგ მომხდარი მოვლენებისა და ფაქტების გაანალიზებაც.



**კვლევის თეორიული მნიშვნელობა.** სადოქტორო დისერტაციის თემა „ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საქართველოში 1980-იან წლებში“ ქართულენოვან აკადემიურ-სამეცნიერო სივრცეში პრაქტიკულად შეუსწავლელია. საქართველოში არსებობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ გამოცემული კრებული – „რონალდ რეიგანი: 1980-იანი წლების ამერიკა“ და ამერიკის შესწავლის საკითხების რამდენიმე ტომეული – რომელიც აერთიანებს ქართველი და ამერიკელი მეცნიერების თემატურ სტატიებს. მეორე მხრივ, საქართველოში რონალდ რეიგანის პიროვნებისა და მისი პოლიტიკის უპირველეს მკვლევრად გვევლინება პროფესორი ვასილ კაჭარავა. ამ მიმართულებით მას ქართულ სამეცნიერო სივრცეში ყველაზე მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის აღსანიშნავია სტატიები – „გრძელი გზის დასაწყისი. რეიგანისა და გორბაჩოვის პირველი შეხვედრა ჟენევაში“, „რონალდ რეიგანის იდეოლოგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე“, „რონალდ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის გამოცხადების პირველი ეფექტი საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობებზე“. თუმცა არც ერთი მათგანი არ განიხილავს რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მიერ საქართველოში გატარებულ სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებს.

ამასთანავე, ის წიგნები და კვლევები, რომლებიც დასავლეთის სამეცნიერო წრეებშია გამოცემული უმთავრესად კონცენტრირდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესწავლაზე. საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკაში შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის აქტივობების შესწავლა, დახარისხება, ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა და სახალხო დიპლომატიის შედარებით სრული სურათის წარმოდგენაში დამეხმარა. ამ და სხვა საკითხებთან ერთად, ცივი ომის პერიოდში საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატების სახალხო დიპლომატიის ქმედებების შესწავლა მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ-ამერიკული ურთიერთობის დინამიკაში წარმოდგენისა და ანალიზის თვალსაზრისითაც. სადოქტორო კვლევის ამ ვიწრო მიმართულებით წარმართვა კიდევ რამდენიმე თვალსაზრისით არის საგულისხმო. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ცალკეული

რესპუბლიკის, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს როლისა და ფუნქციის შესაფასებლად, საბჭოთა კავშირის მიმართებით, ამერიკული სახალხო დიპლომატიის მთლიან სტრატეგიაში. ასევე, ის შემდგომი კვლევებისთვის ამერიკული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების დახარისხებისა და მისი ეფექტურობის მიმართულებით შედარების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

ნაშრომში შეფასებულია საქართველოში რუსეთის რბილი ძალა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსში ამერიკული სახალხო დიპლომატიის გამოცდილების გაზიარების კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ზოგადად რბილი ძალის მიმართულებით ჩატარებული კვლევები ძირითადად ამ ტერმინისა და მისი მნიშვნელობის შეფასებას უკავშირდება (იხ.: Nye 1990; Nye 2002; Nye 2004; Nye 2004a; Nye 2008; Nye 2011). ჯოზეფ ნაის<sup>5</sup> (Joseph S. Nye) წიგნები რბილ ძალაზე წარმოებული კვლევების ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს. ასევე სამეცნიერო სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რბილი ძალის ისტორიულ, პრაქტიკულ და თანამედროვე განზომილებებს, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში (იხ.: Parmar and Cox 2010; Cowan and Cull 2008; Chitty et al. 2016; Berenskoetter and Williams 2007). მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეიმჩნევა მზარდი ინტერესი რუსეთის რბილი ძალის შესწავლის მიმართ. მაგალითად, ამ მიმართულებით საერთაშორისო აკადემიურ სფეროში არსებული სხვადასხვა კვლევა კონცენტრირდება რუსეთის სახელმწიფოს მიერ რბილი ძალის დაგეგმვაზე, შემუშავებასა და განხორციელებაზე (იხ.: C'wiek-Karpowicz 2012; Kosachev 2012; Pilko 2012; Monaghan 2013; Simons 2013; Sergunin and Karabeshkin 2015; Ахтырский 2018; Кузнецов 2018). ერთ-ერთი ყველაზე სისტემური ნაშრომი პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთის რბილი ძალის შესახებ, კონკრეტულად კი უკრაინაში რუსეთის შეჭრის საკითხებთან დაკავშირებით, არის მარსელ ვან ჰერფენის (Marcel H. Van Herpen) წიგნი “პუტინის პროპაგანდის მანქანა: რბილი ძალა და რუსეთის საგარეო პოლიტიკა”. აღნიშნულ წიგნში განხილულია რუსეთის რბილი ძალის ინსტრუმენტები და მათი ტრანსფორმაციის პროცესი (იხ.: Herpen 2015).

---

<sup>5</sup> აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომში ინგლისური საკუთარი სახელების ქართულად მართლწერისათვის გამოყენებულია ტრანსკრიფციის მეთოდი. ქართულ ენაზე მათ დახვეწაში სამეცნიერო ხელმძღვანელი ელენე მეძმარიაშვილი დამეხმარა.

დღესდღეობით, ზოგიერთი კვლევა ყურადღებას ამახვილებს რბილი ძალის მნიშვნელობაზე რუსეთისთვის, „პოსტსაბჭოთა სივრცეში კომპეტენციის საზღვრების დადგენის კონტექსტსა“ (Sergunin and Karabeshkin 2015, 349) და „გარეგნული მიმზიდველობის რეკონსტრუირებისთვის“ (Ćwiek-Karpowicz 2012, 5). ამის ფონზე, ვხვდებით შედარებით მცირე ზომის აკადემიური შინაარსის ლიტერატურას, რომელშიც თეორიულადაა განხილული პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ კი საქართველოში, რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენების შემთხვევები, ღონისძიებები და მიმართულებები. საქართველოში რუსეთის მიერ გამოყენებული რბილი ძალის შესახებ ინფორმაციის მიღება ძირითადად შესაძლებელია პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტებიდან (Policy-focused Papers) (მაგალითად, Makarychev 2016; ფანჩულიძე 2017), აღწერითი და სხვადასხვა საინფორმაციო ხასიათის მასალიდან (იხ.: Rimple 2015). ამ თემატიკაზე არსებული მასალიდან ასევე აღსანიშნავია მედიის განვითარების ფონდის კვლევა “რუსული სამყარო” საქართველოში”, რომელშიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ფონდის “რუსული სამყარო” საქართველოში განხორციელებულ აქტივობებს მოიცავს (პატარიძე 2019).

რუსეთის რბილი ძალის შესწავლისთვის მიძღვნილი ისეთი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც წარმოდგენილია რუსეთის რბილი ძალის ისტორიული, თეორიული ასპექტები, ფუნქციური თუ რეგიონული მიმართულებები ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ მოიპოვება. თუმცა, ბოლო დროს, ჩვენს ქვეყანაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულმა დებატებმა გააღვივა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა თუ მკვლევრების ინტერესი, რომლებმაც ამ მიმართულებით დაიწყეს მუშაობა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე, საკონფერენციო მოხსენებებსა და სტატიებზე. ამჟამად, რუსეთის რბილ ძალაზე არსებული პუბლიკაციები აღწერს საქართველოში რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეებს (იხ.: Tughushi 2016), ქართული პერსპექტივიდან რუსეთის რბილი ძალის წარსულ მიღწევებს, შეზღუდვებსა და სამომავლო საფრთხეებს (იხ.: Kanashvili 2017), საქართველოში რუსეთის რბილი ძალის აქტივობებსა (იხ.: Rukhadze 2016; Avaliani 2016) და საქართველოში კრემლის მიერ წარმოებულ საინფორმაციო ომსა და პროპაგანდას (იხ.: ლომთაძე 2017; ავალიშვილი 2016). ეს პუბლიკაციები უმეტესად აღწერითი ხასიათისაა.

აქედან გამომდინარე, სადოქტორო თემის ძირითადი აქცენტი აღნიშნული მასალების სისტემურ კვლევასა და შევსებასაც ემსახურება. ამ შემთხვევაში, კვლევის საგანი საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა, რომელიც მოკრძალებულ წვლილს შეიტანს როგორც ამერიკისმცოდნეობის, ასევე სახალხო დიპლომატიის შესწავლისა და განვითარების თვალსაზრისით. კვლევა გვეხმარება როგორც 1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლაში, ასევე იმის გაანალიზებაში, თუ როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამავე პერიოდის შეერთებული შტატების ეს მემკვიდრეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის. ეს ქართულ-ამერიკული ისტორიული ურთიერთობის შესწავლის ახალ მიმართულებას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული სიახლე სწორედ ამ თემაზე სისტემური სამეცნიერო ნაშრომის შექმნა იქნება. აღნიშნული სადოქტორო ნაშრომი პერსპექტივაში პირველი სისტემური კვლევაა, რომელსაც არა მარტო ქართული, არამედ უცხოური აკადემიური წრეებისათვის სამეცნიერო ღირებულება ექნება.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგები, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების შენების, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა გამოწვევის აღმოსაფხვრელად არის საჭირო. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რეკომენდაციების შემუშავების გარდა, გამოიხატება იმითაც, რომ წინამდებარე ნაშრომი ძირითად და დამხმარე სასწავლო მასალად იქნება გამოყენებული საუნივერსიტეტო სივრცეში, რაც ამ მიმართულებით სამომავლო კვლევების გაფართოვების შესაძლებლობას შექმნის.

სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ინტერდისციპლინურია. კვლევა აერთიანებს ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის, ისტორიის, მედიის კვლევების, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის, დიპლომატიის, სახალხო დიპლომატიის, პროპაგანდის, პოლიტოლოგიის, ეროვნული უსაფრთხოების, ძალის სახეების, რეგიონმცოდნეობის, საბჭოთა კავშირის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ქართველოლოგიის შესწავლის აკადემიურ-სამეცნიერო მიმართულებებს.

აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ამ სამეცნიერო დარგებში მოღვაწე სპეციალისტების, კერძოდ კი, ამერიკისმცოდნეების, სახალხო დიპლომატიის სპეციალისტების, ისტორიკოსების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების, საერთაშორისო ურთიერთობისა და მედიაკომუნიკაციის ექსპერტების ინტელექტუალური ცოდნის ამაღლებას. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების – ამერიკისმცოდნეობისა და ისტორიის სპეციალისტები, სხვა საყურადღებო ისტორიულ მასალებთან ერთად, მიიღებენ ცნობებს 1980-იან წლებში ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორიის შესახებ. სოციოლოგებს ამ კვლევამ შესაძლოა დიდი დახმარება გაუწიოს სამომავლო სოციოლოგიური კვლევების ჩასატარებლად, რომელიც, მაგალითად, შეერთებული შტატების კულტურის, საზოგადოებისა და რუსეთის პროპაგანდის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულების, შეხედულებების ტრანსფორმაციას შეეხება. ამასთანავე, სოციოლოგები შეძლებენ ქართული საზოგადოების დამოკიდებულების ანალიზს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში. პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალისტები ამ სამეცნიერო კვლევის შედეგად მიიღებენ საყურადღებო ცნობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეცვალა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულმა სახალხო დიპლომატიის პროგრამებმა 1980-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური და იდეოლოგიური ტენდენციები. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა შესაძლოა საკმაოდ ღირებული იყოს ჟურნალისტების სფეროს წარმომადგენლებისთვისაც. საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში მოძიებული საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევების ანგარიშების გამოყენებით მედიის კოგნიტურ ფუნქციასთან მიმართებით გამოთქმული მოსაზრებები მათთვის პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას შექმნის. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის შედეგად, მნიშვნელოვან ცნობებს მიიღებენ მედიაკომუნიკაციის მკვლევრები, რომლებიც თანამედროვე საქართველოში რუსეთის სახელმწიფოს მიერ საინფორმაციო საშუალებებში განხორციელებული ანტიდასავლური პროპაგანდის ანალიზით არიან დაინტერესებულები. იმის ცოდნა, თუ რა სახის ანტიამერიკულ საინფორმაციო პროპაგანდას ახორციელებდა საბჭოთა კავშირი საქართველოში 1980-იან წლებში და სტრატეგიული კომუნიკაციის რომელი ტაქტიკით უპირისპირდებოდა მას შეერთებული შტატები, მნიშვნელოვანი

პარალელების გავლების შესაძლებლობას მისცემს მედიაკომუნიკაციის ექსპერტებს. ამასთანავე, აღნიშნული სამეცნიერო კვლევა გარკვეული ღირებულებების შედეგის მომტანი იქნება საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის სპეციალისტებისთვისაც. მათთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული კვლევის ის ნაწილი, რომელშიც განხილულია ის, თუ როგორ შეძლო რეიგანის ადმინისტრაციამ, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტების გამოყენებით, საბჭოთა კავშირთან იმგვარი ურთიერთობის დამყარება, რამაც ამ უკანასკნელის დაშლისთვის იდეოლოგიური ნიადაგი მოამზადა. მათთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნულ სადოქტორო დისერტაციაში ჩამოყალიბებული წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში 1980-იანი წლების შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მემკვიდრეობის გამოყენებას უკავშირდება.

ამასთანავე, აღნიშნული კვლევა წინადადებული ნაბიჯი იქნება ქართული ამერიკისმცოდნეობისა და ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო დარგების სამომავლო განვითარებისა და მეცნიერული დონის ამაღლებისთვის. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აღნიშნული კვლევისას დამუშავებული მასალები შემდგომ სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენების შესაძლებლობას შექმნის. ხაზი უნდა გაესვას, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ფაქტობრივად, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ეს საკითხი ასეთ მეცნიერულ ჭრილში არ განხილულა.

ამასთანავე, აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომს ფართო სპექტრის პრაქტიკული შედეგები ექნება ქართული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება სახელმწიფო ლიდერებისთვის, დიპლომატებისთვის, საგარეო პოლიტიკის მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის და ა.შ. აღნიშნული კვლევა მათ, სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესებაში დაეხმარება. შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკისა და პოლიტიკური დეპარტამენტებისთვის. დღევანდელ მსოფლიოში, კერძოდ კი საქართველოში, რუსეთის მზარდი აგრესიისა

და მის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის, ე.წ. „ჰიბრიდული ომის“<sup>6</sup> ფონზე, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში რბილი ძალის, სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტების განხილვა-გამოყენებას დიდი როლი ეკისრება. საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ მიმართულ რუსულ პროპაგანდასთან, დეზინფორმაციულ ღონისძიებებთან და მზარდ აგრესიასთან დაპირისპირება რბილი ძალის რესურსებისა და მახასიათებლების უწყვეტი და ფართო გამოყენებით შეიძლება. ამიტომ, იმ ფუნქციის გააზრება, რომელიც სახალხო დიპლომატიას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში საბჭოთა კავშირისა და 1980-იანი წლების საქართველოში ანტიამერიკული საბჭოური პროპაგანდის მიმართ ჰქონდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ რა როლს შეასრულებს ის ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის კურსში, რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებთან საბრძოლველად.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა ეფუძნება ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ სხვადასხვა მეთოდს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის, პირველწყაროების ანალიზის, შემთხვევის შესწავლის, შედარებითი ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის მეთოდები.

კვლევა **ქრონოლოგიურ პრინციპს** ემყარება. მაგალითად, მისი დაცვით არის აღწერილი 1980-იან წლებში რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში საქართველოსთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მიმართ შემუშავებული რბილი ძალისა და სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები. **ისტორიული კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის მეთოდების, ისტორიზმისა და სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპების** საშუალებით საკვლევი საკითხი სხვადასხვა ისტორიული მოვლენის დინამიკაშია შესწავლილი და შედარებულია 1980-იანი

---

<sup>6</sup> Hybrid Warfare – პროპაგანდა, სიცრუე, საბოტაჟი და სხვა არასამხედრო ტაქტიკა, რომელიც მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციისთვის გამოიყენება (იხ.: NATO's response to hybrid threats, 17.07.2018)

წლების რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალები. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდი შეიძლება დახასიათდეს როგორც **შემთხვევის ანალიზი (Case Study)**, რაც კონკრეტულად 1980-იან წლებში რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მიერ სახალხო დიპლომატიის იმ ინსტრუმენტების ანალიზსა და შედარებას გულისხმობს, რომლის მიზანიც, აღნიშნულ პერიოდში, საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოში წარმოებულ ანტიამერიკულ პროპაგანდასთან შებრძოლა იყო.

რონალდ რეიგანის სიტყვით გამოსვლის ტექსტების შინაარსის შესწავლისა და ანალიზისთვის ძირითადად **კოგნიტური კარტირების მეთოდი, კონტენტ-ანალიზი და ინტენტ-ანალიზი**, სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული მოვლენების სტრუქტურებისთვის კი **ივენტ-ანალიზი**ა გამოყენებული. ამასთანავე, სხვადასხვა ინტერნეტწყაროს ნამდვილობის დასადგენად გამოყენებულია **მედიაწიგნიერების მიმართულებით შემუშავებული სხვადასხვა სქემა და მიდგომა**, რაც, როგორც წყაროს სანდოობის, ასევე მათში წარმოდგენილი ფაქტების ნამდვილობის დადგენასა და გადამოწმებისთვის არის მნიშვნელოვანი.

სადოქტორო ნაშრომის სრულყოფისთვის და, მაგალითად, იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მემკვიდრეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის, თეორიული კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულია **ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები**. კვლევის პროცესში **ანალიზის მეთოდის** გამოყენება გვებმარება რეიგანის ადმინისტრაციის მცდელობების დეტალურ შესწავლაში, რომლის მიზანი სახალხო დიპლომატიის საშუალებით ტრადიციული ამერიკული დიპლომატიის გაძლიერება და საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებისთვის ამერიკული საზოგადოებისა და კულტურის შესახებ ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება იყო. სახალხო დიპლომატიის კომპონენტების შემუშავებით, 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების განვითარების ტენდენციებისა და ამავე პერიოდის საქართველოში საბჭოურ პროპაგანდასთან რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული რბილი ძალის რესურსების ანალიზისთვის გამოყენებულია **სინთეზის მეთოდი**.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, სოციოლოგიური კვლევის მეთოდებიდან



გამოყენებულია ინტერვიუს პრინციპი. ინტერვიუს პრინციპი კვლევის სხვა მეთოდებთან შედარებით მნიშვნელოვანია, რადგან საკითხის შესწავლაში ზეპირი, ცოცხალი ისტორიული ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, საკითხის სისტემური დამუშავებისთვის უნიკალურ მასალას წარმოადგენს. მაგალითად, ამ პრინციპით ინტერვიუები ჩატარებულია სახალხო დიპლომატიის ამერიკელ მკვლევარ-პროფესორებთან, 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს საგარეო უწყებაში სამუშაო გამოცდილების მქონე პირებთან.

რუსეთის რბილ ძალასთან დაკავშირებული საკითხების გასაანალიზებლად გამოყენებულია პრობლემის ფორმულირების, კონცეპტუალიზაციისა და ოპერაციონალიზაციის მიდგომები. ამ ძალის ქმედების შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მეთოდი. პოლიტიკის ანალიზის გამოყენებით კი, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავებულია რეკომენდაციები.

წყაროების მიმოხილვა. რაც უფრო დინამიურად ვითარდება სახალხო დიპლომატიის სფერო, მით უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამერიკელი მკვლევრები ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების შესწავლას (იხ.: Tomlin 2016; Parker 2016; Richmond 2008; Cull 2009). გარდა ამისა, რუსეთის მიერ მთელ მსოფლიოში გააქტიურებული ნეგატიური პროპაგანდის ფონზე, დასავლეთში საბჭოთა კავშირის პროპაგანდული ქმედებებისა (იხ.: McCauley 2016; U.S. Government, U.S. Military, et al. 2019) და ცივი ომის დასრულების საკითხების შესწავლის მიმართ ინტერესი იზრდება.

ცივი ომის დასრულებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჯეკ მეტლოკის - 1987-1991 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საბჭოთა კავშირში, ამერიკელი კარიერული დიპლომატის, ისტორიკოსის, ლინგვისტისა და საბჭოთა კავშირისმცოდნის - წიგნები. მაგალითად, წიგნში „იმპერიის აუტოფსია: ამერიკელი ელჩის ხედვა საბჭოთა კავშირის რღვევის შესახებ“ (Autopsy on an Empire: The American Ambassador's Account of the Collapse of the Soviet Union) მეტლოკი წერს საბჭოთა კავშირის მიმართ რეიგანის მიდგომის, გორბაჩოვის მიერ რეფორმების შემუშავების პროცესისა და იმ პიროვნებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში (იხ.: Matlock 1995).

ასევე, წიგნში „რეიგანი და გორბაჩოვი: როგორ დასრულდა ცივი ომი“ (Reagan and Gorbachev: How the Cold War Ended) ის განიხილავს, თუ რა როლი შეასრულა რეიგანისა და გორბაჩოვის ურთიერთობამ ცივი ომის დასრულებაში. წიგნში განხილულია ის, თუ როგორ შეძლო პრეზიდენტმა რეიგანმა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება საპრეზიდენტო ვადის დაწყებისთანავე. ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს რეიგანის მცდელობაზე გარდაექმნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერება და ბრძოლის სურვილი საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებისთვის, რაც მას მოლაპარაკებების წარმოების დროს უპირატესობას ანიჭებდა. ავტორი განიხილავს იმასაც, რომ ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლით რეიგანმა და მისმა მრჩეველებმა მშვიდობის მისაღწევად პოტენციური პარტნიორი დაინახეს (იხ.: Matlock 2004). საინტერესოა ისიც, რომ მეტლოკი წიგნში „სუპერძალის ილუზიები: როგორ გადაახვევინა მითებმა და მცდარმა იდეოლოგიებმა ამერიკას სწორი მიმართულებიდან - და როგორ უნდა დაუბრუნდეს რეალობას“ (Superpower Illusions: How Myths and False Ideologies Led America Astray - And How to Return to Reality) ხაზს უსვამს, რომ არა რეიგანმა, არამედ გორბაჩოვმა დაანგრია კომუნისტური პარტიის მმართველობა საბჭოთა კავშირში და რომ ცივი ომი დასრულდა მოლაპარაკებების გზით მიღწეული გადაწყვეტილებით, რომელმაც ორივე მხარეს სარგებელი მოუტანა (იხ.: Matlock 2011). ცივი ომის დასრულების საკითხებზე წერს მეტლოკი დიკ კომბსთან (Dick Combs) თანაავტორობით გამოცემულ წიგნშიც „საბჭოთა ალტერნატიული სამყაროს შიგნით: ცივი ომის დასრულება და საბჭოთა კავშირის დაცემის გადაფასება“ (Inside the Soviet Alternate Universe: The Cold War's End and the Soviet Union's Fall Reappraised) (იხ.: Combs and Matlock 2012).

ამასთანავე, 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო გააქტიურდა დისკუსიები და მომრავლდა პუბლიკაციები ცივი ომის დასრულებაში რონალდ რეიგანის წვლილის ხელახალი შეფასების მიზნით (იხ.: Fischer 2019; Matlock 2004; Service 2015; Kengor 2007; Mann 2010; Wilson and Wilson 2014; Rowland and Jones 2010; Baier and Whitney 2018; Savranskaya and Blanton 2016; Barnum 2012). ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ამერიკელი ისტორიკოსის პიტერ შვეიზერის (Peter Schweizer) წიგნები „გამარჯვება: რეიგანის ადმინისტრაციის საიდუმლო სტრატეგია, რომელმაც დააჩქარა საბჭოთა კავშირის რღვევა“ (Victory: The Reagan Administration's Secret Strategy that Hastened the Collapse of the Soviet Union) (იხ.: Schweizer 1994) და

„რეიგანის ომი“ მისი ორმოცწლიანი ბრძოლისა და კომუნიზმზე საბოლოო ტრიუმფის ეპიკური ისტორია“ (Reagan's War: The Epic Story of His Forty-Year Struggle and Final Triumph Over Communism) (იხ.: Schweizer 2002). პირველ წიგნში ავტორი ყურადღებას ამახვილებს რეიგანის ადმინისტრაციის იმ საყურადღებო დეტალებზე, რომელმაც ძირი გამოუთხარა საბჭოთა კავშირის ეკონომიკასა და მის რესურსებს. მეორე წიგნში შვეიზერი საუბრობს რონალდ რეიგანის, როგორც ანტიკომუნისტის იმ პირადი და პოლიტიკური გზისა და ბრძოლის შესახებ, რომელიც მისი სამსახიობო კარიერით დაიწყო და თეთრ სახლში გაგრძელდა.

ასევე, ყურადღება ექცევა პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან რეიგანის ადმინისტრაციის ბრძოლის ტაქტიკისა (იხ.: Snyder 2012; Dhunjishah 07.07.2017) და სახალხო დიპლომატიის უნივერსალურ ხასიათს: აქტუალობას არ კარგავს მისი გამოყენების მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის მსგავს ან ნებისმიერ არადემოკრატიულ, შეერთებული შტატებისთვის არასასურველ რეჟიმებთან ურთიერთობისას (იხ.: Gallagher 07.10.2019).

სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს საკითხის შესახებ დღეისათვის ხელმისაწვდომი მასალები. იქიდან გამომდინარე, რომ სახალხო დიპლომატია, როგორც პრაქტიკისა და აკადემიური სფეროს ნაწილი, შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, ნაშრომში გამოყენებულია სახალხო დიპლომატიის ამერიკელი მკვლევრების სხვადასხვა სახის ნაშრომი, კერძოდ, **მონოგრაფიები, სტატიები და სხვა ხასიათის კვლევები.**

იმის გამო, რომ საკვლევი თემა საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება პირველად წყაროებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეთავის დასამუშავებლად ნაშრომში უმთავრესად გამოყენებულია ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდის პირველადი წყაროები, კერძოდ:

- **საგარეო პოლიტიკასთან და სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლის, მიმართვისა და გზავნილის ტექსტები** - უახლესი ისტორიის პერიოდს მიეკუთვნება 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანის სხვადასხვა გამოსვლის ტექსტები, მაგალითად, 1987 წლის 16 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა საბჭოს მე-40 წლის იუბილეზე

წარმოთქმული სიტყვა (Remarks at the 40th Anniversary Conference of the United States Advisory Commission on Public Diplomacy), ან 1984 წლის 16 იანვარს ამერიკელი ერისა და სხვა ქვეყნების მიმართ გაკეთებული გზავნილი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ (Address to the Nation and Other Countries on United States-Soviet Relations). თანამედროვე პერიოდს მიეკუთვნება საქართველოსა და რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საგარეო უწყების წარმომადგენლების გამოსვლები;

- **საგარეო პოლიტიკასთან და ეროვნული უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული დოკუმენტები** – მაგალითად, 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები (National Security Strategy), ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივები (National Security Decision Directive), თანამედროვე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები;
- **სახალხო დიპლომატიის სფეროში დადებული შეთანხმებები** – მაგალითად, 1985 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაცვლითი პროგრამების მიმართულებით ხელმოწერილი შეთანხმება;
- **სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები** – მაგალითად, 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა საბჭოს (U.S. ACPD) ყოველწლიური ანგარიშები;
- **საარქივო დოკუმენტები** – მაგალითად, რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში (სიმი ველი, კალიფორნიის შტატი) რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის საარქივო დოკუმენტები და საქართველოს ეროვნულ არქივში (თბილისი) დაცული საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალები;
- **პრესა-პერიოდიკის მასალები** – მაგალითად, 1980-იან წლებში საქართველოში გამოცემულ პრესა-პერიოდიკაში გამოქვეყნებული ინფორმაცია;
- **სოციოლოგიური კვლევის ანგარიშები** – მაგალითად, IRI-სა და NDI-ის მიერ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად ჩატარებული კვლევების ანგარიშები;

- **ინტერვიუები** – მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის ცენტრის (ლოს ანჯელესი, კალიფორნიის შტატი) სახალხო დიპლომატიის დარგის წამყვან პროფესორებთან, მკვლევრებთან და პრაქტიკოს დიპლომატებთან - რობერტ ბანკსთან (Robert Banks), ერნესტ ჯეი უილსონთან (Ernest J. Willson), ჯეფრი ქოუვანთან (Geoffrey Cowan), ჯაიან (ჯეი) უანგთან (Jian (Jay) Wang), ნიკოლას ქალთან (Nicholas J. Cull) - სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით ჩაწერილი ინტერვიუები; საერთაშორისო ურთიერთობისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის ცნობილ ამერიკელ მკვლევრებთან - პროფესორებთან რობერტ ინგლიშთან (Robert English) და ელჩ იან კელისთან (Ian C. Kelly) 1980-იანი წლების შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის შესახებ ჩაწერილი ინტერვიუები; ამერიკელ დიპლომატებთან - 1985-1986 წლებში USIA-ის, ხოლო 1986-1991 წლებში VOA-ის დირექტორთან რიჩარდ (დიკ) უორნერ კარლსონთან (Richard (Dick) Warner Carlson) და 1987-1991 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საბჭოთა კავშირში ჯეკ მეტლოკთან (Jack F. Matlock Jr.) ჩაწერილი ინტერვიუები; ქართველ დიპლომატებთან, მათ შორის, 1985-1990 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გიორგი ჯავახიშვილთან, 2003-2004 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან თედო ჯაფარიძესთან და 1984-1992 წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტთან გელა ჩარკვიანთან ჩაწერილი ინტერვიუები;

ყველა ეს პირველადი წყარო საკითხის დასამუშავებლად უნიკალური მასალაა და სადოქტორო დისერტაციის ცალკეულ თავშია წარმოდგენილი. ამ დოკუმენტების დიდი ნაწილი სწორედ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შემოდის ქართულ და ამერიკულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

ასევე აღსანიშნავია ნიკოლას ქალის წიგნი „ცივი ომი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო“ (The Cold War and the United States Information Agency) (იხ.: Cull 2009). მასში ავტორი წარმოგვიდგენს ცივი ომის პერიოდის შეერთებული შტატების სხვადასხვა საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს საქმიანობას. ნიკოლას ქალი წიგნში ქრონოლოგიურად განიხილავს ამერიკული სახალხო დიპლომატიის

ღონისძიებებს. ის იყენებს საარქივო მასალებსა და სახალხო დიპლომატიის ამერიკელ პროფესიონალებთან ჩაწერილ ინტერვიუებს. ამ წიგნიდან სადოქტორო დისერტაციის საკითხისთვის გავეცანი მე-10 და მე-11 თავებს, რომელშიც განხილულია აღნიშნული სააგენტოს ღონისძიებები რონალდ რეიგანის პირველი და მეორე ადმინისტრაციის პერიოდში.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ქრეგ ჰაიდანის (Craig Hayden) წიგნი „რბილი ძალის რიტორიკა: სახალხო დიპლომატია გლობალურ კონტექსტებში“ (The Rhetoric of Soft Power: Public Diplomacy in Global Contexts) (იხ.:Hayden 2012). წიგნში ავტორი გვთავაზობს სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების შედარებით ანალიზს. ამ გზით, ავტორი ცდილობს წარმოადგინოს ის, თუ როგორ გარდაიქმნა რბილი ძალის შესახებ ჯოზეფ ნაისეული ხედვა საერთაშორისო გავლენის სტრატეგიებში, კონკრეტული კონტექსტების გათვალისწინებით. წიგნში სახალხო დიპლომატიის მიმართულებით კულტურის, უცხოური საზოგადოებებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობის წარმოსაჩენად, შეერთებული შტატების გარდა, განხილულია იაპონიის, ვენესუელასა და ჩინეთის შემთხვევები. ჰაიდენის წიგნიდან წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ნაწილები, რომელშიც ავტორი სახელმწიფოების მიერ რბილი ძალის გამოყენების შესახებ წერს.

ამასთანავე, კვლევისთვის საინტერესო იყო საერთაშორისო კომუნიკაციების პროფესორის, სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციის მკვლევრის მაიკლ უოლერის (Michael Waller) წიგნი „სტრატეგიული გავლენა: სახალხო დიპლომატია, კონტრპროპაგანდა და პოლიტიკური საომარი მოქმედებები“ (Strategic Influence: Public Diplomacy, Counterpropaganda, and Political Warfare) (იხ.:Waller 2008). წიგნში ამ სფეროების სხვადასხვა ექსპერტი განიხილავს იმ თემატურ კომპონენტებს, რომელიც შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს მსოფლიოში იდეების ბრძოლის მოსაგებად სჭირდება. მაგალითად, წიგნში წარმოდგენილია შეერთებული შტატების სტრატეგიული სახალხო დიპლომატიის მახასიათებლები, სახალხო დიპლომატიასთან რბილი ძალის, კულტურული დიპლომატიის, პოლიტიკური გავლენის, რელიგიის, სამოქალაქო საზოგადოების მიმართების, კონტრპროპაგანდისა და პოლიტიკური საომარი მოქმედებების საკითხები.

გარდა ამისა, კვლევისთვის საყურადღებო იყო უოლერის კიდევ ერთი წიგნი

„სახალხო დიპლომატიის ქრესტომატია“ (The Public Diplomacy Reader) (იხ.:Waller 2007). წიგნში წარმოდგენილია ის პირველადი წყაროები, რომელიც ქრონოლოგიურად, სახალხო დიპლომატიის ტერმინისა და მახასიათებლების შინაარსობრივ, არსობრივ, ფუნქციურ განვითარებაზე დაკვირვების შესაძლებლობას ქმნის.

სახალხო დიპლომატიის მიმართულებით გამოყენებული მასალებიდან ასევე აღსანიშნავია სტატიები, გამოქვეყნებული სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის ცენტრის საიტზე, მათ შორის, მელ ლევინის (Mel Levine), როქუელ შნაბელისა (Rockwell Schnabel) და ჯაიან (ჯეი) უანგის სტატია „ამერიკული სახალხო დიპლომატია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საუკეთესო ინსტრუმენტია“ (American Public Diplomacy is Our Country’s Best Foreign Policy Tool) (იხ.: Levine, Schnabel and Wang 30.10.2017), ასევე, უანგის სტატია „დაზიანებული სახალხო დიპლომატია: რბილი ძალის განხორციელების ექვსი იმპერატივი“ (Public Diplomacy Disrupted: Six Imperatives for Practicing Soft Power) (იხ.: Wang 15.01.2019).

რბილი ძალის საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში გამოყენებულია ჯოზეფ ნაის წიგნები. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია „ძალის მომავალი“ (The Future of Power), „რბილი ძალა: წარმატების მიღწევის საშუალება მსოფლიო პოლიტიკაში“ (Soft Power: The Means To Success In World Politics) (იხ.: Nye 2004) და „ამერიკული ძალის პარადოქსი: რატომ არ შეუძლია მსოფლიოს ერთადერთ სუპერსახელმწიფოს მარტოდ მოქმედება“ (The Paradox of American Power: Why the World's Only Superpower Can't Go It Alone) (იხ.: Nye 2002). წიგნში „ძალის მომავალი“ ავტორი ძალის რესურსებთან ერთად განიხილავს გონიერი ძალის სტრატეგიებს, ხოლო წიგნში „რბილი ძალა: წარმატების მიღწევის საშუალება მსოფლიო პოლიტიკაში“ ავტორს წარმოჩენილი აქვს ძალის სახეების ცვალებადი ბუნება, რბილი ძალის რესურსები და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში რბილი ძალის გამოყენების თავისებურებები. ძალის სახეებთან დაკავშირებით ნაი წიგნში „ამერიკული ძალის პარადოქსი: რატომ არ შეუძლია მსოფლიოს ერთადერთ სუპერსახელმწიფოს მარტოდ მოქმედება“ საუბრობს ამერიკული ძლიერების შესახებ, ყურადღებას ამახვილებს ძალის სხვადასხვა სახესა და საგარეოპოლიტიკური გამოწვევის აღმოსაფხვრელად შეერთებული შტატებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

**კვლევის პროცედურა.** სადოქტორო დისერტაციაში ჩატარებული კვლევის

პროცედურა ჩემი ქართველი – ასოცირებული პროფესორი ელენე მემმარიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) – და ამერიკელი – პროფესორი ფილიპ სიბი (სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატები) – სამეცნიერო ხელმძღვანელების უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა.

კვლევის პროცედურა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა, რომელიც როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრის ბაზაზე განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებით გამოვყოფ 2017 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მკვლევართა (Study of the U.S. Institutes for Scholars on U.S. Foreign Policy) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ექვსი კვირის განმავლობაში ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შევხვდი საგარეო პოლიტიკის ცნობილ პროფესორებს, მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს; ამასთანავე, როგორც პროგრამის მონაწილე, ვეწვიე და გავეცანი იმ სამთავრობო, არასამთავრობო და აკადემიური ორგანიზაციების საქმიანობას, რომელიც ფოკუსირებულია შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაზე, შემუშავებასა და განხორციელებაზე. ამ პროგრამაში მონაწილეობისას, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სფეროს მიმართ უფრო კომპლექსური ცოდნა ჩამომიყალიბდა, რომელიც მოცემული ნაშრომის მიზნების დახვეწაში დამეხმარა.

კვლევის პროცედურის წარმართვისთვის უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებამ. ამ კონკურსში საპროექტი განაცხადით – „ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოსთან დაკავშირებული რბილი ძალა საბჭოთა კავშირის მიმართ 1980-იან წლებში: სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისთვის“ (PhD\_F\_17\_60) – მოპოვებული გრანტის ფარგლებში შესაძლებლობა მომეცა შემეძინა როგორც კვლევისთვის აუცილებელი ლიტერატურა და რესურსები, ასევე კვლევის ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ამერიკელი სამეცნიერო ხელმძღვანელის უშუალო რეკომენდაციით განმეხორციელებინა.



საქართველოში კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის, თბილისის ამერიკული კუთხის, საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლევა განხორციელდა ბარდის კოლეჯის (ანანდეილ-ონ-ჰუდსონი, ნიუ იორკის შტატი), აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის/ევრაზიის შესწავლის ცენტრის შუამდგომლობით ჩიკაგოს უნივერსიტეტის (ჩიკაგო, ილინოისის შტატი), სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის ცენტრისა (ლოს ანჯელესი, კალიფორნიის შტატი) და რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკებში (სიმი ველი, კალიფორნიის შტატი).

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე შედეგები ფართო საზოგადოებას სამეცნიერო კონფერენციების საშუალებითა და პუბლიკაციების გამოქვეყნებით გავუზიარე. გამოვეყოფ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის მე-18 (2017 წელი), მე-19 (2018 წელი) და მე-20 (2019 წელი) ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობას. ამ კონფერენციებზე წარვადგინე შემდეგი მოხსენებები: „რბილი ძალის მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში 1988 წელს“, „ამერიკის შეერთებული შტატების რბილი ძალის ისტორიოგრაფია“ და „ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტები საქართველოში 1980-იან წლებში“.

ამასთან ერთად, კვლევის შედეგები გამოვაქვეყნე რამდენიმე ნაშრომის სახით, მათ შორის, სტატია „რუსეთის რბილი ძალის ქმედების შეფასება საქართველოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ“ (Understanding Russia's Soft Power Behavior in Georgia After the Russo-Georgian War) 2018 წელს გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში „ტრანსფორმაციული კვლევების ევროპული ჟურნალი“ (European Journal of Transformation Studies) (იხ.: Khatiaashvili 2018, 5-25). სადოქტორო დისერტაციის კვლევის სხვადასხვა ნაწილის პუბლიკაციები ასევე მოიცავს სტატიის – „ამერიკის შეერთებული შტატების რბილი ძალის მიზნები საბჭოთა კავშირის მიმართ (1987-88 წლების აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების

სტრატეგიების მიხედვით)“ – გამოქვეყნებას 2017 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ გამოცემულ კრებულში ამერიკის შესწავლის საკითხები (იხ.: ხატიაშვილი 2017, 109-115) და სტატიის „ორი ჯორჯია ჩემს გონებაში: ორმხრივი ურთიერთგაგების ძალა სახალხო დიპლომატიაში“ (Two Georgias on My Mind: The Power of Mutual Understanding in Public Diplomacy) (იხ.: Khatiaashvili 18.04.2019) პუბლიკაციას სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის ცენტრის (University of Southern California Center on Public Diplomacy) ვებსაიტზე ([www.uscpublicdiplomacy.org](http://www.uscpublicdiplomacy.org)).

## თავი 1: ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები 1980-იან წლებში

### 1.1. სახალხო დიპლომატია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

ამ ქვეთავის მიზანია სახალხო დიპლომატიის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრების, არსის, მნიშვნელობისა და მიზნების მიმოხილვა. სახალხო დიპლომატიის შინაარსისა და რაობის უკეთ განსაზღვრისთვის განხილულია რბილი ძალის მნიშვნელობა. სადოქტორო დისერტაციის თემატიკასთან მიმართებით, ქვეთავში წარმოდგენილი კვლევა კონკრეტულად გულისხმობს სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობის განხილვას 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კონტექსტთან მიმართებით.

ცივმა ომმა არა მხოლოდ მსოფლიოს ახალი ისტორია, საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის სფეროები, არამედ სახელმწიფოთა მიერ ძალისა და დიპლომატიის გამოყენების ტენდენცია, რესურსები და გზები გარდაქმნა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დასამყარებლად, შესანარჩუნებლად და გასამლიერებლად, მან დიპლომატიის ახალი მიდგომები წარმოშვა და დიპლომატია, როგორც საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, სტრუქტურულად შეცვალა.

ორპოლუსიან სამყაროში დიპლომატიის სტრუქტურული ცვლილება გულისხმობდა, როგორც ერთი ქვეყნის მიერ საგარეო ურთიერთობის სფეროში დიპლომატიის გამოყენებასთან დაკავშირებული ტენდენციების ახლებურ გააზრებას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ძალის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფასა და ძალის სხვადასხვა სახის გამოყენებას. ცნობილია, რომ ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო ძალის ბალანსის ღერძი რკინის ფარდაზე გადიოდა. რკინის ფარდის ერთ მხარეს საერთაშორისო ძალის წონასწორობას ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე მხარეს კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იცავდა. მათ შორის დაპირისპირება ყველაზე მძაფრად იდეოლოგიურ

სფეროში შეიმჩნეოდა. შესაბამისად, დიპლომატიას საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების ბლოკები, მათ საზოგადოებებში კი დემოკრატიული და კომუნისტური ღირებულებები უნდა გაეწონასწორებინა. ბალანსის დაცვა აუცილებელი იყო. ხოლო, თუ როგორ იქნებოდა ბალანსი დაცული, ეს უკვე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის კურსსა და, კონტექსტის შესაბამისად, მათ მიერ გამოყენებული დიპლომატიისა და ძალის სხვადასხვა სახის პრაქტიკულ განხორციელებაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ძალთა გადანაწილების ცვლილებას, ძალის ბუნებითა და მისი ელემენტების როლით, 1970-იან წლებში უილიამ ბანდი (William P. Bundy), ამერიკული ჟურნალის Foreign Affairs-ის რედაქტორი ხსნიდა. თავის ერთ-ერთ სტატიაში იგი მიუთითებდა, რომ ძალის ელემენტები ან ელემენტების ერთობლიობა ერებს ან ერების ჯგუფს ძალაუფლების გამოვლენის შესაძლებლობას აძლევდა (Bundy 1977, 1).

სახელმწიფოს ძალის გამოვლენაში დიპლომატიის სხვადასხვა სახე ეხმარება. ცივი ომის პერიოდში გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ დიპლომატიის სხვადასხვა ძველი, ტრადიციული სახე დიპლომატიის ახალი ფორმებით ჩანაცვლებულიყო. საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, სხვადასხვა საგარეოპოლიტიკური ამოცანის, ეროვნული ინტერესისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად, მათ შორის, ხალხთაშორისი კავშირების გასაძლიერებლად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სახალხო დიპლომატიის გამოყენება დაიწყო. დიპლომატიის ამ სახის გამოყენება შეერთებულ შტატებს საგარეო ურთიერთობის სფეროში რბილი ძალის გამოვლენის შესაძლებლობას აძლევდა.

1980-იანმა წლებმა განსაზღვრა რბილი ძალის ისტორიოგრაფიული კურსი და, დღევანდელი გადმოსახედიდან, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სფეროში სახალხო დიპლომატიის ფუნქციურ კონტექსტში, მიმაჩნია, რომ რევოლუციური გარდატეხა მოახდინა.

სახალხო დიპლომატიის ცნების განსაზღვრებამდე, აუცილებელია აღინიშნოს რბილი ძალის შინაარსი. სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით რბილი ძალის ბუნების კვლევას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ერთის მხრივ, სახალხო დიპლომატია რბილი ძალის წარმოქმნის, გატარების ერთ-ერთი საშუალებაა. მეორე მხრივ, სახალხო დიპლომატია სახელმწიფოს როგორც საკუთარი, ასევე სხვა სახელმწიფოს მიერ გატარებული რბილი ძალის მართვაში ეხმარება. შესაბამისად,

სახალხო დიპლომატიის არსში ჩაწვდომა ითხოვს რბილი ძალის ბუნებისა და მახასიათებლების მიმოხილვას. დიპლომატიის ამ ფორმისა და ძალის ამ სახის შესწავლა ერთიმეორის აღნიშვნის გარეშე თითქმის შეუძლებელია.

რბილი ძალის განხილვისას ძირითად წყაროდ ამერიკელი პოლიტოლოგის ჯოზეფ ნაის კვლევებს გამოვიყენებ, რადგან სწორედ იგი გვთავაზობს ძალისა და რბილი ძალის მეცნიერულ ანალიზს და ტერმინის “რბილი ძალა” დამფუძნებელ მამად გვევლინება. საინტერესოა მისი აზრი საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ძალის მნიშვნელობის შესახებ. მისი სიტყვებით, ძალა ამინდს ჰგავს, რადგან ყველა საუბრობს მასზე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე იგებს მას და როგორც ფერმერები და მეტეოროლოგები ცდილობენ შტორმის პროგნოზირებას, ასევე ცდილობენ სახელმწიფო მოხელეები და ანალიტიკოსები სახელმწიფოთა შორის ძალის გადანაწილების საკითხში ძირითადი ცვლილებების დინამიკის გაგებას (Nye 1990, 25). ფართო განსაზღვრებით, ნაის მიხედვით, ძალა ნიშნავს სასურველი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და ჰგავს სიყვარულს, რადგან მისი განცდა უფრო ადვილია, ვიდრე გაზომვა (Nye 2004, 1). ძალის შედარებით ვიწრო ნაისეული გაგება შენთვის (ძალის განმახორციელებელი ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის – ავტ.) სასურველი შედეგის მისაღწევად სხვების (ქვეყნების, საზოგადოებების, სამიზნე ჯგუფების – ავტ.) ქცევის შეცვლის უნარსა და ცოდნას გულისხმობს, რომელიც სამი გზით – იძულებით (Coercion), გადასახადებითა (Payments) და მიმზიდველობით (Attraction) – შეიძლება განხორციელდეს (Nye 2004). ეს უკანასკნელი კი რბილი ძალის მოკლე შინაარსია.

საგარეო პოლიტიკისა და პოლიტიკის მეცნიერების სფეროში მოღვაწე მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევენ ძალის, როგორც ტერმინის განმარტებას (იხ.: Baldwin 2016). ძალის სწორად გაგების გარეშე სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესით განსაზღვრული საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიულ და თანამედროვე კომპლექსურ სტრუქტურას ვერ ჩავწვდებით. მართალია, როგორც არ არსებობს ტერმინის “კულტურა” ერთი კონკრეტული განსაზღვრება, ასევე ვერ შეიძლება მოიძებნოს ტერმინის “ძალა” სრულყოფილი განმარტება. მაგრამ, ძალის თითქმის ყველა ფუნქციური და სტრუქტურული განმარტება ერთმანეთს ავსებს. ძალის, როგორც საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი იარაღის უსაზღვრო შესაძლებლობების აღწერა რამდენიმე წინადადებით შეუძლებელია, ხოლო მისი

შედარებით სრულყოფილი აღწერა სხვადასხვა, მაგალითად, სტრატეგიული, ისტორიული, საშინაო პოლიტიკის კონტექსტის განხილვას მოითხოვს. ძალის განმარტების ისტორიული ფესვები ალბათ ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ისტორიკოსთან თუკიდიდესთან უნდა ვეძებოთ, რომელიც მიუთითებდა ძალისა და სიძლიერის შესახებ, როდესაც აღნიშნავდა, რომ ძლიერები აკეთებენ იმას, რისი გაკეთების საშუალებასაც მათ ხელთ არსებული ძალა აძლევს (Thucydides 1972, 402). ძალის განმარტებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჰანს მორგენტაუს (Hans Morgenthau) იდეები ძალისა და ძალის პოლიტიკის შესახებ. მორგენტაუ, რომლის აზრითაც საერთაშორისო სისტემა ძალისათვის ბრძოლას წარმოადგენს, მიუთითებს, რომ სახელმწიფო მოხელეები ფიქრობენ და მოქმედებენ ძალის მიერ განსაზღვრული ინტერესებით (Morgenthau 1948, 5). ბევრი მეცნიერი კი, მათ შორის, სამუელ ჰანტინგტონი (Samuel Huntington) განსაკუთრებულ ყურადღებას ძალისა და უსაფრთხოების დაცვაზე ამახვილებს. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ ძალა განმახორციელებელს საკუთარი ინტერესების გამომხატველი გარემოს შექმნის, სახელმწიფოს კი საკუთარი უსაფრთხოების დაცვისა და ამ გზით საფრთხეების განადგურების შესაძლებლობას აძლევს (Huntington 1993, 69-70).

საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში არსებობს ძალაუფლების სამი ასპექტი, რომელიც ამერიკელი პოლიტოლოგების კვლევებსა და სახელებს უკავშირდება. სამივე ასპექტი აკადემიურ სფეროში ცივი ომის პერიოდში განიხილეს. რბილ ძალასთან მათ კავშირს კი ჯოზეფ ნაი გვთავაზობს. პირველი ასპექტი, რომელიც 1950-იან წლებში ჩამოყალიბდა და რობერტ დალს (Robert Dahl) ეკუთვნის (Nye 2011, 11), სხვების (სამიზნე ჯგუფების –ავტ.) გამოწვევას, სტიმულირებასა და ამ გზით მათ მიერ იმ საქმის გაკეთებას გულისხმობს, რომელსაც ისინი სხვა მხრივ ვერ გააკეთებდნენ. რბილი ძალის მეშვეობით მათი გამოწვევა და სტიმულირება, ამ ძალის გამტარებელი ქვეყნის მიერ სანდოობისა და დარწმუნების ტექნიკის გამოყენებით, სამიზნე ჯგუფში არსებული უპირატესობების შეცვლას მოიცავს. ამასთანავე, დალი ძალას ხალხთაშორის ურთიერთობად განიხილავდა (Dahl 1957, 202). მეორე ასპექტი 1960-იან წლებში პიტერ ბაქრაჩმა (Peter Bachrach) და მორტონ ბარაცმა (Morton Baratz) შეიმუშავეს და ძალაუფლების სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და შექმნას გულისხმობს. ძალაუფლების მეორე ასპექტი და რობერტ დალის იდეები მათ 1962 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში განიხილეს (Bachrach and Morton 1962, 947-

52). ამ შემთხვევაში, რბილი ძალის განხორციელებისთვის სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სანდომიანობას იყენებს, ხოლო სამიზნე ჯგუფი მის სტრატეგიას კანონიერად აღიქვამს. ძალაუფლების მესამე ასპექტი 1970-იან წლებში სოციოლოგმა სტივენ ლუკმა (Steven Lukes) შეიმუშავა. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული აქცენტი ძალაუფლების მეშვეობით სხვების (სამიზნე ჯგუფების – ავტ.) უპირატესობების ფორმირებასა და ჩამოყალიბებას ენიჭება. ამ ასპექტის მიხედვით, რბილი ძალის განმახორციელებელი ქვეყანა სანდომიანობით ან/და ინსტიტუტების მეშვეობით აყალიბებს სამიზნე ჯგუფში არსებულ პრივილეგიებს (Nye 2011, 91). ლუკსი ძალასა და ძალაუფლების ბუნებას კონცეპტუალურად განიხილავს თავის წიგნში “ძალა: რადიკალური ხედვა” (Power: A Radical View) (იხ.: Lukes 2005).

ჯოზეფ ნაი, რომელიც თავისი ნაშრომებით საგარეო პოლიტიკის სფეროში ძალის სტრუქტურულ გააზრებას გვთავაზობს, განსაკუთრებულ ყურადღებას მის ცვალებად ბუნებაზე, გადანაწილებაზე, წყაროებზე, გამოწვევებსა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მის მნიშვნელობაზე ამახვილებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ მას უკავშირდება ტერმინის “რბილი ძალა” (Soft Power) შემოღება, რომელმაც ის 1990 წელს პირველად ახსენა თავის წიგნში “გზა პირველობისთვის: ამერიკული ძალაუფლების ცვალებადი ბუნება” (Nye 1990, 32). ალბათ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერის განხილვისას, იგი ფიქრობდა, რომ “რადაც” არასაკმარისი იყო. ამ “რადაცას” უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ იღებდა შეერთებული შტატები სასურველ შედეგებს საგარეო ასპარეზზე. და ეს “რადაც” სწორედ რბილი ძალა იყო, რომელიც სახელმწიფოს ძლიერების შესახებ იქამდე ბევრ პასუხგაუცემელ შეკითხვას სცემდა პასუხს.

ნაი ერთმანეთისგან მიჯნავს ძალის ორ სახეს, ხისტსა (Hard) და რბილს (Soft). ხისტი ძალას იგი აგრეთვე “ბრძანებით, დირექტიულ ძალას” (Command Power), რბილ ძალას კი “კოოპტაციურ, არჩევით ძალას” (Co-optive Power) უწოდებს (Nye 1990, 31). საერთაშორისო პოლიტიკაში არსებობს ტერმინი “გონიერი ძალა” (Smart Power), რომლის შემოღებაც ასევე ნაის სახელს უკავშირდება. ნაის მიხედვით, გონიერი ძალა ხისტი და რბილი ძალის კომბინირების უკეთესად შესწავლას გულისხმობს (Nye 2004, 32). მისივე სიტყვებით, ეფექტური ლიდერობა გონიერ ძალას, რბილი და ხისტი ძალის უნარების ნაზავს მოითხოვს (Nye 2008, xviii). რაც შეეხება ცივი ომის

პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიას, ნაი მიუთითებს, რომ ის ხისტი და რბილი ძალების გონივრულ კომბინაციას წარმოადგენდა. თუ შეერთებული შტატების სამხედრო ძალა საბჭოთა კავშირის აგრესიის უკუგდებას ცდილობდა, ამერიკული იდეები ძირფესვიანად ანადგურებდა კომუნიზმს რკინის ფარდის მიღმა (Nye, 2009). აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სუპერძალაუფლების სტატუსს ყოველთვის განსაზღვრავდა ხისტი ძალა, ამასთანავე შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული რესურსი ისტორიულად ყოველთვის იყო რბილი ძალა (Fraser 2003, 9). ცივი ომის პერიოდში კი შეერთებულმა შტატებმა შეძლო რბილი და ხისტი ძალის კომბინაცია (Nye 2010, 9) ამერიკელი მეცნიერის ამ მოსაზრების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება წარმოვადგინოთ რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდი. რეიგანი საბჭოთა კავშირთან არ წყვეტდა მაღალი დონის მოლაპარაკებებს შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, საგარეო პოლიტიკაში იყენებდა სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცივი ომის ბოლო ათწლეულს გადამწყვეტი როლი არა მხოლოდ ახალი ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის ვექტორის შეცვლის, არამედ აკადემიურ სივრცეში რბილი ძალის ტერმინის ჩამოყალიბებისა და, შესაბამისად, სახალხო დიპლომატიის სტრუქტურული თუ ფუნქციური გარდაქმნის საკითხში ჰქონდა.

1980-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობის ამერიკელ მკვლევრებს შორის გააქტიურდა დებატები ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სახელმწიფოს დაცემის, დაკნინების შესახებ. ე.წ. დეკლინისტური (ინგლ. Declinist) თეორიების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატების პოლიტიკა “გადამეტებული” იყო და რომ ამგვარი “გადამეტება” შეერთებული შტატების ძალაუფლებას ძირს გამოუთხრიდა. თუ დეკლინიზმს (Declinism) იდეოლოგიად განვიხილავთ, მაშინ ამ იდეოლოგიის ცენტრალურ ფიგურად პოლ კენედი (Paul Kennedy) უნდა მივიჩნიოთ. 1988 წელს გამოქვეყნებულ წიგნში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ამერიკელი პროფესორის რობერტ ლიბერის (Robert J. Lieber) მტკიცებით, საზოგადოებამ დეკლინისტური მოძრაობის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაშრომად მიიღო (Lieber 2008), მან ისტორიული იმპერიების ფონზე განიხილა შეერთებული შტატების ზესახელმწიფოებრიობა და ეს



უკანასკნელი პესიმისტურად შეაფასა. კენედის აზრით, შეერთებული შტატები, როგორც დიადი სახელმწიფო, წარუმატებლობისთვის იყო განწირული, რადგან მას საკუთარი გლობალური ინტერესებისა და ვალდებულებების ერთდროულად, თანაბრად დაცვის ძალა არ შესწევდა. კენედი ამგვარ მდგომარეობას „გადამეტებულ იმპერიულს“ ან „გადამეტებულად იმპერიულს“ (Imperial Overstretch) უწოდებდა (Kennedy 1988, 515). პესიმისტურ მიდგომასთან და ზემოთ აღნიშნულ სფეროებში შეერთებული შტატების დაკნინებასთან დაკავშირებულ მსჯელობასთან ერთად, კენედიმ მაინც აღნიშნა მსოფლიოში შეერთებული შტატების, როგორც დასავლური ალიანსის არსებითი ნაწილისა და არსებული გლობალური ეკონომიკური სისტემის ცენტრის, განსაკუთრებული მდგომარეობა. კენედის მიხედვით, უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რას გააკეთებდა, ან არ გააკეთებდა შეერთებული შტატები, ვიდრე ის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ სხვა დიდი სახელმწიფოები, რადგან, მისი სიტყვებით, შეერთებულ შტატებს კარგი და ცუდი მიზნების განხორციელებისთვის უფრო დიდი ძალა შესწევდა (Kennedy 1988, 535). ვფიქრობ, კენედი კარგი და ცუდი მიზნების განხორციელებისთვის შეერთებული შტატების ძალაში რბილი ძალის გასატარებლად აუცილებელ მახასიათებლებსა და სახალხო დიპლომატიას იდეურად უახლოვდებოდა. დეკლინისტურ თეორიებთან დაკავშირებული დებატების ფონზე კი შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტად ამახვილებდნენ ყურადღებას რბილ ძალასა და სახალხო დიპლომატიაზე.

დეკლინისტური თეორიების დებატებში მონაწილეობდა ჯოზეფ ნაიც, რომელიც მათ აკრიტიკებდა (Zahran in Parmar 2010, 13). სავარაუდოდ, სწორედ ამ დებატების პერიოდში ნაი ძალის ბუნებაზე, სახეებსა და მახასიათებლებზე დაფიქრდა. ამას მოწმობს ის, რომ სწორედ 1990 წელს გამოცემულ წიგნში მან სტრუქტურულად განიხილა სახელმწიფოს ძალა და ახსენა ტერმინი “რბილი ძალა”. ამავე წელს ნაიმ დეკლინისტური თეორიების მომხრეების საპასუხოდ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების ძალაუფლების დაკნინების შესახებ მსჯელობა ამ ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას არ ეფუძნებოდა და ისტორიული რეალობა საპირისპირო სურათს ხატავდა. ამასთანავე იგი მიუთითებდა, რომ დეკლინისტურ თეორიებში არ იყო გათვალისწინებული ამერიკის სიძლიერე ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და იდეოლოგიის სფეროში (Nye 1990).

დეკლინისტურ თეორიებთან და რბილ ძალასთან დაკავშირებული დებატების მიმოხილვა გვებმარება იმ ვითარების განსაზღვრაში, რომელიც 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატიის თეორიულ სფეროში არსებობდა. 1980-იან წლებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში დეკლინისტური თეორიების დებატების პერიოდს, რბილი ძალის ისტორიოგრაფიაში საწყის ეტაპად მიიჩნევენ მკვლევრები გერალდო ზაჰრანი (Geraldo Zahran) და ლეონარდო რამოსი (Leonardo Ramos) (Zahran 2010, 13).

რბილი ძალა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, განსაკუთრებით კი, ცივი ომის პერიოდში, ძალაუფლების ტრანსფორმაციასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ნაის აზრით, რბილი ძალა იმდენად გაიგივდა ცივი ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომ მხოლოდ ცოტა ამერიკელმა შენიშნა, ინფორმაციული რევოლუციის გამოჩენასთან ერთად, რბილი ძალის როლის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზრდა (Nye 2004 (83:3), 17).

ძალის დუალისტური სახე საშუალებას გვაძლევს იგი ორ – ხისტ და რბილ ასპექტად ჩამოვყალიბოთ. ხისტი ძალა პრობლემის მოგვარებისას პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას, რბილი ძალა კი ერებს შორის არსებული პრობლემების აღმოფხვრას კულტურათა დიალოგის გზით გულისხმობს. ვფიქრობ, ხისტი და რბილი ძალა ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ, ამასთან ერთად, დამოუკიდებელი ცნებებია. ურთიერთდაკავშირება გულისხმობს იმას, რომ როგორც ხისტი, ასევე რბილი ძალა ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. დამოუკიდებლობა კი ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ღონისძიების გატარებაში გამოიხატება. საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში დემოკრატიული ქვეყნები აქტიურად იყენებენ რბილ ძალას, რადგან პრაქტიკული განხორციელებისას პირდაპირ არ მოაქვს ნეგატიური შედეგები. მაგალითად, ხისტი ძალის გამოყენებისაგან განსხვავებით, მან არ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანური დანაკარგი. უფრო მეტიც, რბილი ძალა ეხმარება ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარი მიზნები და სურვილები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვისაც სასურველი გახადოს. ამგვარ მიდგომას ჯოზეფ ნაი მსოფლიო პოლიტიკაში მიმზიდველობას უწოდებს, რაც, მისი სიტყვებით, ქვეყანას სხვა ქვეყნის მიერ საკუთარი ღირებულებების მოწონებით ისევ და ისევ საკუთარი მიზნების განხორციელებაში ეხმარება (Nye 2004, 5). მაგრამ, რბილი ძალის ისევე, როგორც ძალის სხვადასხვა სახის, გამოყენება როგორც კარგი, ასევე ცუდი

მიზნებისთვის შეიძლება (Nye 2011, 81). აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ რბილი ძალის მეშვეობით სახელმწიფო უცხოურ საზოგადოებებში თავად ქმნის საკუთარი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ წარმოდგენას; ეს წარმოდგენები კი ქვეყანას მსოფლიო ასპარეზზე საკუთარი იმიჯის განსაზღვრაში ეხმარება.

საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ნაი რბილი ძალის სამი რესურსის შესახებ საუბრობს. პირველი რესურსია ქვეყნის კულტურა, მეორე – პოლიტიკური ღირებულებები, ხოლო მესამე – საგარეო პოლიტიკა (Nye 2004, 11). უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კულტურა რბილი ძალის წყარო ხდება მაშინ, როდესაც იგი უნივერსალურ ღირებულებებს შეიცავს. მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ რბილი ძალის პოტენციურ რესურსს ქვეყნის საშინაო და საგარეო სამთავრობო პოლიტიკაც წარმოადგენს, რომელსაც როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი ეფექტები აქვს (Nye 2004, 13) და სახელმწიფოს რბილი ძალის გაძლიერება ან გაფლანგვა შეუძლია (Nye 2004, 14). რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, როგორც რბილი ძალის წყაროს, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უცხოური საზოგადოებების სურვილებზე ძლიერ გავლენას, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ინსტიტუტებში თანამშრომლობისას დაცული და საგარეო პოლიტიკაში წარმოჩენილი ღირებულებები ახდენს. უფრო მეტიც, მთავრობებს საკუთარი ქმედებებით, მაგალითებით, შეუძლიათ როგორც მიიზიდონ, ასევე ჩამოიშორონ, საკუთარი თავის მიმართ უარყოფითად განაწყონ უცხოური საზოგადოებები. სწორედ ამიტომ აღნიშნავს ნაი, რომ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სახელმწიფოს რბილი ძალის როგორც გაძლიერება, ასევე დასუსტება შეუძლია (Nye 2002, 73). ვფიქრობ, რბილი ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი კულტურაა, რადგან კულტურული ღირებულებებით წარმოებული დიალოგი სახელმწიფოებმა ყველა საგარეოპოლიტიკურ, მათ შორის, კონფლიქტურ და არაკონფლიქტურ ვითარებაშიც კი ყველაზე ეფექტურად შეიძლება გამოიყენონ. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს ცივი ომის პერიოდში ამერიკულ სახალხო დიპლომატიაში კულტურის ელემენტების ინტეგრირება. კულტურული დიპლომატიის (Cultural Diplomacy) სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ბალეტის დიპლომატიით (Khatiashvili 08.30.2017) და ჯაზის ელჩების დახმარებით (Khatiashvili 05.02.2019), შეერთებული შტატების მთავრობა ამერიკული ღირებულებების გავრცელებას ცდილობდა.

ამერიკელი მკვლევარი ქრეიგ ჰეიდენი (Craig Hyden) მიუთითებს, რომ რბილი ძალის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ის ადგილობრივი დისკურსიული ინსტიტუციები, რომლებიც საგარეო პოლიტიკის აზრს მართავს (Hyden 2012, 65). და მაინც რა მართავს საგარეო პოლიტიკის აზრს, რამ შეიძლება შექმნას რბილი ძალა? რბილ ძალას აყალიბებს საგარეოპოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც საგარეო პოლიტიკის სფეროში ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და ხორციელდება სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით. საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, რბილი ძალის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის ჩართვა სახალხო დიპლომატიის იმ აქტივობებში, რომელიც საგარეო პოლიტიკის სამთავრობო სტრატეგიას უკავშირდება. ყველა ქვეყანას აქვს რბილი ძალის რესურსი, მაგრამ სახალხო დიპლომატიის მეშვეობით სახელმწიფოები მას მეტნაკლებად აქტიურად იყენებენ. ხშირად ისინი მაინც ხისტი ძალის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. მაგრამ გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხანაში სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ საკუთარი ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციას სახალხო დიპლომატიის გამოყენებით.

პატარა ქვეყნებს, მაგალითად, საქართველოს, რბილი ძალის გამოყენება, სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით, ტურისტების მიზიდვასა და ამ გზით ეკონომიკის გაძლიერებაში ეხმარება. სახალხო დიპლომატიის განხორციელებით მიღწეული შედეგების წარმატებასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, ჯოზეფ ნაი რბილი ძალით მიღწეული შედეგების წარმატება-წარუმატებლობის საკითხში სამ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ამ შემთხვევაში წარმატებას განაპირობებს ის, თუ რამდენად ფლობს სახელმწიფო, რბილი ძალის მეშვეობით, სამიზნე ჯგუფს. მეორე საკითხად ის შედეგების მისაღწევად საჭირო დროს განიხილავს და აღნიშნავს, რომ შედეგების მიღწევას ხშირად დიდი დრო სჭირდება, პოლიტიკოსები და საზოგადოებები კი, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების საპასუხოდ, მყისიერ მოგებას ელიან. მესამე საკითხად ნაი რბილი ძალის ინსტრუმენტების განმახორციელებელ სექტორზე ამახვილებს ყურადღებას. მისი მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები აკონტროლებენ პოლიტიკას, რბილი ძალის ინსტრუმენტები მთლიანად მათ კონტროლს არ ექვემდებარება, რადგან კულტურა და ღირებულებები სამოქალაქო საზოგადოებებშია ფესვგადგმული (Nye 2011, 83).

მართლაც, თუ, ამ სამივე ფაქტორს დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მათ დიდი როლი ეკისრება რბილი ძალის მეშვეობით სასურველი შედეგის მიღწევაში. შესაბამისად, სახალხო დიპლომატიის წარმატებას განაპირობებს განმახორციელებელი ჯგუფის კომპეტენცია და სწორად განსაზღვრული სამიზნე ჯგუფი. თუმცა, ვფიქრობ, რომ მათგან ყველაზე მნიშვნელოვან როლს მაინც სამიზნე ჯგუფის საკითხი ასრულებს. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ კარგად განსაზღვროს სამიზნე ჯგუფი, ანუ, უცხოური საზოგადოების ის ნაწილი, რომლისკენაც რბილი ძალა სახალხო დიპლომატიის აქტივობებით მიემართება. სამიზნე ჯგუფის მკაფიოდ განსაზღვრა მთავრობებს სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების სათანადოდ დაგეგმვაში ეხმარება. თუ სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები სამიზნე ჯგუფებს კარგად მოერგება, სახალხო დიპლომატიის სამთავრობო სტრატეგიის წარმატება გარდაუვალი იქნება.

ბოლო პერიოდში, რბილი ძალის ჯოზეფ ნაისეული კონცეფცია მკვლევრების კრიტიკული განხილვის ობიექტი გახდა. მაგალითად, ნაილ ფერგუსონის (Niall Ferguson) აზრით, რბილი ძალა ეროვნული ინტერესების დასაცავად ძალიან „რბილია“. სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ტაკეში მაცუდას (Takeshi Matsuda) მიხედვით კი, რბილი ძალა ორმხრივ კულტურულ გაცვლით პროგრამებს უნდა ეფუძნებოდეს და არა ერთმხრივ, უნილატერალურ კულტურულ იმპერიალიზმს (Dutta 04.06.2018). ვფიქრობ, რბილი ძალა ეროვნული ინტერესების დასაცავად არც ისეთი რბილია. ამასთანავე, სახალხო დიპლომატია არის ის ინსტრუმენტი, რომელიც რბილი ძალის გამოყენებით ორმხრივობის პრინციპს ეფუძნება. თუმცა საგულისხმოა ამ კონკრეტულ საკითხებს რომელ ისტორიულ ან როგორ სახელმწიფოებრივ წყობას მივუსადაგებთ. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში სახელმწიფოები რბილ ძალას მართლაც უნილატერალურ კონტექსტში გამოიყენებენ. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

როგორც აღინიშნა, სახალხო დიპლომატია რბილი ძალის წარმოქმნის, გატარების ერთ-ერთი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, რადგან უკვე მიმოხილულია რბილი ძალის განსაზღვრება და ისტორიოგრაფია, ახლა მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახალხო დიპლომატიის კონცეფცია და არსი.

საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის სფეროში მოქმედ სახელმწიფოებს სახალხო დიპლომატია, საგარეო პოლიტიკის წარმართვისას, ხალ-

ხთაშორისი ურთიერთობის გაძლიერებისა და მთავრობებსა და საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის დამყარების შესაძლებლობას აძლევს. სახალხო დიპლომატია გონიერი ძალის მნიშვნელოვანი იარაღი (Cowan and Cull 2008, 300) და, - შესაბამისად, რბილი ძალის კარგად განსაზღვრული ნაწილია.

თანამედროვე ამერიკული სახალხო დიპლომატია ისწრაფვის, რომ უცხოური საზოგადოებების ინფორმირებითა და მათზე გავლენით, მსოფლიოს მოქალაქეებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ხალხს შორის არსებული ურთიერთობის გაფართოებითა და გაძლიერებით, ხელი შეუწყოს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს, განამტკიცოს ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება (U.S. Department of State Website). ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ცნების ამგვარად ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა ისტორიულმა მოვლენამ.

სახალხო დიპლომატიის ამოქმედება სახელმწიფოს რბილი ძალის გავრცელებასა და გამოყენებაში ეხმარება. როგორც წესი, სახალხო დიპლომატიას, სახელმწიფო განსაზღვრავს. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში სახალხო დიპლომატიის მთავარ შემუშავებლად და განმახორციელებლად სახელმწიფო დეპარტამენტი გვევლინება. თუმცა, სახალხო დიპლომატია არ არის მოქცეული მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურის ფარგლებში. სახალხო დიპლომატიის, როგორც დიპლომატიის ახალი სახის, ერთ-ერთი უნიკალურობა იმითაც გამოიხატება, რომ მისი შემუშავებისა და განხორციელების უფლებამოსილება სამთავრობო სექტორს სცილდება და არასამთავრობო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლობით ჯგუფს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, აკადემიური და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ა.შ. აქვთ. სახალხო დიპლომატია, როგორც ტერმინი მიუთითებს, მოიცავს ხალხს, საზოგადოებას. შესაბამისად, საზოგადოების ყველა ჯგუფსა და მოქალაქეს შეუძლია მისი პრაქტიკული განხორციელება სხვადასხვა ღონისძიების – როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური – საშუალებით. სახალხო დიპლომატიის განხორციელების შესაძლებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სავაჭრო კომპანიებსაც შეუძლია (Cull 2009, 12). შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მესვეურებისთვის სახალხო დიპლომატია უცხოურ მთავრობებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების საშუალებაა. მართალია, სახალხო დიპლომატია ცივი ომის პერიოდში შეერთებული

შტატების აქტივობების შედეგს წარმოადგენს, მაგრამ, ეროვნული და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო ურთიერთობის სფეროში, დიდი ხანია იყენებს სახალხო დიპლომატიას, როგორც ტრადიციული მთავრობათაშორისი დიპლომატიის დამატებას (Cowan and Cull 2008, 6-7).

სახალხო დიპლომატია, როგორც ტერმინი, 1960-იან წლებში ერთმანეთთან დააკავშირა ამერიკელმა დიპლომატმა, სამართლისა და დიპლომატიის ფლეთჩერის სკოლის დეკანმა ედმანდ გულიანმა (Edmund Gullion). გულიანის მიხედვით, სახალხო დიპლომატია გამოხატავდა კომუნიკაციის, ინფორმაციისა და პროპაგანდის ერთობლიობას (Arndt 2007, 480). სახალხო დიპლომატია უცხოურ საზოგადოებებთან კავშირს პირდაპირი და არაპირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით ამყარებს. პირდაპირი კომუნიკაცია მოიცავს სამთავრობო ინფორმაციას, მედია მაუწყებლობას, სამთავრობო სემინარებს, უცხოელ მოქალაქეებთან შეხვედრებსა და სხვა პირდაპირ კავშირებს. არაპირდაპირი ფორმა კი გულისხმობს, მაგალითად, სტუდენტების ჩართვას გაცვლით პროგრამებში, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებს, რომლის საშუალებითაც ამერიკელები უცხოურ საზოგადოებას ეცნობიან (Jordan 2009, 240).

სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის ამერიკელი პროფესორის ერნესტ ჯეი უილსონის აზრით, სახალხო დიპლომატია საერთაშორისო მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია (ინტერვიუ ერნესტ ჯეი უილსონთან 10.04.2019).

ვფიქრობ, სახალხო დიპლომატიის მეშვეობით, ღირებულებების, იდეების, შეხედულებებისა და ინფორმაციის გაცვლის ღია სისტემის შექმნით, სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს უცხოურ საზოგადოებებზე. მართალია, ამ მხრივ, სახალხო დიპლომატიას ხშირად განიხილავენ როგორც საერთაშორისო პროპაგანდის ფორმას (Smith 1989, 7), მაგრამ, სახალხო დიპლომატიის ამერიკული გაგება გამორიცხავს პროპაგანდას. როგორც სახალხო დიპლომატიისა და პროპაგანდის მკვლევარი, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის (კალიფორნია, აშშ) პროფესორი ნიკოლას ქალი (Nicholas J. Cull) განმარტავს, პროპაგანდა პოლიტიკური მასობრივი დარწმუნებაა (Cull 2019). ასევე, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის დირექტორის, პროფესორ ჯეი უანგის (Jay Wang) მიხედვით, პროპაგანდა არ ეფუძნება ურთიერთობას; პროპაგანდა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებაა

(ინტერვიუ ჯეი უანგთან 18.04.2019). თუ პროპაგანდას მართლაც პოლიტიკურ მასობრივ დარწმუნებად განვიხილავთ, სახალხო დიპლომატია ნამდვილად არ წარმოადგენს პროპაგანდას. თუმცა, რბილი ძალის გამოყენება სახელმწიფოს სხვა მეთოდებით პოლიტიკური მასობრივი დარწმუნების მისაღწევად შეუძლია. მაგალითად, ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს რუსეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რბილი ძალის მიზნები პროპაგანდის საშუალებით, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური შინაარსის მესიჯების გავრცელებასა და საზოგადოების მასობრივ დარწმუნებას ისახავს მიზანს. ამის ფონზე, შეერთებული შტატები ცივი ომის პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში ამერიკულ იდეებს, ღირებულებებს ავრცელებდა, სახალხო დიპლომატიას პოლიტიკური მასობრივი დარწმუნების იარაღად არ იყენებდა. ამ პერიოდში შეერთებული შტატები სახალხო დიპლომატიას საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში პროამერიკული საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად სჭირდებოდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების დადებითი იმიჯის ფორმირებას ემსახურებოდა. მართალია, შესაძლოა, ბევრმა აღნიშნოს, რომ შეერთებული შტატები პროპაგანდას იყენებდა ცივი ომის პერიოდში, მაგრამ ეს პროპაგანდა არ იყო გამოყენებული ამ სიტყვის ნეგატიური მნიშვნელობით, რადგან შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, იმიჯის ფორმირებას მოსახლეობაში უტყუარი და არა ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ცდილობდა.

ამერიკელი პროფესორის, რადიო „ამერიკის ხმის“ 22-ე დირექტორის ჯეფრი ქოუვანის თქმით, ცივი ომის პერიოდის ამერიკული სახალხო დიპლომატიის ფილოსოფია, საბჭოთა პროპაგანდის საპირისპიროდ, ჭეშმარიტების, სიმართლის გადმოცემა იყო (ინტერვიუ ჯეფრი ქოუვანთან 16.04.2019).

ჯოზეფ ნაის მიხედვით, სახალხო დიპლომატია გამოხატავს მთავრობის ძალისმხევას, პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს უცხოურ საზოგადოებებთან; შესაბამისად, მისი ეფექტურობა იზომება სამიზნე ჯგუფის შეცვლილი შეხედულებებით, რომელიც გამოკითხვებით შეიძლება გავიგოთ (Nye 20.05.2019). სახალხო დიპლომატიაში რომ ცენტრალურ ადგილს უცხოურ საზოგადოებებთან კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენს, ამას სახალხო დიპლომატიის თითქმის ყველა განმარტებაში ვხვდებით. მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის ცენტრის (კალიფორნია, აშშ) დირექტორის



ჯეი უანგის აზრით, სახალხო დიპლომატია იმ სხვადასხვა საშუალების ერთობლიობაა, რომელიც სახელმწიფოებსა და ხალხს უცხოურ საზოგადოებებთან დაკავშირების შესაძლებლობას აძლევს, რომელიც მას საკუთარი ქვეყნის მიმართ გაუმჯობესებული დამოკიდებულებისა და სასურველი ურთიერთობის მიღებაში ეხმარება. მისივე სიტყვებით, სახალხო დიპლომატია ქმნის რბილ ძალას, რომელიც თანამედროვე გლობალურ საკითხებში შეუცვლელი ფაქტია (Wang 15.01.2019). სახალხო დიპლომატიის გამოყენებით სახელმწიფო სამიზნე ჯგუფთან პირდაპირ და არაპირდაპირ კომუნიკაციას ამყარებს. სახალხო დიპლომატიის საშუალებით პირდაპირი კომუნიკაცია მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლების ან სააგენტოების მიერ უცხოურ საზოგადოებასთან სამთავრობო ინფორმაციის, მედია მაუწყებლობის, სამთავრობო სემინარების, შეხვედრებისა და სხვა სახის პირდაპირი კონტაქტების გამოყენებას. არაპირდაპირი კომუნიკაციის დროს ამერიკელებსა და უცხოური ქვეყნების საზოგადოებებთან კომუნიკაცია მყარდება სტუდენტების გაცვლითი პროგრამების, კულტურული აქტივობების, ეკონომიკური ჩართულობისა და სხვა ამგვარი სახის ღონისძიებების მეშვეობით (Jordan 2009, 240).

დღესდღეობით, ისევე როგორც ცივი ომის პერიოდში, სახალხო დიპლომატიას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ობიექტური, ჭეშმარიტი ინფორმაციის გავრცელების საქმეში. ამ გზით შეერთებული შტატები საბჭოურ პროპაგანდასთან წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც დეზინფორმაცია და ყალბი სიახლეები ამახინჯებს საკომუნიკაციო საშუალებებს, ჭეშმარიტი და უტყუარი ამერიკული შეტყობინების გადაცემა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიმართულებით, სახალხო დიპლომატია უმთავრესი არხია, რომლითაც მსოფლიოს ხალხისთვის ამგვარი ჭეშმარიტი და უტყუარი შეტყობინების გადაცემა შესაძლებელი (Levine, Schnabel and Wang 30.10.2017). სახალხო დიპლომატიის ამერიკელი პროფესორის რობერტ ბანკსის აზრით, დეზინფორმაცია და მიზინფორმაცია თანამედროვე სამყაროში უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე სიახლეები; შესაბამისად, აუცილებელია, ხალხს მისი შეფასების საშუალებები ჰქონდეს (ინტერვიუ რობერტ ბანკსთან 09.04.2019).

ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ ფუძემდებლურ კანონად ითვლება 1948 წელს მიღებული ე.წ. სმიტ-მუნდტის კანონი,

ინფორმაციისა და განათლების გაცვლის კანონი (Smith-Mundt Act Information and Educational Exchange Act). ამ კანონის მიხედვით, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ენიჭებოდა კანონიერი უფლება, უცხოურ საზოგადოებებს მაუწყებლობის, უშუალო კონტაქტების, საგანმანათლებლო, კულტურული და ტექნიკური სახის გაცვლითი პროგრამების, ონლაინ აქტივობების, წიგნების, ჟურნალებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების საშუალებით, დაკავშირებოდა (Smith-Mundt Act 1948).

სახალხო დიპლომატია წარმოაჩენს რბილ ძალას. თუ ცივი ომის პერიოდში ამერიკული სახალხო დიპლომატიის მიზანი საბჭოთა კავშირის იდეოლოგიასთან “შეპირისპირება” და საბჭოთა კავშირის მოსახლეობასთან, ამერიკული იდეებისა და ღირებულებების გავრცელებით, პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენდა, ცივი ომის პერიოდის შემდეგ შეცვლილი გეოპოლიტიკური და ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, მისი მიზნები შეიცვალა. თანამედროვე პერიოდში, ამერიკული სახალხო დიპლომატიის როლი გაზრდილია, მაგალითად, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის ნეგატიური გავლენის გასაწინააღმდეგო (Comprehensive Annual Report 2016). როგორც ჩანს, სახალხო დიპლომატიის მეშვეობით წარმოჩენილი რბილი ძალის ეფექტურობა მართლაც დიდი იყო ცივი ომის პერიოდში. მაგალითად, ჯოზეფ ნაი თავის ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნავს, რომ რბილმა ძალამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცივი ომის მოგებაში (Nye 2019). ნაის დასკვნას ვეთანხმები. მართლაც, ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატები რბილი ძალის გამოყენებით სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებდა, რამაც მას საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიურ ბრძოლაში წარმატების მიღწევის ძლიერი საფუძველი შეუქმნა. საბოლოო ჯამში კი, ამ წარმატებამ ცივი ომის მოგებაში დიდი როლი ითამაშა.

სახალხო დიპლომატია დიპლომატიური პრაქტიკის რეკონცეპტუალიზაციას მოითხოვს (Mellisen and Wang 2019). დიპლომატიური პრაქტიკის რეკონცეპტუალიზაცია კი გამოწვეულია საგარეო პოლიტიკის სფეროს სწრაფად ცვალებადი ბუნებით.

სახალხო დიპლომატიის განსაზღვრების განხილვის შემდეგ, აუცილებელია მივუბრუნდეთ სახალხო დიპლომატიის არსის განსაზღვრებას 1980-იანი წლების გადმოსახედიდან. ცივი ომის ბოლო ათწლეულში შეერთებული შტატების

პრეზიდენტმა, რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა, “ბოროტების იმპერიის” – საბჭოთა კავშირის, დაშლა დაისახა მიზნად. როგორი ტაქტიკით, საგარეოპოლიტიკური მიდგომით შეძლებდა ის ამ მიზნის განხორციელებას? ბირთვული ომის ზღვარზე მისულ სამყაროში დიპლომატიის რომელი სახით განეიტრალდებოდა საერთაშორისო დამაბულობა? რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკაში ხისტი მიდგომები – მოლაპარაკებები შეიარაღებასთან დაკავშირებით, სამხედრო და ეკონომიკის სფეროში, რეიგანის ადმინისტრაციას მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეულ სარგებელს მოუტანდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლა მისი მთავარი იდეოლოგიის, კომუნიზმის, განადგურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ხისტი ძალა სოციალისტურ ღირებულებებს, კომუნისტურ იდეებს საზოგადოებაში ვერ გააქრობდა და მათ კაპიტალისტური ღირებულებებით, დემოკრატიული იდეებით ვერ ჩანაცვლებდა. აუცილებელი იყო სახალხო დიპლომატიის ელემენტების ამოქმედება, რომელიც საგარეო პოლიტიკაში, შედარებით რბილი მიდგომებით, ჯერ კომუნისტურ იდეოლოგიას შეებრძოლებოდა, საბოლოოდ კი, მისი მთავარი გამავრცელებლის – საბჭოთა კავშირის რღვევასა და დაშლას გამოიწვევდა.

მართალია, ჯოზეფ ნაი ერთგან აღნიშნავს, რომ ცივი ომის მოგება შეკავების პოლიტიკის იმ სტრატეგიამ განაპირობა, რომელშიც რბილ ძალასთან ერთად ხისტი ძალა იყო გამოყენებული (Nye 2004, 16), მაგრამ ამ მიმართულებით დიდი როლი ეკისრებოდა ხალხთაშორისი კავშირების დამყარებას, რადგან მისივე სიტყვებით, რბილმა ძალამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ცივი ომის მოგების საქმეში. საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პროპაგანდასთან გამკლავებასა და ამ გზით, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნების ხელშესაწყობად სახალხო დიპლომატიის აქტივობების გამოყენება მართლაც განსაკუთრებით აღსანიშნავია. მართალია, რეიგანის გაპრეზიდენტებისას შესაძლოა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მისი პრეზიდენტობისას საერთაშორისო ურთიერთობის სფერო მკვეთრად შეიცვლებოდა (Casey 2015, 195), მაგრამ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ ცივი ომის დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საერთაშორისო ასპარეზზე ამ ადმინისტრაციის ნაბიჯებმა ცივ ომში შეერთებული შტატების იდეოლოგიური გამარჯვება განაპირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცივი ომი შეიძლება უფრო ადრე, ან უფრო მოგვიანებით დასრულებულიყო. ამ ფონზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს

სახალხო დიპლომატიის მიზნებისა და აქტივობების განხილვაზე, რომელმაც რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციას ცივ ომში საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიური გამარჯვება მოუტანა.

1980-იან წლებში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობაზე რონალდ რეიგანი საკუთარ გამოსვლებში მიუთითებდა. რეიგანის საჯარო გამოსვლების განხილვა, რომელშიც იგი სახალხო დიპლომატიის საკითხებზე საუბრობდა, 1980-იან წლებში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სფეროში სახალხო დიპლომატიის კონტექსტის დახასიათებაში გვხვდება.

1980-იან წლებში რეიგანის საჯარო გამოსვლების ანალიზის მიხედვით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ რეიგანისთვის სახალხო დიპლომატია აღმოსავლეთ ბლოკსა და საბჭოთა კავშირში დემოკრატიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის საფუძველს ნიშნავდა (Reagan 28.10.1988).

სახალხო დიპლომატიის პერსპექტივიდან გამომდინარე, რეიგანის საჯარო გამოსვლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ერთადერთიც კი, იყო მისი სიტყვა 1987 წლის 16 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა კომისიის (U.S. ACPD) ორმოცი წლისთავისთვის მიძღვნილ კონფერენციაზე. ეს იყო გამოსვლა, რომელშიც პრეზიდენტმა რეიგანმა სახალხო დიპლომატიის შესახებ ერთდროულად ბევრი მიმართულებით ისაუბრა. მისი სიტყვებით, საინფორმაციო ხანაში მხოლოდ ტრადიციული დიპლომატია არ იყო საკმარისი, რადგან აუცილებელი იყო შეერთებულ შტატებს არა მხოლოდ უცხოურ მთავრობებთან, არამედ მათ ხალხთან ესაუბრა და სახალხო დიპლომატიის განსახორციელებლად ყველა არსებული შესაძლებლობა და რესურსი შეეკრიბა. მისი აზრით, ლიდერებს მსოფლიოს ხალხთან უნდა ესაუბრათ. რეიგანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახალხო დიპლომატიის ადმინისტრაციულ და საფინანსო მიმართულებაზე, კერძოდ, ბიუჯეტირების, პროგრამირებისა და ტექნოლოგიის საკითხებში მისი ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ პროგრესზე. რეიგანი რომ სახალხო დიპლომატიის სფეროში სიტყვების გამოყენებას აქცევდა დიდ ყურადღებას, სწორედ ამავე გამოსვლაში ჩანს. მისთვის, სახალხო დიპლომატია ისტორიის კურსის შეცვლას ნიშნავდა საუბრით და არა ძალით, ძალდატანებით. მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანელი მოღვაწის ბენჯამინ

დისრაელის სიტყვების – “სიტყვებით ვმართავთ ხალხს” – მოხმობით, რეიგანმა აღნიშნა, რომ სახალხო დიპლომატია შეერთებული შტატების სახელმწიფოს სამსახურში, მსოფლიოს ისტორიის ფორმირების კონტექსტში, ყველაზე ძლიერ ძალას წარმოადგენს, რომელიც თავისუფლების ახალი ხანის ხედვას აყალიბებს. რეიგანი აღნიშნავდა, რომ სახალხო დიპლომატები იცავდნენ თავისუფლებას, სახალხო დიპლომატია კი მსოფლიოში უფროდაუფრო მეტ ადამიანს იმედს უსახავდა (Reagan 16.09.1987)

ამავე გამოსვლისას, იდეების, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და სამხედრო ძლიერების მიმართულებით არსებულ მსოფლიო ბრძოლაში, 1980-იან წლებში შეერთებულ შტატებთან დაკავშირებული პესიმისტური საზოგადოებრივი განწყობის აღნიშვნასთან ერთად, რეიგანმა ყურადღება გაამახვილა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ვითარებისა და სახალხო დიპლომატიის ბუნების ცვლილებაზე.

ამ ყველა საკითხთან ერთად, ეს სიტყვა კიდევ სხვა მიმართულებითაცაა მნიშვნელოვანი. ამ გამოსვლისას რონალდ რეიგანმა ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის – მისივე თქმით, შეერთებული შტატების თითქმის ყველაზე ძლიერი ძალის, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი დანიშნულებით მსოფლიოს ისტორიის შესაცვლელად შეეძლოთ – იმ სამი ელემენტის შესახებ ისაუბრა, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებდა საგარეო პოლიტიკის სფეროში. რეიგანის მიხედვით, მის ადმინისტრაციაში სახალხო დიპლომატიას, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებდა წარსული წლების დაუკმაყოფილებლობის განცდის გაქარწყლების შესაძლებლობა. ეს დაუკმაყოფილებლობის განცდა და ეჭვი არასდროს შეესაბამებოდა შეერთებული შტატების მსოფლიო პოზიციასთან დაკავშირებულ ობიექტურ შეფასებასა და ფაქტებს. აქედან გამომდინარე, რეიგანმა აღნიშნა, რომ სხვა ერების საზოგადოებასთან საუბრისას ამერიკელებს უნდა განემტკიცებინათ და ხელახლა დაემოწმებინათ იმგვარი ისტორიული რეალობა, რომელიც გულისხმობდა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ ახასიათებდა ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რომ დასავლურ სამყაროში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ მცირდებოდა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ დაუპყრია ავღანეთი და არ ალუკვეთია ერთიანობა. მეორე მხრივ, როგორც ამ სიტყვით გამოსვლაშია აღნიშნული, სახალხო დიპლომატია

მოწოდებული იყო საზოგადოებისთვის გადაეცა ხედვა, მასთან თავისუფლების ახალი ეპოქის შესახებ ესაუბრა და მსოფლიო თავისუფლების სამომავლო სტრატეგია შეექმნა. რეიგანისთვის სახალხო დიპლომატიის მესამე ელემენტი მორალს უკავშირდებოდა და გულისხმობდა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიო ძალების, მორალური შესაბამისობის განსაზღვრას. თუმცა, აღნიშნა, რომ არ არსებობდა შესაბამისობა ტოტალიტარულ და დემოკრატიულ სამყაროს, პროპაგანდასა და ჭეშმარიტებას შორის.

ამ გამოსვლისას რეიგანის მიერ განხილული სახალხო დიპლომატიის სამი ელემენტის მიმოხილვის ფონზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები.

პირველი მიზანი, ობიექტური შეფასებისა და ფაქტების გამოყენებით, მსოფლიო საზოგადოებაში ისტორიული დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გაქარწყლებას, შეერთებული შტატების მსოფლიო პოზიციისა და ეკონომიკის, სოციალური საკითხების, სამოქალაქო ერთიანობისა და თავისუფლების მიმართულებით დემოკრატიული სახელმწიფოს უპირატესობის ჩვენებას წარმოადგენდა.

მეორე მიზანი გულისხმობდა იმას, რომ სახალხო დიპლომატია მოწოდებული იყო მსოფლიო მოსახლეობისთვის გაეჟღერებინა თავისუფლების ახალი ეპოქისა და მსოფლიო თავისუფლების სამომავლო სტრატეგიის შესაქმნელად საჭირო ხედვა.

მესამე მიზანი ემსახურებოდა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მორალური შესაბამისობის განსაზღვრას, ტოტალიტარულ წყობასა და პროპაგანდასთან შედარებით, დემოკრატიული სახელმწიფო წყობისა და ჭეშმარიტი ფაქტების უპირატესობის ჩვენებით.

სახალხო დიპლომატიის სფეროსთან რეიგანის დამოკიდებულებაზე რეიგანის ასისტენტმა კომუნიკაციების საკითხებში დევიდ გერგენმაც (David R. Gergen) მიუთითა, როდესაც აღნიშნა, რომ იდეების საერთაშორისო შეჯიბრში რეიგანმა აჩვენა, რომ ძლიერი სახალხო დიპლომატია ამერიკის მთავრობის მნიშვნელოვანი ღირსება შეიძლება იყოს (Reagan Letter 16.01.1984).

აღსანიშნავია, რომ 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატიის ტერმინის შინაარსობრივ აღწერასაც ახალი განმარტებები დაემატა და გამდიდრდა. 1980-იან წლებში ამერიკული სახალხო დიპლომატიის არსის განსაზღვრებაში ამავე პერიოდის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა

დოკუმენტის განხილვა დაგვეხმარება. ამ მასალების განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია, აღინიშნოს, რომ სახალხო დიპლომატია მოიცავდა მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროგრამებს, რომლის ძირითადი ინსტრუმენტებია გამოცემები, კინო, კულტურული გაცვლითი პროგრამები, რადიო, ტელევიზია და რომელიც სხვა ქვეყნებში საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ითვალისწინებდა (Department of State Library 1987, 85). ასევე, 1989 წელს პოლ სმიტის (Paul A. Smith) მიერ გამოქვეყნებულ წიგნში “პოლიტიკური ომის შესახებ” (On Political War) სახალხო დიპლომატია განმარტებულია როგორც საერთაშორისო პოლიტიკური პროპაგანდის ფორმა, რომელსაც საზოგადოებაში დიპლომატიური არხების საშუალებით განხორციელებული მოლაპარაკებების მხარდასაჭერად ღიად ხელმძღვანელობენ სამოქალაქო პირები. იგი მისაღებია მასპინძელი სახელმწიფოსთვის და მისი მიზანიც ორმხრივი სარგებლის მომტანი გადაწყვეტილებისთვის საფრთხეების თავიდან აცილებასა და მხარდაჭერის მოპოვებას გულისხმობს (Smith 1989, 7).

ამრიგად, 1980-იან წლებში ამერიკული სახალხო დიპლომატია განისაზღვრებოდა, როგორც ინფორმირებისა და გავლენისთვის გამიზნული პროგრამების ერთობლიობა (Department of State Library 1987), საერთაშორისო პოლიტიკური ადვოკატირების ფორმა (Smith 1989) და იდეოლოგიური ტრენდების ფორმირებისთვის აუცილებელი სტრატეგიული ინსტრუმენტი (The White House 06.03.1984), რომელსაც უნდა გაემდიერებინა ტრადიციული დიპლომატია (U.S. ACPD 1985).

აქვე, საინტერესოა ვახსენოთ, თუ როგორი საგარეოპოლიტიკური გადმოსახედიდან საუბრობდა რეიგანი სახალხო დიპლომატიის შესახებ შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით. ზოგადად, ამ მიმართულებით საუბრისას იგი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ძალასა და სიძლიერეზე. რეიგანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიძლიერე სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და წარმატებული მოლაპარაკებების წარმოების საკითხში სამხედრო ძალაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მისთვის სიძლიერე ამერიკულ და უცხოურ საზოგადოებებში სულისკვეთებისა და ერთიანობის ძალასა და ომის შეკავების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის

გარემოება, რომ რეიგანს სიძლიერე და დიალოგი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოედგინა. დიალოგის წარმოების საშუალებას კი სახალხო დიპლომატია იძლევა. მაგალითად, 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეფასებისას, რეიგანი აღნიშნავდა, რომ სიძლიერე და დიალოგი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს მათ შორის არსებული განსხვავების მშვიდობიანი მოლაპარაკებების შესაძლებლობას მისცემდა (Reagan Address 16.01.1984). ვფიქრობ, ძალის რეიგანისეული გაგება აუცილებლად გულისხმობდა რბილი ძალის ელემენტებს. ამ კონკრეტული სიტყვიდან კი ეს ელემენტი დიალოგია, რომელიც საზოგადოებებში ერთიანობასა და სულისკვეთებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, სახალხო დიპლომატია რეიგანისთვის იმ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც, დიალოგის გზით, ბიპოლარულ სამყაროში არსებული განსხვავება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა დაერეგულირებინა.

ამ ყველაფერთან ერთად, საინტერესოა, რა როლს თამაშობდა სახალხო დიპლომატია 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, რომელიც ძალის მეშვეობით მშვიდობის მიღწევის პრინციპს ეფუძნებოდა. “Peace Through Strength” – რეიგანის მთავარი მოწოდება იყო, რომელიც მისთვის არა ლოზუნგს, არამედ ცხოვრების ჭეშმარიტებას ნიშნავდა (Reagan 06.03.1984). მშვიდობის მიღწევა თუ მის ყველაზე მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა, დიალოგი და სახალხო დიპლომატია ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად რჩებოდა. მშვიდობა რეიგანს საბჭოთა კავშირის მზარდი აგრესიის ჩახშობითა და კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებით უნდა მოეპოვებინა, სახალხო დიპლომატიის გამოყენება კი მას ჰეგემონიის საფრთხის შეკავებაში დაეხმარებოდა. ეს იყო მიზანი, რომელიც არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ მსოფლიო საზოგადოებას მშვიდობიან, უსაფრთხო სამყაროში ცხოვრების შესაძლებლობას მისცემდა. ამ მიზნის მისაღწევად რეიგანი ენერჯიას არ დაიშურებდა.

მაგრამ რას ნიშნავდა ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა და რა როლი ჰქონდა ამ მხრივ სახალხო დიპლომატიას? რა კონტექსტში, რა შინაარსით იყენებდა რეიგანი ძალას, ნიშნავდა კი ძალა მისთვის მხოლოდ ხისტ, ან მხოლოდ რბილ ძალას? რონალდ რეიგანის სპეციალური ასისტენტი, ამჟამად საგარეო პოლიტიკის ამერიკელი მკვლევარი დოგ ბანდოუ (Doug Bandow) აღნიშნავს, რომ, მართალია,



რონალდ რეიგანს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების წარმოება ძალის პოზიციიდან სურდა, მაგრამ მისთვის ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა ომს არ ნიშნავდა, რადგან ძალიან ფრთხილად უდგებოდა სამხედრო ძალის გამოყენების საკითხს (Bandow 2017). მიუხედავად ამისა, რეიგანი მაინც აღნიშნავდა, რომ სამხედრო ძალის აღდგენა, რომელიც მშვიდობას ძალის გამოყენებით უზრუნველყოფდა, ამერიკას უფრო უსაფრთხო ადგილად აქცევდა (Reagan 23.09.1983). ბანდოუს ამგვარი შეფასება გვაფიქრებინებს, რომ რეიგანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას საგარეო პოლიტიკის სფეროში მხოლოდ ხისტ ძალას არ დაეყრდნობოდა, რადგან ომი არ სურდა. იგი უფრო მეტად რბილი ძალის ტაქტიკას მიემხრობოდა, რადგან მოლაპარაკებების წარმოება სურდა. მაგრამ, ამასთანავე, საბჭოთა კავშირთან და მის იდეოლოგიასთან დაპირისპირებას ძალის სხვადასხვა სახის კომპლექსური გამოყენებით შეეცდებოდა, რაც ხისტი და რბილი ძალის კომბინაციას, ანუ გონიერი ძალის გამოყენებას ნიშნავს. ამის ფონზე, სახალხო დიპლომატიის აქტივობებს კიდევ უფრო დიდი როლი ეკისრებოდა.

მსოფლიოში მშვიდობის დამყარება რეიგანის ადმინისტრაციის სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა. 1980-იანი წლების ამერიკაში ძალის საშუალებით მშვიდობის მიღწევის მნიშვნელობაზე 1984 წელს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ამ მოწოდების მიმართ მიძღვნილი კვირის დადგენაც მიუთითებს. აღნიშნული კვირის დაწყებასთან დაკავშირებით, რეიგანი თავის გამოსვლაში ყურადღებას ამახვილებს ძლიერ თავდაცვის სისტემაზე დაფუძნებულ მშვიდობის სტრატეგიაში ამერიკელი მოქალაქეების ჩართულობასა და ამ კვირის ძირითად მიზანზე, რომელიც ყველა ერის წარმომადგენლისთვის საკუთარი ბედის თავისუფალი განსაზღვრის შესაძლებლობის მქონე ისეთი მსოფლიოს შექმნას გულისხმობდა, რომელშიც არცერთი სახელმწიფო თავის მეზობელ სახელმწიფოს არ დაემუქრებოდა (Reagan 22.09.1984). მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი ბედის განსაზღვრის შესაძლებლობა მხოლოდ ძლიერი დემოკრატიის პირობებში ექნებოდა. კომუნისტური საზოგადოება კი საკუთარ ბედს თავისუფლად ვერ განსაზღვრავდა, რადგან მათ მომავალს საბჭოთა მესვეურები გეგმავდნენ. სავარაუდოდ, რეიგანი ამ სიტყვებით საბჭოთა კავშირისგან თავისუფალ სამყაროს გულისხმობდა, ძალის საშუალებით მიღწეულ მშვიდობას კი მსოფლიოში სტაბილურობა უნდა განესაზღვრა (Reagan 04.10.1984).

საგარეო პოლიტიკის სფეროში ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა მსოფლიოსა და მასში მიმდინარე პროცესების რეალისტურ აღქმას, ამერიკული ღირებულებების ღრმა რწმენასა (Reagan 22.10.1984) და მათთვის მტკიცე საყრდენის უზრუნველყოფას ეფუძნებოდა (Reagan 05.06.1985). რეიგანი აღნიშნავდა, რომ მშვიდობის მიღწევა ძალის საშუალებით მისი ადმინისტრაციის პროგრამაზე ბევრად მეტს ნიშნავდა. მისი სიტყვებით, ეს იყო ხალხისთვის პირობის მიცემა. რეიგანი ხაზს უსვამდა, რომ მხოლოდ იმედი საბჭოთა კავშირის მოხელეებთან მოლაპარაკების საშუალებას არ მისცემდა და, რომ მოლაპარაკება სამხედრო მზადყოფნითა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღწეოდა (Reagan 05.11.1986). იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მშვიდობის მისაღწევად ძალის გამოყენება მას მოწინააღმდეგეებთან შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებებისა და აგრესიისაგან ამერიკის მოქალაქეების დაცვის საშუალებას მისცემდა (Reagan 05.01.1987). მართლაც, 1980-იანი წლების ბოლოსკენ რეიგანი აღიარებდა, რომ საბჭოთა კავშირთან შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმება და შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დათბობა ძალის საშუალებით მშვიდობის მიღწევის პოლიტიკის შედეგი იყო (Reagan 27.10.1988). ეს მისი სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა.

სახალხო დიპლომატიის საშუალებით სასურველი საგარეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებაზე რონალდ რეიგანის პიროვნულმა ხასიათმა იმოქმედა. მართალია, რონალდ რეიგანის პიროვნული ხასიათის შესწავლა აღნიშნული სადოქტორო კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ, სახალხო დიპლომატიის კონტექსტთან დაკავშირებით, ამ საკითხის მოკლე მიმოხილვა თემის უკეთ გააზრებაში გვეხმარება. საგარეო პოლიტიკის კურსში რბილი ძალის გატარებაზე, ეროვნულ ინტერესებთან ერთად, სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას. მაგალითად, სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში სახალხო დიპლომატიას სათანადოდ გაატარებს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ლიდერს რბილი ძალის კონცეფცია ძალიან კარგად ესმის. კენეტ ადელმანმა (Kenneth L. Adelman) 1981 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იწინასწარმეტყველა რბილი ძალის მახასიათებლის, სახალხო დიპლომატიის, წარმატება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რასაც რონალდ რეიგანის პიროვნული ხასიათითა და მისი პროფესიული კომუნიკაციური ნიჭით ხსნიდა (Adelman 1981). რონალდ რეიგანის პიროვნულმა თვისებებმა

მართლაც დიდი გავლენა იქონია 1980-იანი წლებში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის გამოყენებაზე: მისი რიტორიკა, გამოსვლები სამიზნე ჯგუფებს კარგად ერგებოდა.

ჯოზეფ ნაი თავის ერთ-ერთ წიგნში რბილი ძალის იმ უნარ-ჩვევებს განიხილავს, რომელიც ეფექტურ მმართველს უნდა ჰქონდეს. ეს უნარ-ჩვევებია ემოციური ინტელექტი, კომუნიკაციის უნარი და ხედვა (Nye 2008, 69). ამ უნარ-ჩვევების ეფექტური გამოყენება სახალხო დიპლომატიის წარმატებას განაპირობებს. ემოციური ინტელექტი ლიდერებს ცვალებად კონტექსტში ქარიზმისა და პირადი მიმზიდველობის მართვის შესაძლებლობას აძლევს (Nye 2008, 70). კომუნიკაცია ორატორული და შთამაგონებელი რიტორიკის, არავერბალური სიგნალების, სიმბოლოების გამოყენებასა და საკუთარ და უცხოურ საზოგადოებებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას გულისხმობს (Nye 2008, 72-73). ხედვა ნიშნავს იმ იდეას, რომელიც შთააგონებს მსმენელებს და ლიდერებს საერთო მიზნების დასახვაში ეხმარება (Nye 2008, 74). ამ უნარ-ჩვევების სახალხო დიპლომატიასთან მისადაგებით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ლიდერის პირადი მიმზიდველობა, ორატორული და შთამაგონებელი რიტორიკა უცხოურ საზოგადოებებში სახალხო დიპლომატიის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად რამდენიმე აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მართლაც, რეიგანს, რომელიც თვითაღიარებული ანტიკომუნისტი იყო (Rosenfeld 1982), ჰქონდა ქარიზმა, საბჭოთა კავშირის ლიდერებთან ურთიერთობის დამყარების, მართვისა და ემოციური კონტროლის უნარი; ჰქონდა შთამაგონებელი რიტორიკა და გამოსვლებში იყენებდა დამარწმუნებელ სიტყვებს, რაც მსმენელებს ხიბლავდა; მასვე ჰქონდა ხედვა, დაემარცხებინა ბოროტების იმპერია და დაემყარებინა მშვიდობა ძალის საშუალებით, რომელიც აქტიურ დიალოგს ეფუძნებოდა. ეს ხედვა 1980-იან წლებში ამერიკულ იდეალებსა და შესაძლებლობებს აბალანსებდა და ხიბლავდა მოქალაქეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. თუმცა, ნაი იმასაც მიუთითებს, რომ რეიგანს კარგი კონტექსტუალური ინტელექტი ჰქონდა (Nye 2006, 14)]. კონტექსტუალური ინტელექტი კი გონიერი ძალის განმახორციელებელი ლიდერის უნარია (Nye 2008, 83), რაც საგარეო პოლიტიკაში ცვალებადი გარემოს აღქმასა და შეცვლილ კონტექსტზე მორგებული სტრატეგიის შემუშავებას მოიცავს. რონალდ რეიგანის ამ პიროვნული

მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1980-იან წლებში საგარეო ურთიერთობის სფეროში გონიერი ძალის გამოყენებაზე დამყარებული შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებაში გადამწყვეტი როლი რონალდ რეიგანის პიროვნულმა უნარებმაც შეასრულა. რეიგანი ხომ ისტორიას, როგორც “დიდებული კომუნიკატორი” და “დიდებული დამარწმუნებელი” (Broder 2017) ისე შემორჩა. ალბათ, რომ არა რეიგანის “გონივრულობა”, 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატია შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ვექტორი ვერ გახდებოდა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ,

- ფართო გაგებით, რბილი ძალა ეხმარება ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარი მიზნები და სურვილები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვისაც სასურველი გახადონ;

- სახალხო დიპლომატიის ამოქმედება სახელმწიფოს რბილი ძალის გავრცელებასა და გამოყენებაში ეხმარება;

- ზოგადად, სახალხო დიპლომატია გამოხატავს მთავრობის ძალისხმევას, სხვადასხვა მეთოდითა და აქტივობით, პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს უცხოურ საზოგადოებებთან;

- 1980-იან წლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის ისტორიოგრაფიაში;

- 1980-იან წლებში რეიგანის ადმინისტრაციაში სახალხო დიპლომატიაზე ყურადღება საპრეზიდენტო სიტყვით გამოსვლებში საუბრით გამოიხატა;

- 1980-იან წლებში ამერიკული სახალხო დიპლომატია განისაზღვრებოდა, როგორც ინფორმირებისა და გავლენისთვის გამიზნული პროგრამების ერთობლიობა, საერთაშორისო პოლიტიკური ადვოკატირების ფორმა და იდეოლოგიური ტრენდების ფორმირებისთვის აუცილებელი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა ტრადიციული დიპლომატია;

- სახალხო დიპლომატია რეიგანისთვის იმ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც, დიალოგის გზით, ბიპოლარულ სამყაროში, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული განსხვავება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა დაერეგულირებინა;

- ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს გადმოსახედიდან, 1980-იან წლებში

ამერიკულ სახალხო დიპლომატიას უნდა შეექმნა ძლიერი დემოკრატიის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელშიც მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი ბედის განსაზღვრის შესაძლებლობა ექნებოდა;

- რეიგანის სურვილი, ძალის საშუალებით მიეღწია მშვიდობისთვის, საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის გამოყენებას გულისხმობდა;
- მშვიდობა რეიგანისთვის მიღწევადი საგარეოპოლიტიკური მიზანი იყო, სახალხო დიპლომატია კი ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება;
- სახალხო დიპლომატიის დაგეგმვას კი, ისტორიულ კონტექსტთან ერთად, თავად რონალდ რეიგანის პიროვნულმა ხასიათმაც შეუწყო ხელი;

## 1.2. სახალხო დიპლომატია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინსტრუმენტი

ქვეთავის მიზანია სახალხო დიპლომატიის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინსტრუმენტის განხილვა. ქვეთავში ჩატარებული კვლევის ამოცანაა იმის გამოვლენა, გულისხმობდა თუ არა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას.

მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა საერთაშორისო ურთიერთობის სფერო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მსოფლიოში პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო ძალის ბალანსი დაირღვა. ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიერ დომინირებულ ორპოლუსიან სამყაროში სახელმწიფოები ბანაკებად დაიყო და მათ შორის დაპირისპირებამ ცხოვრების სხვადასხვა სფერო მოიცვა. შეერთებული შტატების სახელმწიფო მესვეურებმა, სასურველი დიპლომატიური მიზნების მისაღწევად, ეროვნული უსაფრთხოებისა და ქვეყნის საგარეო ინტერესების შესაბამისად როგორც ხისტი, ასევე რბილი ძალის გამოყენება დაიწყეს. მართალია, ტერმინი სახალხო დიპლომატია 1960-იან წლებში, რბილი ძალა კი, როგორც ტერმინი, ჯოზეფ ნაიმ 1990 წელს შემოიღო, მაგრამ შეერთებული შტატების სახელმწიფო მართვის სისტემაში

როგორც სახალხო დიპლომატია, ასევე რბილი ძალა ყოველთვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. სახალხო დიპლომატიის ეფექტურობაში დარწმუნებული იყო შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანიც.

ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად და განსამტკიცებლად, დემოკრატიულმა სახელმწიფომ საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატია უნდა გამოიყენოს. პირდაპირ თუ ირიბად, ყველა კარგად შექმნილი სახალხო დიპლომატიის პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება (Wang 2017). სახალხო დიპლომატიის გამოყენება მას საერთაშორისო და რეგიონულ ასპარეზზე ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მხარდასაჭერად სჭირდება. ამ მხრივ, შეერთებული შტატები მსოფლიოში ერთ-ერთი სანიმუშო სახელმწიფოა. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მესვეურები ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს ძალისა და დიპლომატიის სხვადასხვა სახეს უსადაგებენ, რადგან სწორედ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები განსაზღვრავს იმას, თუ რა ადგილს დაიკავებს სახალხო დიპლომატია, ხისტი და რბილი ძალის ელემენტები და დიპლომატიის სხვა სახეები საგარეო პოლიტიკის სფეროში.

სადოქტორო თემის მთლიანი საკვლევი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღებას რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებსა და მის იმ ძირითადი გამოსვლების ტექსტებზე გავამახვილებ, რომელშიც რეიგანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ აღნიშნავდა და, თემატურად, სახალხო დიპლომატიის საკითხებს უკავშირდებოდა. რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივების ანალიზი დაგვეხმარება იმის კონკრეტულ განსაზღვრაში, თუ როგორ უკავშირდება სახალხო დიპლომატია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს და რატომ არის სახალხო დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინსტრუმენტი. ეს სტრატეგიები და დირექტივები პირველად წყაროებს წარმოადგენს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების განხილვა, მასში სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობის შეფასებით. საინტერესოა, როგორ დაუკავშირა პრეზიდენტმა რეიგანმა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის

მახასიათებლები, ელემენტები ერთმანეთს. აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილულია რეიგანის ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოების საკითხები და რეიგანის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის მიმართ. სახალხო დიპლომატიის კონტექსტში რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებისა და ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივების განხილვის საფუძველზე, ამ ქვეთავის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი მიზანია განვსაზღვროთ ის ელემენტები, რის გამოყენებასაც რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობდა საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად და მიზანი, რისი მიღწევაც მას სახალხო დიპლომატიის გამოყენებით საბჭოთა კავშირის მიმართ სურდა.

რეიგანის ადმინისტრაციას, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისა და, ზოგადად, ცივი ომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოება საგარეო ურთიერთობებში მაქსიმალურად უნდა დაეცვა. ეროვნული უსაფრთხოების დაცვისა და ხელშეწყობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სახალხო დიპლომატიაა. ზოგადად, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის უშუალო მოვალეობა შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის კოორდინაციაა. 1980 წლის საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში რეიგანი პირობას დებდა, რომ ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის თანამდებობას დააქვეითებდა, რადგან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის არსებული კონკურენცია დაესრულებინა (Office of the Historian 1997). რეიგანის ინაუგურაციის დღეს სახელმწიფო მდივანმა ალექსანდერ ჰეიგმა (Alexander Haig) წარადგინა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილება, რომელიც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის წარმართვის სრულ პასუხისმგებლობას სახელმწიფო დეპარტამენტს ანიჭებდა (Smith 1981). ამასთანავე, სახელმწიფო დეპარტამენტს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უწყებათაშორისი ჯგუფები უნდა ეკონტროლებინა. პრეზიდენტის მხრიდან საკითხის მოწონების მიუხედავად, ჰეიგის მოთხოვნა არასდროს დაკმაყოფილებულა, რადგან კაბინეტის სხვა წევრებს, მაგალითად, პრეზიდენტის მრჩეველ ედვინ მისს (Edwin Meese) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჯეიმს ბეიკერს (James Baker), საგარეო პოლიტიკის სფეროში პრეზიდენტის ძალაუფლების შემცირების საკითხი არ მოსწონდათ. თუმცა, სახელმწიფო მდივანმა

გარკვეული დროით მაინც შეძლო საგარეო პოლიტიკის სფეროში გავლენის მოპოვება. რეიგანმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის რიჩარდ ალენის (Richard Allen) ოფისი საკუთარ მრჩეველს ედვინ მისს დაუქვემდებარა. რეიგანის ადმინისტრაციის პირველივე დღეებში საგარეო პოლიტიკის სფეროს ხელმძღვანელობის საკითხი ცხარე დებატების თემა გახდა. ამის მიუხედავად, ამავე პერიოდის გამოსვლებში რეიგანი ხშირად აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მდივანი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ძირითადი მრჩეველი და მისი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის მთავარი დამგეგმავი და განმახორციელებელი იყო. თუმცა, პარალელურად, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, შიდაადმინისტრაციული და სტრუქტურული პრობლემების მოსაწესრიგებლად, 1981 წლის ზაფხულში რეიგანმა ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფი (National Security Planning Group) შექმნა. 1983 წლიდან კი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველს საგარეო პოლიტიკის სფეროში უშუალო მონაწილეობის უფლებამოსილება მიენიჭა (Office of the Historian 1997).

რეიგანს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექვსი მრჩეველი ჰყავდა. ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსის ჯონ ლუის გადისის (John Lewis Gaddis) აზრით, ის ფაქტი, რომ რეიგანმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექვსი მრჩეველი – რიჩარდ ალენი (Richard Allen), უილიამ კლარკი (William Clark), რობერტ მაქფარლენი (Robert McFarlane), ჯონ პოინდექსტერი (John Poindexter), ფრენკ ქარლუჩი (Frank Carlucci) და კოლინ პაუელი (Colin Powell), გამოიცვალა, მიუთითებს პრეზიდენტის, როგორც მთავარი სტრატეგის როლზე (Gaddis 2005, 354). თავად მრჩეველებს ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ განსხვავებული იდეები, შეხედულებები ჰქონდათ, რაც, შეიძლება, მათი წარსული გამოცდილებით აიხსნას. მათ განსხვავებული იდეები საბჭოთა კავშირისა და, ზოგადად, ამერიკის შერთეებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებაც ჰქონდათ; შესაბამისად, ისინი საბჭოთა კავშირის მიმართ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ საგარეოპოლიტიკურ მიდგომებში ისახებოდა. ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველების გარდა, მათ შემუშავებაზე ნენსი რეიგანსაც ჰქონდა გარკვეული გავლენა. მაგალითად, ნენსი თავის მემუარებში იხსენებს, რომ იგი ახალისებდა რონის (ასე ეძახდა ნენსი მეუღლეს – ავტ.), საბჭოთა კავშირთან შემრიგებლური პოზიცია დაეკავებინა, რადგან აწუხებდა ის გარემოება, რომ



ოპონენტები პრეზიდენტს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში წამქეზებლად ხატავდნენ (Reagan 1989, 63).

მოცემული კვლევის ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, საყურადღებოა ვახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ განსახორციელებელი საგარეო პოლიტიკა რეიგანის მიერ 1981 წელს დაფუძნებული ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფში მუშავდებოდა. პრეზიდენტ რეიგანთან ერთად კი, ამ ჯგუფის წევრები იყვნენ ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, თავდაცვის მდივანი ვეინბერგერი, ეროვნული უსაფრთხოების საკითხთა მრჩეველი მაქფარლანი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი უილიამ ქეისი და პრეზიდენტის მრჩეველი ედ მისი (Fischer 2000, 83). ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფი საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავარი საბჭოს სახეს იღებდა (Woodward 2005, 201), რომელმაც, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ჩაანაცვლა (Woodward 2005, 21).

ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფის შეხვედრებისას წევრები სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა რეიგანის დღიურის ანალიზი. ასე, მაგალითად, 1984 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერში რეიგანი აღნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფის შეხვედრაზე ქეისიმ მას მსოფლიოში წარმოებული საიდუმლო ოპერაციების შესახებ ანგარიში ჩააბარა (Brinkley 2009, 222). საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით ეს ჯგუფი 1985 წლის 29 ოქტომბერს (Brinkley 2009, 363), 1986 წლის 6 ივნისს (Brinkley 2009, 417), 1987 წლის 28 ივლისსა (Brinkley 2009, 520) და 1988 წლის 17 მაისსაც შეიკრიბა (Brinkley 2009, 609). ამ შეხვედრებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დღიურში რეიგანის რამდენიმე მინაწერი. მაგალითად, საბჭოთა იარაღის შემცირების წინადადებასთან დაკავშირებით 1985 წლის 29 ოქტომბერს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმარების ჯგუფის შეხვედრის შესახებ მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ რეიგანს სჯეროდა, კომპრომისი ახლოს იყო (Brinkley 2009, 363). შეიძლება, ცოტა ირონიულია 1988 წლის 17 მაისის შეხვედრის მინაწერი, რომ შეხვედრისას არაფერი იყო საინტერესო (Brinkley 2009, 609).

რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველების შეხედულებებს, აღსანიშნავია, რომ ვეინბერგი, მისი და ქეისი საბჭოთა კავშირს

იდეოლოგიურ ჭრილში განიხილავდნენ. მათი აზრით, საბჭოთა კავშირს მსოფლიოში დომინირება კომუნისტური იდეოლოგიით სურდა (Fischer 2000, 83). შულცი და მაქფარლანი კი ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ქცევაზე არაიდეოლოგიური ფაქტორები ახდენდა გავლენას (Fischer 2000, 74). ცხადია, ზოგადად, მათი ეს შეხედულებები გავლენას ახდენდა შეერთებული შტატების საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულ საგარეო პოლიტიკაზე. საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარი ბეს ფიშერი (Beth Fischer) რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ რამდენიმე ეტაპად ჰყოფს. მისი აზრით, 1981 წლიდან 1983 წლის ბოლომდე რეიგანის ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირთან შეურიგებელ (Hard-line) პოლიტიკას ატარებდა (Fischer 2000, 17), 1984-85 წლებში შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში ზესახელმწიფოების საერთო ინტერესებზე ამახვილებდა ყურადღებას (Fischer 2000, 40), ხოლო 1985 წლის ჟენევის სამიტის შემდეგ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყო (Fischer 2000, 16).

რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების საკითხების განსაზღვრაში, საგარეო პოლიტიკის სფეროს მიმართ რეიგანის დამოკიდებულების ზოგადი მიმოხილვა დაგვეხმარება. თავად რეიგანს პრეზიდენტობის ყველაზე დიდებულ საქმედ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირება მიაჩნდა. მისი სიტყვებით, საგარეო პოლიტიკის სარბიელზე მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენდა მშვიდობის ბალანსის დაცვაზე (Reagan 16.07.1982). ალბათ, სწორედ ამიტომ აქცევდა იგი დიდ ყურადღებას საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხს, მისი ადმინისტრაცია კი საგარეო პოლიტიკას ეროვნული უსაფრთხოების პერსპექტივიდან უყურებდა, გეგმავდა და ახორციელებდა. როგორც ბეს ფიშერი მიუთითებს, რეიგანი ნაკლებად იყო ჩართული საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ის ზოგად საგარეო პოლიტიკურ ხედვებს აყალიბებდა, ვიწრო პოლიტიკა კი მისი კაბინეტის უფროს მრჩეველებს უნდა შეემუშავებინათ (Fischer 2000, 70). იმაზე, თუ რატომ არ ერეოდა რეიგანი საგარეო პოლიტიკის სფეროში, სხვადასხვა შეხედულება არსებობს. მაგალითად, ზოგიერთი ფიქრობს, რომ რეიგანი ნაკლებად ერკვეოდა საგარეო პოლიტიკაში და საგარეო პოლიტიკის სფეროში არც ისე თავდაჯერებული იყო (Gelb 1985). ამას შეიძლება მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ ჟენევის სამიტამდე მას სამი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ცნობილი ამერიკელი სპეციალისტები ამზადებდნენ (The New York Times 1985). მაგალითად, მეორე

საპრეზიდენტო ადმინისტრაციისთვის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას ხუთი თვის განმავლობაში შულცი და მაქფარლანი ამზადებდნენ (Hoffman 1984). ასევე, ამერიკელი მწერლის უილიამ სთედინგის (William Steding) მიხედვით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები პოლიტიკის შემუშავებაში რეიგანის საჯარო რიტორიკის კოდიფიცირებას ახდენდნენ (Steding 2014, 118). მართალია, ზოგი მრჩეველი რეიგანს ხისტი რიტორიკის გამოყენებისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ნენსი რეიგანი მას ყოველთვის დამთმობი რიტორიკის გამოყენებას ურჩევდა. ნენსი რეიგანის მემუარებიდან ირკვევა, რომ რეიგანი უსმენდა სხვადასხვა აზრს და შემდეგ იღებდა იმ გადაწყვეტილებას, რაც, მისი აზრით, უკეთესი იყო (Reagan 1989, 64).

საგარეო პოლიტიკის სფეროსთან რეიგანის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, ფიშერი იმ არგუმენტებსაც განიხილავს, რომელიც საგარეო პოლიტიკის მიმართ რეიგანის ნაკლებ დაინტერესებასა და საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და რეიგანის მენეჯმენტური სტილის შეუსაბამობას ეხება (Fischer 2000, 70). საგარეო პოლიტიკასთან რეიგანის დამოკიდებულების საკითხზე ამერიკელი მკვლევარი თომას მენიც (Thomas E. Mann) აღნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში რეიგანი დიდად გაწაფული და გარკვეული არ იყო; თუმცა, ყურადღებას ამახვილებს, რომ, ირონიულად, სწორედ საგარეო პოლიტიკის სფეროა მიჩნეული მის ყველაზე დიდ წარმატებად (Berman 1990, 25).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ რეიგანს არც საბჭოთა კავშირთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხები აინტერესებდა, მაგრამ იმდენად სურდა კომუნიზმის დამარცხება, რომ საგარეო პოლიტიკაში თავის ანტიკომუნისტურ რიტორიკას მაქსიმალურად იყენებდა. მაგალითად, კონდოლიზა რაისის სიტყვებით, საგარეო პოლიტიკის სფეროში რეიგანის მიზანს, დაეცვა მსოფლიო თავისუფლება, ფუნდამენტურად ყველაზე მჭიდროდ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა უკავშირდებოდა (Berman 1990, 71). მართლაც, რთული წარმოსადგენია, როგორ დაიცავდა რეიგანი მსოფლიო თავისუფლებას, საბჭოთა კავშირთან არსებული ურთიერთობის მოგვარებისა და სახალხო დიპლომატიის გარეშე.

რონალდ რეიგანმა, რომელსაც თეთრ სახლში შესვლამდე ეროვნული უსაფრთხოების სფეროში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და, საგარეო პოლიტიკის სფეროს მსგავსად, როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, არც ეროვნული უსაფრთხოების საკითხების მართვა-რეგულირებით იყო

დაინტერესებული (Powaski 1998, 231), 1980-იანი წლების შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში ხისტი და რბილი ძალის შესანიშნავი კომბინაცია გამოიყენა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას შეერთებულ შტატების სხვადასხვა საპრეზიდენტო ადმინისტრაცია ყოველწლიურად მეტნაკლებად აქვეყნებდა, მაგრამ 1986 წლის გოლდუოთერ-ნიკოლსის თავდაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის კანონის (Goldwater-Nichols Defense Department Reorganization Act) მიხედვით, შეერთებული შტატების პრეზიდენტს კონგრესში უკვე ყოველ წელს უნდა წარედგინა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (Lerner and Wilmoth 2004, 310). სწორედ ამ ტენდენციის გამო, რეიგანის ადმინისტრაციის ყველა წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განხილვა, დოკუმენტების არარსებობის გამო, შეუძლებელია. საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩემს ხელთ არსებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შესახებ ინფორმაციას სახალხო დიპლომატიის კონტექსტში განვიხილავ.

ჯერ კიდევ 1982 წელს გამოცემულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში იყო აღნიშნული, რომ შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოება დიპლომატიურ, საინფორმაციო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კომპონენტებზე დაფუძნებული სტრატეგიების განვითარებისა და ინტეგრაციის ერთობლიობას საჭიროებდა (Reagan 05.20.1982). 1982 წელს შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური მიზნების ჩამოთვლისას, რომელიც პირველ მიზნად საბჭოთა კავშირის მხრიდან სამხედრო თავდასხმის აცილებას აყალიბებდა, სტრატეგიაში გამახვილებულია ყურადღება საბჭოთა კავშირის იმ მცდელობების განეიტრალებაზე, რაც დიპლომატიის, იარაღის მიწოდების, ეკონომიკური წნეხის, პოლიტიკური ქმედებების, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გზით საბჭოთა კავშირის გავლენას ზრდიდა (Reagan 1982, 2). შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ სახელმძღვანელო მიზნად საბჭოთა კავშირის პროპაგანდული და დეზინფორმაციული გზების ჩაკეტვის დასახელება მიუთითებდა რეიგანის ადმინისტრაციის მზადყოფნაზე, საგარეო პოლიტიკაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, სახალხო დიპლომატიის ელემენტები ამოქმედებინა, რადგან პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან შებრძოლება მხოლოდ რბილი

ძალის გამოყენებითა და სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით შეიძლება. 1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რბილი ძალის ელემენტების არსებობაზე მიუთითებს ამერიკელი ავტორი უილიამ სტედინგიც (Steding 2014, 119). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ამგვარ კონტექსტში ასეთი ფორმულირების მიუხედავად, 1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია არა რბილი ძალის შინაარსში გაერთიანებული ღონისძიებების მიზნები და შესაძლებლობები, არამედ სამხედრო საფრთხეები, სამხედრო მიზნები და სამხედრო სფეროში არსებული შესაძლებლობები. ეს გარემოება მაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ 1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ეფუძნებოდა შეერთებული შტატების ხისტი ძალის მიდგომებსა და შესაძლებლობებს, თუმცა, მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან შებრძოლებას, რისთვისაც სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების ამოქმედებას დიდი როლი უნდა დაკისრებოდა.

ამერიკელი პოლიტოლოგის პოლ კენგორის მიხედვით, 1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია აყალიბებდა რეიგანის ადმინისტრაციის პირველ ოფიციალურ განზრახვას, შეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას და გამოეწვია ცვლილება საბჭოთა კავშირის ბლოკში. მისივე აზრით, ეს იყო დოკუმენტი, რომელშიც გამოხატული იყო ისტორიული ცვლილების სურვილი (Kengor 2007, 128). გარდა ამისა, კენგორი თვლის, რომ 1982 წელს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების დირექტივების გამოქვეყნება საბოლოოდ კომუნიზმის დამხობას შეუწყობდა ხელს (Kengor 2007, 125).

1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის გამოსვლიდან ორი თვის შემდეგ რეიგანმა გამოაქვეყნა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივა ნომერი 45 (NSDD 45), რომელიც შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ ასპექტს, საერთაშორისო მაუწყებლობას ეხებოდა (The White House 1982). მაიკლ უოლერის აზრით, ამ საპრეზიდენტო პოლიტიკურმა დოკუმენტმა ეროვნული უსაფრთხოების ინსტრუმენტად ხელახლა დააფუძნა შეერთებული შტატების მთავრობის ფინანსურად მხარდაჭერილი საერთაშორისო მაუწყებლობა, რომელსაც როგორც სახელმწიფო მდივანი, ასევე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში

პრეზიდენტის მრჩეველი უნდა ხელმძღვანელობდნენ (Waller 2007, 259).

ამავე წელს, ბრიტანეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, რეიგანმა ისაუბრა იმ ახალი იდეოლოგიური სტრატეგიის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ფრონტზე უნდა შეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირს იმგვარად, რომ, ფაქტობრივად, მოსკოვთან ომი არ დაწყებულიყო (Reagan 08.06.1982). სიტყვაში რეიგანმა ყურადღება გაამახვილა გლობალური ომის თავიდან აცილებისა და ადამიანური თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვის აუცილებლობაზე (Reagan 08.06.1982). მისი მიზანი არა კულტურული იმპერიალიზმი, არამედ კულტურული ქედმაღლობა (Cultural Condescension) იყო, რომელიც დემოკრატიის ინფრასტრუქტურის, თავისუფალი პრესის, პოლიტიკური პარტიების, უნივერსიტეტების ხელშეწყობა წარმოადგენდა, რათა საშუალება მისცემოდა ხალხს აერჩია საკუთარი გზა, განეხილათ საკუთარი კულტურა და მშვიდობიანი საშუალებებით დაერეგულირებინათ განსხვავებები (Reagan 08.06.1982). რეიგანის ხედვით, დემოკრატიული განვითარებისთვის კერძო და საჯარო სექტორი უნდა გაერთიანებულიყო. ამასთანავე, სთავაზობდა საბჭოთა კავშირს შეერთებულ შტატებთან ერთად განეხილა ის, თუ როგორ შეიძლებოდა წარემართათ იდეებისა და ღირებულებების შეჯიბრი მშვიდობიანად და ორმხრივ საფუძველზე. რეიგანის მიერ განხილული იდეოლოგიური სტრატეგია უნდა ყოფილიყო გლობალური კამპანია თავისუფლებისთვის.

1983 წელს რეიგანმა გამოსცა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების ნომერ 77-ე დირექტივა (NSDD 77), რომელიც მთლიანად ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახალხო დიპლომატიის დარეგულირების საკითხს მიუძღვნა. მართალია, დირექტივა პირველ პირშია დაწერილი, მაგრამ ტექსტის მთავარი ავტორი ამერიკელი პოლიტოლოგი კარნეს ლორდი (Carnes Lord) იყო (Waller 2007, 315). ლორდი 1981 წლის თებერვლიდან 1983 წლის დეკემბრამდე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში სახალხო დიპლომატიისა და საერთაშორისო მაუწყებლობის მიმართულებით მუშაობდა, 1989 წლის თებერვლიდან 1991 წლის მარტამდე კი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე იყო. 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში “სახალხო დიპლომატიის აწმყო და მომავალი” იგი აღნიშნავს, რომ 1981-86 წლებში სახალხო დიპლომატიას ოქროს ხანა ედგა (Lord in Orbis 1998, 50). მისი სიტყვებით, რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში

სახალხო დიპლომატია ოვალურ ოფისში საიმედოდ იყო გამაგრებული (Lord in Orbis 1998, 54). კარნეს ლორდის მიერ რედაქტირებულ ერთ-ერთ წიგნში ისიც არის აღნიშნული, რომ რონალდ რეიგანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვაშინგტონში ტერმინმა “სახალხო დიპლომატია” საყურადღებო პოპულარობა მოიპოვა (Barnett and Lord 1989, 17).

დირექტივის ტექსტის დასაწყისში მტკიცედ არის ჩამოყალიბებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტის ორგანიზაციული საკითხების გაძლიერების აუცილებლობა. დირექტივის მიხედვით, სახალხო დიპლომატია შეერთებული შტატების მთავრობის იმ აქტივობებს მოიცავდა, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მიზნების მხარდაჭერას განაპირობებს (NSDD 77, 1). ამავე დირექტივით, რეიგანმა დააფუძნა სპეციალური დაგეგმარების ჯგუფი (Special Planning Group) და ამ ჯგუფს დაქვემდებარებული ოთხი უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელსაც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასთან, მიზნებსა და გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში სახალხო დიპლომატიის აქტივობები უნდა განხორციელებინა. თუ საზოგადოებრივ საქმეთა კომიტეტს შეერთებული შტატების მთავრობის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმეთა საკითხები, მაგალითად, აღნიშნულ თემატიკაზე მაღალი რანგის სახელმწიფო პირთათვის სიტყვით გამოსვლების ტექსტები, უნდა მოემზადებინა, საერთაშორისო საინფორმაციო კომიტეტს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთაშორისო საინფორმაციო აქტივობები, მთავარ პოლიტიკურ საკითხებზე საინფორმაციო სტრატეგია უნდა დაეგეგმა, განხორციელებინა და კონკრეტულ გეოგრაფიულ მხარეში მისი განხორციელებისთვის კოორდინაცია გაეწია.

მესამე საერთაშორისო პოლიტიკურ კომიტეტს უცხოური მთავრობებისთვის ორგანიზაციული მხარდაჭერის გაწევისას, მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებინა ამერიკული საზოგადოების იმ ნაწილთან, მაგალითად, უნივერსიტეტებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, პრესისა და ბიზნესის სექტორთან, რომელიც საზღვარგარეთ, მთავრობის საქმიანობის პარალელურად, ჩართული იყო ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. ამავე კომიტეტს ხელი უნდა შეეწყო შეერთებული შტატების მთავრობისათვის დემოკრატიის გავრცელების საკითხში. საყურადღებოა, რომ მხოლოდ ამ კომიტეტის საქმიანობა იყო საბჭოთა კავშირისა და სა-

ბჭოთა სატელიტების მიერ გატარებულ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და აგრესიულ პოლიტიკურ ნაბიჯებთან დასაპირისპირებლად გეგმების, პროგრამებისა და სტრატეგიების ინიცირება (NSDD 77, 2).

მეოთხე საერთაშორისო მაუწყებლობის კომიტეტს, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობის დასპონსორებული საერთაშორისო სამაუწყებლო აქტივობების დაგეგმვასა და კოორდინირებაზე იყო პასუხისმგებელი, უნდა შეემუშავებინა რადიოსადგურების ჩახშობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია (NSDD 77, 3). ეროვნული უსაფრთხოების ეს დირექტივა მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ მასში ხაზგასმულია რბილი ძალის მთავარი კომპონენტის – სახალხო დიპლომატიის როლი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან მიმართებით. ამასთანავე, აღნიშნული დირექტივა ხაზს უსვამს რეიგანის ადმინისტრაციის სურვილს, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, გაეძლიერებინა სახალხო დიპლომატიის სფეროს სტრუქტურული ორგანიზაციული საკითხები.

ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახალხო დიპლომატიის და-რეგულირების თემაზე გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივას (NSDD 77) ქრონოლოგიურად, სულ რაღაც ერთი დღით, წინ უსწრებდა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილება ნომერი 75 (NSDD 75) ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. აღნიშნულ დირექტივაში ჩამოყალიბებულია ის სამი ძირითადი ელემენტი, რომელიც საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს სამი ელემენტია საბჭოთა იმპერიალიზმთან გარეგნული წინააღმდეგობა, საბჭოთა იმპერიალიზმის წყაროების დასუსტება საბჭოთა კავშირზე შიგნიდან ზეწოლით, მოლაპარაკებების წარმოება წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად (NSDD 75, 1). ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას უნდა ჰქონოდა იდეოლოგიური საყრდენი, რომელიც, საბჭოთა კომუნიზმის რეპრესიულ მახასიათებლებთან შედარებით, შეერთებული შტატებისა და დასავლური ღირებულებების, მათ შორის, თავისუფალი პრესის, თავისუფლებისა და პიროვნების ღირსების უპირატესობას დაამტკიცებდა (NSDD 75, 3).

ეროვნული უსაფრთხოების ეს დირექტივა საყურადღებოა სწორედ იმის გამო,



რომ მასში განხილულია 1980-იან წლებში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი გაცვლითი პროგრამების ხასიათი. ამ დირექტივის მიხედვით, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის განათლების, კულტურის, მეცნიერების სფეროში განხორციელებული გაცვლითი პროგრამები უნდა აღქმულიყო შეერთებული შტატების განზრახვის ფონზე, რომელიც მოსკოვთან ურთიერთობაში ძლიერი იდეოლოგიური კომპონენტის შენარჩუნებას ეხებოდა (NSDD 1983, 6). ასევე, მაგალითად, შეერთებულ შტატებს არ უნდა შეეწყვიტა და, პირიქით, უნდა გაეფართოებინა ის გაცვლითი პროგრამები, რომელიც საბჭოთა სისტემაში პოზიტიურ ევოლუციურ ცვლილებას და ამ გზით შეერთებული შტატების ხელისუფლების მიზნის წარმატებას უწყობდა ხელს. გარდა ამისა, შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს აძლევდა უფლებას, რომ მანამ, სანამ შტატების ხელისუფლებას გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად ოფიციალური ეფექტური გეგმა ექნებოდა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას უნდა დაედო შეთანხმებები ამერიკელ კერძო სპონსორებთან, თუმცა, ეს საბჭოთა კავშირთან ორმხრივი წვდომის უფლების მინიჭებას არ ნიშნავდა (NSDD 75 1983, 6).

გაცვლითი პროგრამების პარალელურად, ხაზგასმულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მთავარი იდეოლოგიური, პოლიტიკური იერიშის განხორციელების მნიშვნელობა, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობის სხვა ძალისხმევასთან ერთად, საბჭოთა სისტემა თანდათან უნდა შეეცვალა. ეს პროგრამა, საბჭოთა სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი და კვალიფიციური უნდა ყოფილიყო (NSDD 75 1983, 8). სახალხო დიპლომატიის კონტექსტიდან გამომდინარე, ეს დირექტივა საყურადღებო საკითხებს შეიცავს. მაგალითად, იდეების ბრძოლაში შეერთებულ შტატებს საბჭოთა პროპაგანდული მანქანისთვის სემანტიკის სფეროში დაწინაურების შესაძლებლობა არ უნდა მიეცა (NSDD 75 1983, 3). სემანტიკური სფერო იმ სფეროს ნიშნავს, რომელშიც მოქმედების მთავარი იარაღი სიტყვები და მათი მნიშვნელობაა. მაიკლ უოლერის აზრით, აღნიშნულმა დირექტივამ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების სტრატეგია და დააჩქარა საბჭოთა კავშირის რღვევა სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური და იდეოლოგიური წნეხის კომბინირებით (Waller 2007, 135).

ეროვნული უსაფრთხოების ამ დირექტივების მიუხედავად, რეიგანი აშშ-

საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ ხშირად საუბრობდა საჯარო გამოსვლებშიც. მაგალითად, იმავე წლის 8 მარტს რეიგანმა “კეთილსა და ბოროტს”, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ბრძოლის შესახებ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში (Reagan 08.03.1983) ისაუბრა, რომელიც მოგვიანებით “ბოროტების იმპერიის” სიტყვის სახელით გახდა ცნობილი.

ეროვნული უსაფრთხოებისა და სახალხო დიპლომატიის სფეროსთან დაკავშირებით საყურადღებოა 1984 წელს გამოქვეყნებული დირექტივა ნომერი 130 ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ (NSDD 130). დირექტივაში ხაზგასმულია საერთაშორისო საინფორმაციო პროგრამების, როგორც სახალხო დიპლომატიის სტრატეგიული ინსტრუმენტის, როლი მსოფლიოში პოლიტიკური და იდეოლოგიური ტენდენციის ფორმირების კონტექსტში. ამასთანავე, განხილულია შეერთებული შტატების საინფორმაციო პროგრამების მთავარი მიზანი – უცხოურ საზოგადოებებში შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ მოეხდინა გავლენა (NSDD 130, 1).

1982 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მსგავსად, 1986 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც ხისტი ძალის მიდგომებს აერთიანებდა და ამერიკის შეერთებული შტატების დიადი სტრატეგიის (Grand Strategy) მთავარ მიზანს ბირთვული ომისა და ევრაზიასა და სხვა სტრატეგიულ რეგიონებში ერთი მტრული ძალის ან ძალთა კოალიციის გაბატონების თავიდან აცილება წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, მტრულ ძალაში საბჭოთა კავშირი იგულისხმება. ამგვარ სტრატეგიას პოლიტიკურ, დიპლომატიურ, სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკურ, სადაზვერვო და შეიარაღების კონტროლის კომპონენტებზე დაფუძნებული სტრატეგიები უნდა გაერთიანებინა რომლებიც, ამერიკული ღირებულებებითა და მომავლის ამერიკული ხედვით იყო შექმნილი (NSDD 238, 2). 1986 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ მომდევნო წლებში შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სისტემისთვის მთავარ საფრთხეს კვლავ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ გამოწვეული რეგიონული არასტაბილურობა გამოიწვევდა. სამხედრო სფეროში არსებულ საფრთხეებთან ერთად, აღნიშნულია საბჭოთა კავშირის ძალისხმევა, დიპლომატიური, პროპაგანდული, შერჩევითი კომერციული ღონისძიებებითა და დივერსიით შეესუსტებინა შეერთებული შტატების გავლენა (NSDD 238, 3).

ამასთანავე, ამ წლის სტრატეგიაში აღნიშნულია შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იდეებისა და ღირებულებების სფეროში არსებული ძირითადი კონკურენცია, შეჯიბრი, და მათ შორის განსხვავება მომავლის აღქმასა და მშვიდობის პრობლემს შორის. გარდა ამისა, ნახსენებია, რომ საბჭოთა სისტემისთვის მთავარი საფრთხე თავისუფლების იდეა იყო (NSDD 238, 4). საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის იდეებისა და ღირებულებების სფეროში დაპირისპირება ცივ ომს ფონად გასდევდა. მაგალითად, რეიგანის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მკვლევარი რობერტ ედვარდ პი (Robert Edward Pee) იმასაც კი მიუთითებს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის იდეოლოგიურ საფუძველს უხეში, აგრესიული, ხისტი ანტიკომუნისმი წარმოადგენდა, რამაც ცივი ომი ამერიკულ დემოკრატისა და საბჭოურ ტოტალიტარიზმს შორის ბრძოლად წარმოადგინა (Pee 2013, 57). ალბათ, რეიგანის ადმინისტრაციის ანტიკომუნისტური იდეოლოგიის შემუშავებაზე თავად რეიგანის უკიდურესმა ანტიკომუნისმმა მოახდინა გავლენა. ცხადია, რომ პრეზიდენტის, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლის იდეოლოგია საფუძვლად დაედო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შემუშავებას – ეს საგარეო ურთიერთობის სფეროში პრეზიდენტის მნიშვნელოვან პროვინულ როლზე მიუთითებს.

1986 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის რეიგანის ადმინისტრაციის მცდელობების მიუხედავად, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობის ფუნდამენტურად დაპირისპირებული, კონკურენტული ბუნება უცვლელი იქნებოდა მანამ, სანამ თავად საბჭოთა სისტემის ბუნება არ შეიცვლებოდა (NSDD 238, 5). ცხადია, უნდა შეცვლილიყო შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობა, მაგრამ საბჭოთა სისტემის ბუნების შეცვლა მხოლოდ იდეებით, ღირებულებებით მოხერხდებოდა, რადგან სისტემის საფუძველს სწორედ კონკრეტული იდეები და ღირებულებები ქმნის. ბოლშევიკური ყაიდის კომუნისტურ იდეებსა და სოციალისტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ საბჭოთა სისტემას ამერიკული დემოკრატიული იდეები და კაპიტალისტური ღირებულებები შეცვლიდა. საბოლოო ჯამში, ამგვარი ცვლილება სისტემას დაანგრევდა და გაანადგურებდა. საგარეო პოლიტიკის სფეროში იდეები და ღირებულებები სახალხო დიპლომატიის განხორციელებით ვრცელდება.

შესაბამისად, 1986 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, სახალხო დიპლომატიის საშუალების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამას მოწმობს მაგალითად ისიც, რომ საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად დასახელებულ მნიშვნელოვან რესურსებს შორის, ხისტი ძალის ელემენტებთან ერთად, როგორცაა, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სფერო, დასახელებულია რბილი ძალის ელემენტი – საზოგადოებრივი საინფორმაციო პროგრამები (NSDD 238, 15). საზოგადოებრივი საინფორმაციო პროგრამები სახელმწიფოს უცხოურ საზოგადოებებამდე საკუთარი იდეების მიწოდებაში ეხმარება.

რეიგანმა თავისი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდში ნათლად ჩამოაყალიბა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები 1987 წელს გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც, რომელიც მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების მიღწევას ისახავდა მიზნად (Reagan 26.08.1987). მაგრამ, საინტერესოა, როგორ შეძლებდა იგი ამ მიზნის მიღწევას მაშინ, როდესაც იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებული სისტემის მქონე საბჭოთა კავშირი შეერთებული შტატების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა? იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს მხოლოდ იდეოლოგიურად დაუპირისპირდები და სიტყვების, ინფორმაციის, პოლიტიკურ-კულტურული ღირებულებების გაზიარებით შეძლებ მისი აზრის შეცვლას. იდეოლოგიური ბრძოლის საშუალებას კი სახელმწიფოს მხოლოდ სახალხო დიპლომატიის სათანადო რესურსების გამოყენება აძლევს.

ამერიკის შეერთებული შტატების 1987 და 1988 წლების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში გაწერილია შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესები და საგარეოპოლიტიკური მიზნები. როგორც 1987, ასევე 1988 წლის სტრატეგიაში ერთ-ერთ ძირითად პუნქტად ჩამოყალიბებულია სტაბილური, უსაფრთხო მსოფლიოს არსებობა, რომელშიც შეერთებული შტატების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეები არ იარსებებდა. ამასთანავე, განხილულია ის ნაბიჯები, თუ როგორ აპირებდა რეიგანის ადმინისტრაცია მსოფლიოს ქვეყნებთან ეფექტური და ხელსაყრელი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. იმდროინდელ მსოფლიოში შეერთებული შტატების გავლენის გასაზრდელად დიპლომატიურ,

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალისხმევასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება საინფორმაციო საშუალებებზე (NSS 1987, 5), 1988 წლის სტრატეგიაში კი საბჭოთა კავშირთან რეალური და ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობების გზების ძიებაზეა გამახვილებული (NSS 1988, 4).

1987 წელს, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით, შეერთებული შტატების ინტერესების ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ საბჭოთა კავშირის მიერ მასობრივი პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად გამოყენებული პროპაგანდული მანქანა დასახელებული (NSS 1987, 7). საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტა ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა, რათა გამოეყენებინა მედია, როგორც აშკარა, ასევე ფარული პროპაგანდული ჩანაფიქრის გასავრცელებლად, სხვადასხვა ქვეყანაში კომუნისტური პარტიების მხარდასაჭერად, უცხოელი სტუდენტების, მთავრობის წარმომადგენლების, სამხედრო პირებისა და საბჭოთა კავშირში ჩასული უცხოელი ტურისტების პოლიტიკური და იდეოლოგიური გადაბირებისათვის. ამ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირი დეზინფორმაციის, გავლენის მქონე პოლიტიკური აგენტებისა და სხვა თაღლითური ოპერაციების გამოყენებით ატარებდა (NSS 1987, 7). ეს ყველაფერი კი ხელს უშლიდა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს, მსოფლიოში მშვიდობა და თავისუფლება დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ხარჯზე მიეღწია. სწორედ ამიტომ, რეიგანის ადმინისტრაციამ საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა რესურსი კომპლექსურად აამოქმედა: ხისტი ძალის რესურსებთან ერთად, რომელსაც სამხედრო, ეკონომიკური, სავაჭრო და უსაფრთხოების სფეროების მობილიზაცია წარმოადგენდა, განსაკუთრებული ადგილი სახალხო დიპლომატიას – მორალური, პოლიტიკური ღირებულებების გავრცელებასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობას ეკავა. 1987 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია, რომ ამერიკული სამაგალითო სულისკვეთების, ღირებულებების, კეთილდღეობის ორგანიზებული გავრცელება ქვეყნის ერთ-ერთი ინტერესი იყო ისევე, როგორც მოკავშირე და მოწინააღმდეგე ქვეყნებთან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობა სამომავლო პოზიტიური ურთიერთობის ხელმშეწყობ ფაქტორად იყო მიჩნეული (NSS 1987, 10).

ცივი ომის დროს შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთთან იდეოლოგიურ ბრძოლაში იყო ჩართული. პოლიტიკურ ასპარეზზე ეს შეერთებული

შტატების ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა. ამ გამოწვევის თავიდან ასაცილებლად, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში, შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტთან, საერთაშორისო განვითარებისა და შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოებთან, ვაჭრობისა და ფინანსთა დეპარტამენტებთან და შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენლობასთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული კერძო სექტორი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხალისეთა ორგანიზაციების საქმიანობა. მათ მთავარ მიზანს საბჭოთა კავშირის აგრესიულ პროპაგანდულ აქტივობებთან შებრძოლება და საინფორმაციო პოლიტიკის ეფექტური გავრცელება წარმოადგენდა. რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას უკეთესი ცხოვრებისა და პოზიტიური ცვლილების იმედი ჩასახვოდა (NSS 1987, 10). ნათელი იყო, რომ ხალხთაშორისი კონტაქტები და საზოგადოებებს შორის იდეების გაცვლა შეერთებულ შტატებს საბოლოოდ ამ შედეგებამდე მიიყვანდა.

რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირის ჰეგემონობის დასამარცხებლად 1987 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში სამი მთავარი საგარეოპოლიტიკური სახელმძღვანელო პრინციპი ჩამოაყალიბა: რეალიზმი, სიმლიერე და დიალოგი. რეალიზმი საბჭოთა კავშირის სისტემის ბუნების ცნობასა და ამ სისტემასთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარებას გულისხმობდა. სიმლიერე აერთიანებდა სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ძალებს. დიალოგი კი იმ საკითხების განხილვას გულისხმობდა, რომელიც ამ ორ სისტემას ერთმანეთისგან ყოფდა, მათ შორის, ადამიანის უფლებების, რეგიონული კონფლიქტების შემცირების, ორმხრივი თანამშრომლობის სფეროებისა და შეიარაღების კონტროლზე საუბარს (NSS 1987,16).

სახალხო დიპლომატიის საკითხში 1987 წელი მნიშვნელოვანი იყო რეიგანის ადმინისტრაციისთვის, რადგან, მაიკლ უოლერის მიხედვით, სწორედ ამ წელს ბერლინში რეიგანის საჯარო სიტყვა გახდა კულმინაცია მის მიერ, სახალხო დიპლომატიისა და პოლიტიკური საომარი მოქმედებების კამპანიის გამოყენებით, საბჭოთა კავშირზე ზეწოლის კონტექსტში, რამაც აიძულა საბჭოთა კავშირი დაშლილიყო, საბჭოთა ხალხი კი დემოკრატიული ცვლილებისთვის წახალისა (Waller 2007, 144). 1987 წლის 12 ივნისს რეიგანმა ბრანდერბურგის კარიბჭესთან, დასავლეთ ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც რეიგანის “ბერლინის

სიტყვით” არის ცნობილი, მოუწოდა მიხაილ გორბაჩოვს მისულიყო კარიბჭესთან და ბერლინის კედელი დაენგრია. *“თუ ეძებ მშვიდობას, თუ ეძებ კეთილდღეობას საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის, თუ გინდა ლიბერალიზაცია: მოდი აქ, ამ კარიბჭესთან! ბატონო გორბაჩოვო, გააღე ეს კარიბჭე! ბატონო გარბაჩოვო, დაანგრე ეს კედელი!”* – აღნიშნა რეიგანმა (Reagan 12.06.1987). გორბაჩოვი არ მისულა კარიბჭესთან, გორბაჩოვს არ გაუღია კარიბჭე, გორბაჩოვს არ დაუნგრევია კედელი; რეიგანს სურდა მშვიდობა, კეთილდღეობა. ბერლინის კედელი იდეოლოგიურ ზღვარს ავლევდა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის, ხოლო კარიბჭის კლიტეს ამერიკული დემოკრატიული ღირებულებები, იდეები მოერგო და მის გაღებაში რკინის ფარდის აღმოსავლეთით მცხოვრები საზოგადოების იმ ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაციის საგარეოპოლიტიკურმა ნაბიჯებმა და რეიგანის იდეოლოგიურმა რიტორიკამ მშვიდობა და კეთილდღეობა მოანდომა.

1988 წელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შეერთებული შტატების უსაფრთხოების ინტერესებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს კვლავ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა (NSS 1988, 5). წინა წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისგან განსხვავებით, 1988 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში შეერთებული შტატების ეროვნული ძალის ცალკე ელემენტად დასახელებულია სახალხო დიპლომატია, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებისა და ხალხის მიერ მათი აღქმის კონტექსტში ყველაზე გავლენიანი საგარეო პოლიტიკური ინტრუმენტი. ამ მხრივ, სახალხო დიპლომატიის როლის ცალკე ფორმულირება მიუთითებს რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მზაობაზე, აქტიურად გამოეყენებინა სახალხო დიპლომატია. მართლაც, როგორც 1988 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშია განხილული, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით მისი ადმინისტრაცია უცხოური საზოგადოებებისთვის შეერთებული შტატების პოლიტიკის ახსნას, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებით, ნათლად და დამაჯერებლად ცდილობდა (NSS 1988, 7). ამასთანავე, კვლავ გამახვილებულია ყურადღება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მეგობრულ და დაპირისპირებულ სახელმწიფოებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე (NSS 1988, 8). პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაც რბილი ძალისა და

სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მიზანია.

1987 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისაგან განსხვავებით, 1988 წლის სტრატეგიაში პოლიტიკურ სფეროში, ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების გადასაჭრელად, დიპლომატიური ძალის გამოყენებასთან ერთად, საინფორმაციო ღონისძიებების მნიშვნელობაა განხილული. საერთო ჯამში, ეს სახალხო დიპლომატიის ტერმინის ქვეშ ერთიანდება. ამასთანავე, განმარტებულია საბჭოთა კავშირის სახალხო დიპლომატიისა და პროპაგანდის მცდელობების ბუნება, როგორც აგრესიული ქმედებების ერთობლიობა. საბჭოთა პროპაგანდასთან შებრძოლებას რეიგანის ადმინისტრაცია ამერიკული ღირებულებების, ინტერესებისა და პოლიტიკის შესახებ უტყუარი, ჭეშმარიტი ფაქტების გავრცელებით ცდილობდა. საზოგადოებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ღია სისტემის შექმნას საბჭოთა კავშირის დახურულ საზოგადოებაში დემოკრატიული ბუნების ცვლილებები უნდა გამოეწვია (NSS 1988, 10).

ამერიკის შეერთებული შტატების 1987-88 წლების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების განხილვის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციას საბჭოთა კავშირთან მიმართებით, საგარეო ურთიერთობის კონტექსტში, სახალხო დიპლომატიის გამოყენების აუცილებლობა დღის წესრიგში ჰქონდა შეტანილი. ოღონდ, არა რბილი ძალის კლასიკური გაგებით, რომელიც, ჯოზეფ ნაის სიტყვებით, კულტურის, პოლიტიკური ღირებულებებისა და საგარეო პოლიტიკის რესურსების საშუალებით ვრცელდება (Nye 2004, x). ამ წლების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში კულტურის ელემენტების საშუალებით რბილი ძალის გავრცელება არ არის განხილული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეიგანი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საზოგადოებებს შორის კულტურული გაცვლითი პროგრამების საშუალებით კავშირის დამყარების აუცილებლობას არ განიხილავდა. მაგალითად, 1980-იან წლებში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს ორმხრივი ურთიერთობისა და კულტურული გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1985 წლის ჟენევის, 1987 წლის ვაშინგტონისა და 1988 წლის მოსკოვის სამიტების დროს რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი აშშ-საბჭოთა კავშირს შორის საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე შეთანხმდნენ (United States Relations with Russia: The Cold War,



n.d.). რეიგანის სიტყვებით, აშშ-საბჭოთა კავშირის სამომავლო ურთიერთობისთვის აკადემიურ, კულტურულ და სხვა სახის გაცვლით პროგრამებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა (Reagan 01.06.1988). როგორც “თავგამოდებული ანტიკომუნისტი” (Reynolds 2007, 346), რეიგანი ყოველმხრივ ცდილობდა “ბოროტების იმპერიის” დამარცხებას. სწორედ ამ მიზნით, მან საბჭოთა კავშირის მიმართ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის ელემენტების აქტიური გამოყენებაც დაიწყო, რომლის ფორმულირება 1987-88 წლების შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში, წინა წლების სტრატეგიებისგან განსხვავებით, უფრო მკაფიოდ წარადგინა. ამგვარად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საბჭოთა კავშირის მიმართ 1987-88 წლებში საერთაშორისო ასპარეზზე შეერთებული შტატების ინტერესების დაცვა, მის წინააღმდეგ არსებული საფრთხეების თავიდან აცილება, საბჭოთა კავშირის პროპაგანდული ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და შეერთებული შტატების შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენდა.

- ამგვარად, 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროები ერთმანეთს მჭიდროდ იყო დაკავშირებული;
- რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებდა;
- სახალხო დიპლომატია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან და მის ინსტრუმენტს წარმოადგენდა;
- 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ელემენტი როგორც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში, ასევე ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივებში ჩამოყალიბდა;
- საბჭოთა კავშირთან და რბილ ძალასთან დაკავშირებით ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივებიდან საყურადღებოა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივები № 45, № 77, № 75 და № 130;

- გარდა ამისა, რეიგანი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ ურთიერთობაზე ყურადღებას თავის გამოსვლებშიც ამახვილებდა. სახალხო დიპლომატიისა და აშშ-საბჭოთა კავშირის კონტექსტთან დაკავშირებით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რეიგანის გამოსვლა ბრიტანეთის პარლამენტში და მისი სიტყვა დასავლეთ ბერლინში;
- რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში სახალხო დიპლომატია, სტრუქტურულად, შინაარსობრივად და მიზნობრივად დაიხვეწა, განვითარდა და საგარეო პოლიტიკის სფეროში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბდა.
- საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად რეიგანის ადმინისტრაცია, სახალხო დიპლომატიის გამოყენებით, საბჭოთა იმპერიალიზმთან გარეგნული წინააღმდეგობის გამოხატვით, საბჭოთა კავშირზე შიგნიდან ზეწოლით, საბჭოთა იმპერიალიზმის წყაროების დასუსტებასა და წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკებების გამოყენებას ისახავდა მიზნად.
- ამ გზით შეერთებული შტატების ხელისუფლება საბჭოთა კავშირის მთავარ იდეოლოგიასთან – კომუნიზმთან შეწინააღმდეგებასა და, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის რღვევას ისახავდა მიზნად.

## თავი 2: სახალხო დიპლომატია და ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა 1980-იან წლებში

### 2.1. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია და საბჭოთა კავშირი 1980-იან წლებში

ქვეთავის ამოცანაა იმ ღონისძიებების განხილვა, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებდა საბჭოთა კავშირში სახალხო დიპლომატიის კუთხით 1980-იან წლებში.

ცივი ომის პერიოდის გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების უმთავრეს მიზანს საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პროპაგანდასთან შეწინააღმდეგება და მისი იდეოლოგიის რღვევა წარმოადგენდა. იდეოლოგიის ფრონტზე შეერთებული შტატები დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას და, ამ გზით, საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში სოციალისტური იდეების შეცვლას, გაქარწყლებას ცდილობდა.

რონალდ რეიგანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შეერთებული შტატების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული დეზინფორმაცია მკვეთრად გაძლიერდა (Waller 2008, 163). 1980-იან წლებში შეერთებულმა შტატებმა საგარეო ასპარეზზე ახალი მისიით შეაბიჯა: რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაცია მოწოდებული იყო გაეძლიერებინა ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერება, შეემცირებინა საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი კომუნიზმის შემდგომი გავრცელება და მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიიდან ამოეშალა (Jordan 2009, 37). 1984 წელს რეიგანისთვის აუხდენელ ოცნებას აღარ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ერთ დღეს ამერიკელი და საბჭოელი მოქალაქეები თავისუფლად იმოგზაურებდნენ, ესტუმრებოდნენ ერთმანეთის სახლებს და ერთად იმუშავებდნენ. ამის შესახებ მან 1984 წელს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა (Richmond 2003, 226). საინტერესოა, თუ როგორ, რა გეგმით აპირებდა რონალდ რეიგანი საკუთარი ამერიკული ოცნების ახდენასა და ამ ორი ხალხის დაკავშირებას. ხალხების, საზოგადოებების დაკავშირება

სახალხო დიპლომატიის აქტიური გამოყენებით არის შესაძლებელი.

კვლევა უმთავრესად ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა კომისიის ყოველწლიურ ანგარიშებს 1980-იანი წლებიდან და ასევე, რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში (სიმი ველი, კალიფორნია) დაცულ საარქივო მასალებს. ამ მასალების, როგორც პირველწყაროების შესწავლა, გვებმარება პასუხი გაცვით მოცემული ქვეთავის ფარგლებში ჩატარებული კვლევის კითხვებს: ზოგადად, რა მიზნები ჰქონდა რეიგანის ადმინისტრაციას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლის მიღწევასაც სახალხო დიპლომატიის საშუალებით ცდილობდა და განსხვავდებოდა თუ არა ეს მიზნები რეიგანის პირველი და მეორე საპრეზიდენტო ვადის პერიოდში.

საკითხის უკეთ გასარკვევად, ქვეთავში მიმოხილულია 1980-იან წლებში შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის განმახორციელებელი სააგენტოს – ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს – მიზნები და ფუნქციები. გარდა ამისა, ჩამოთვლილია სახალხო დიპლომატიის ის მიმართულებები, რომელიც 1985 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ კულტურულ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ შეთანხმებაშია აღნიშნული. კვლევის მიზანი არ არის სახალხო დიპლომატიის ყველა იმ აქტივობის მიმოხილვა, რომელსაც შეერთებული შტატები 1980-იან წლებში ახორციელებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კვლევა გულისხმობს მხოლოდ იმ მიზნების გამოკვეთას, რომელიც ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებს, სახალხო დიპლომატიის საშუალებით, ამოძრავებდა საბჭოთა კავშირის მიმართ.

აღნიშნული საკითხების შესწავლაში დიდი დახმარება გამიწია რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში არსებულმა საარქივო მასალებმა, რომელთა მოსაძიებლად და დასამუშავებლად გამოვიყენე ამ ბიბლიოთეკის სახალხო დიპლომატიის კატალოგი (Reagan Catalogue 2019). კატალოგიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის სახალხო დიპლომატიის მიმართულებით თემატურად ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება უოლტერ რეიმონდის (Walter Raymond) ფაილებში. რეიმონდი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უფროსი თანამშრომელი, რონალდ რეიგანის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში მუშაობდა. მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება სახალხო დიპლომატიასთან, ფსიქოლოგიური ხასიათის ოპერაციებთან (Psychological

Operations) და პოლიტიკურ მოქმედებებთან (Political Action) დაკავშირებული უწყებათაშორისი საქმიანობის წარმართვა იყო. რეიმონდი დახელოვნებული იყო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საკითხებში და, როგორც ცნობილია, რეიგანის ადმინისტრაციაში, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდა (Parry 2017).

კვლევის ფარგლებში გავეცანი უოლტერ რეიმონდის ფაილების მე-11 ყუთს, რომელიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოიცავს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებულ მასალებს. ფაილები დახარისხებულია პერიოდების მიხედვით – 1983-დან 1987 წლის ჩათვლით. ასევე, რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის საარქივო მასალებში გავეცანი ამერიკელი კარიერული დიპლომატისა და საბჭოთა კავშირში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის ჯეკ მეტლოკის (Matlock, Jack F.: Files: Box 44, 50, 53, 55, 57, 62) თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, პრეზიდენტის ასისტენტის (Deputy to the Deputy Chief of Staff, Assistant to the President) მაიკლ მაკმანუსისა (Michael McManus) (McManus, Michael: Files. Box 29) და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თანამშრომლის დენის ბლეირის (Dennis Blair) (Blair, Dennis: Files. Box 4) და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ევროპული და საბჭოთა კავშირის საქმეთა დირექტორატის (European and Soviet Affairs Directorate, NSC: Records. Box 12) ფაილებს.

აღსანიშნავია, რომ ეს საარქივო ფაილები მოიცავს კვლევისთვის აუცილებელი ისეთი დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც ამ ეტაპისთვის (2019 წლისთვის) საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს და, შესაბამისად, მკვლევრებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის სახალხო დიპლომატიის სტრატეგიული დოკუმენტები (1983, 1985), ჯონ პოინდექსტერის მიერ ჯეკ მეტლოკისთვის მიწერილი წერილი კულტურული გაცვლითი პროგრამების შესახებ (04.06.1984), ჟენევის სამიტის პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებული ინიციატივების უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები (1986). თუმცა, საკვლევ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ზემოთ აღნიშნული კატალოგიდან გამოყენებულია კონკრეტულად საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით არსებული ფაილები.

ზოგადად, მკვლევართათვის ხელმისაწვდომი საარქივო დოკუმენტების

განხილვის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ სახალხო დიპლომატიაზე რეიგანის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით ამახვილებდა. მაგალითად, სახალხო დიპლომატიას უნდა გაექარწყლებინა ის ისტერია, რომელიც საზოგადოებაში ჟენევისა და რეიკიავიკის სამიტებთან დაკავშირებით იყო წარმოქმნილი (The Geneva and Reykjavik Summits, 1986).

სანამ კონკრეტულად 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობებსა და მიზნებს შევხები, მნიშვნელოვანია ვახსენო ის, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირს შეერთებული შტატების მიმართ და რა ახასიათებდა საბჭოურ პროპაგანდას 1980-იან წლებში. საბჭოთა პროფესიული და ბიუროკრატიული ელიტა ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის უმთავრეს საერთაშორისო კონკურენტად მოიაზრებდა. მისი აზრით, შეერთებულ შტატებს სამხედრო პირველობა სურდა. პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით, ინტელექტუალებსა და შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლებს შეერთებული შტატების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდათ. ხელოვანები და ინტელექტუალები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ პირადი და შემოქმედებითი თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებაზე (Soviet Elites 1986). ავღანეთის ომისა და პოლონეთთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის ზრდის გამო, საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო პროპაგანდა გააქტიურა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მონაცემებით, 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო პროპაგანდის წარმოებისთვის 2.2 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი დახარჯა (Cull 2009, 400).

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს გარდა, სახალხო დიპლომატიის მიმართულებით, შტატებში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა კომისია. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია შეაფასოს მთავრობის სახალხო დიპლომატიის აქტივობები, რომელიც უცხოური საზოგადოების ინფორმირებასა და მასზე გავლენის მოპოვებას მოიცავს (U.S. ACPD Webpage). 1980-იანი წლებში ამ კომისიის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიურ ანგარიშებში აღნიშნულია ის რეკომენდაციები, რომელსაც ეს უწყება პრეზიდენტისთვის ამუშავებდა სახალხო

დიპლომატიის სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ ანგარიშებში წარმოდგენილია ინფორმაცია საბჭოთა კავშირის პროპაგანდის ბუნებისა და აქტივობების შესახებ. მაგალითად, 1982 წლის ანგარიშში საბჭოთა კავშირის პროპაგანდის ტექნიკასთან ერთად აღნიშნულია მისი მიზნები: წარმოეჩინა საბჭოთა კავშირი როგორც მშვიდობისა და დეტენტეს მომხრე, სამართლიანი და პროგრესული ქვეყანა (U.S. ACPD 1982, 61). ანგარიშების მიხედვით, საბჭოელი პროპაგანდისტები ტერმინებს – ხალხი, თავისუფლება, მშვიდობა, დემოკრატიული – ამ ტერმინების ანტითეზად იყენებდნენ (U.S. ACPD 1983, 12) და, შეერთებულ შტატებთან შედარებით, საბჭოთა კავშირი უფრო მეტ ძალისხმევასა და რესურსს იყენებდა პროპაგანდისა და საინფორმაციო ღონისძიებების მიმართულებით (U.S. ACPD 1985, 13). 1986 წელს ამავე უწყებამ გამოსცა ანგარიში საბჭოთა კავშირის ადვოკატირებისა და შეერთებული შტატების მედიის მახასიათებლების შესახებ (Soviet Advocacy and U.S. Media 1986). საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო დიპლომატიის აქტივობების მოცულობა და საზღვრები გაიზარდა. საბჭოთა კავშირმა მიიღო დასავლური საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტები და თავისუფალი საზოგადოების იმიჯის მორგება დაიწყო, თუმცა, ამის ფონზე, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული დეზინფორმაცია შეერთებული შტატების მხრიდან კვლავ ფხიზელ დამოკიდებულებას მოითხოვდა (U.S. ACPD 1989, 11).

საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობების განხორციელებას აბრკოლებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ხალხთაშორის თავისუფალ კავშირებს ზღუდავდა. ეს შეზღუდვა ამერიკული სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – ორმხრივ ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული თანამშრომლობის დამყარება-განმტკიცება – უშლიდა ხელს. ამგვარი ტენდენცია გრძელდებოდა 1980-იან წლებშიც. გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით, ამ პერიოდშიც ხშირად ირღვეოდა სახალხო დიპლომატიის ორმხრივობის ასპექტი: მაგალითად, 1983 წელს, ჯეკ მეტლოკის მიერ საბჭოთა კავშირში შეერთებული შტატების გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით გაკეთებული ერთ-ერთი მემორანდუმიდან ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირმა შეერთებული შტატებიდან უკან გამოიხმო ის 20 მკვლევარი, რომელიც აირექსის პროგრამით იმყოფებოდა შტატებში, რადგან არ იცოდნენ,

რამდენად იყო მათი უსაფრთხოების სტანდარტები დაცული (Matlock 1983). ამასთანავე, საკუთარი საგარეოპოლიტიკური და ეროვნული ინტერესების განსამტკიცებლად, სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით, შეერთებული შტატები სათავისოდ იყენებდა საბჭოთა კავშირში დაწესებულ დღეებსა და აღნიშვნებს. ეს მიდგომა შეერთებულ შტატებს სახალხო დიპლომატიის მთელი სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში დაეხმარებოდა. ამ სიაში, რომელიც შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ შეიმუშავა, სხვადასხვა თარიღთან ერთად, აღნიშნულია 25 თებერვალი (1921), როგორც დღე, როდესაც საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა და 26 მაისი (1918) – საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება (Memorandum 28.11.1984). ის, თუ როგორ იყენებდა აღნიშნულ დღეებს ამერიკული სახალხო დიპლომატია, ცალკე კვლევის საგანია. თუმცა, ეს ფაქტი გვეხმარება ზოგადად წარმოვიდგინოთ სახალხო დიპლომატიის ის ტექნიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირში განხორციელებულ ამერიკულ სახალხო დიპლომატიას ახასიათებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის სახალხო დიპლომატიის მიმართულებით გარდამტეხი მოვლენა იყო 1985 წლის ჟენევის სამიტი, რომელიც მაღალი პოლიტიკური დონის შეხვედრის გარდა, სახალხო დიპლომატიის დონისძიებასაც წარმოადგენდა. ჟენევის სამიტმა შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის შორის ხალხთაშორისი კავშირები ახალ ეტაპზე გადაიყვანა. ამ სამიტზე, ერთის მხრივ, გამოიკვეთა ის, რომ ამერიკული სახალხო დიპლომატიის ძალისხმევა იყო წარმატებული, რადგან შეძლო ეროვნული მიზნებისა და მედიაში ინფორმაციის ზუსტად გავრცელება (Statement of Edwin J. Feulner 1986, 6), ხოლო, მეორე მხრივ, ხელი მოეწერა ამერიკული სახალხო დიპლომატიის სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს.

ჟენევის სამიტზე რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი გაცვლითი პროგრამების გაფართოებაზე შეთანხმდნენ. როგორც რეიგანის საარქივო მასალების განხილვის საფუძველზე ირკვევა, ეს პროგრამები ექვსი მიმართულებით უნდა ამოქმედებულიყო: 1. თანამშრომლობა საგანამათლებლო გაცვლითი პროგრამების გაფართოებისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის საგანმანათლებლო საფეხურზე პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით; 2. შეერთებულ შტატებში რუსული ენის, ხოლო საბჭოთა კავშირში ინგლისური ენის შესწავლისთვის სხვადასხვა



ღონისძიების განხორციელება; 3. ყოველწლიური გაცვლითი პროგრამები პროფესორებისთვის ისტორიის, კულტურისა და ეკონომიკის მიმართულებით ამერიკული და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა დეპარტამენტში ლექციების წასაკითხად; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნიკური, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით საუკეთესო სტუდენტებისთვის აკადემიური წლის განმავლობაში სტიპენდიების გაცემის ხელშეწყობა; 5. სპორტის სხვადასხვა სახეობაში რეგულარი შეხვედრების ორგანიზება და სატელევიზიო მედიაში სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაშუქების ხელშეწყობა; 6. კიბოსთან საბრძოლველად თანამშრომლობის განახლება (Implementing the Geneva Exchanges Initiative 1986).

1985 წლის 21 ნოემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ჟენევაში ხელი მოაწერეს გაცვლითი პროგრამების მთავარ შეთანხმებას (General Exchanges Agreement). ამ შეთანხმების მიხედვით, ოფიციალური აკადემიური, კულტურული და სახელოვნებო გაცვლითი პროგრამები უნდა გაფართოებულიყო ამ ორი ქვეყნის მოსახლეობას შორის. 1979 წლის შემდეგ ეს შეთანხმება, რომელსაც ხელი ჯორჯ შულცმა და ედუარდ შევარდნაძემ მოაწერეს, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, სახალხო დიპლომატიისა და ხალხთაშორისი გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით პირველ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა. ავღანეთის დაპყრობის შემდეგ, 1979 წლიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ხალხთაშორისი ურთიერთობა და გაცვლითი პროგრამები შემცირებული იყო. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კი, გაცვლითი პროგრამები შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის 1986-1988 წლებში უნდა განხორციელებულიყო რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, განათლების, საშემსრულებლო ხელოვნების, გამოფენების, ტელევიზიისა და კინოს, პროფესიული და მოქალაქეების გაცვლითი პროგრამების სფეროში (U.S.-Soviet Exchange Initiative 1989, 1).

ეს ხელშეკრულება, სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა: იგი იყო ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობას საგანმანათლებლო და კულტურის სფეროს სხვადასხვა სექტორში პირდაპირ დააკავშირებდა ერთმანეთთან. ამ შეთანხმებით, პრაქტიკულად,

განხორციელდებოდა ის მისწრაფებები, რომელიც რონალდ რეიგანს მშვიდობის დასამყარებლად ჰქონდა. ეს შეთანხმება განახლდა მოსკოვის სამიტის დროს. 1988 წელს შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა ჩარლზ უიკმა (Charles Z. Wick) და საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა ვასილი ზახაროვმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ახალ პროგრამას (Program of Cooperation), რომელსაც საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრობის საკითხების მიმართულებით გაცვლითი პროგრამების მასშტაბი უნდა გაეფართოებინა (U.S-Soviet Exchange Initiative 1989, 2).

ამ შეთანხმებით გაწერილი ღონისძიებების ამოქმედება და კურირება ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (USIA) პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. ეს სააგენტო, რომელიც 1953 წელს დაფუძნდა, დამოუკიდებელი საგარეო საქმეთა სააგენტო იყო, რომელიც შეერთებული შტატების აღმასრულებელ შტოში ფუნქციონირებდა. მოკლედ რომ აღინიშნოს, სააგენტოს, სხვადასხვა საინფორმაციო პროგრამის განხორციელებით, ხელი უნდა შეეწყოს საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ეროვნული ინტერესებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო ეხმარებოდა შეერთებულ შტატებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ურთიერთგაგების დამყარება-გადრმაგებას საგანამანთლებლო და კულტურული ღონისძიებების წარმართვით. ეს იყო უმსხვილესი სააგენტო, რომელიც, ცივი ომის პერიოდში, ამერიკული სახალხო დიპლომატიის აქტივობებს ახორციელებდა (United States Information Agency govinfo.library.unt.edu). ამ უწყების ყოველწლიური ბიუჯეტი 1980-იან წლებში 500 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატებოდა (Chodkowski 2012, 1). სააგენტოს მისია რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებას მოიცავდა: 1. აეხსნა შეერთებული შტატების პოლიტიკა და მხარი დაეჭირა მისთვის იმგვარად, რომ უცხოურ კულტურებში ის წარმოჩენილიყო სანდოდ და მრავალმნიშვნელოვნად; 2. წარმოედგინა ინფორმაცია შეერთებული შტატების ოფიციალური პოლიტიკისა და იმ ხალხის, ღირებულებებისა და ინსტიტუტების შესახებ, რომელიც ამ პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაზე ახდენდა გავლენას; 3. დახმარებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებსა და ინსტიტუტებს საზღვარგარეთ საკუთარ კოლეგებთან ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებასა და საერთაშორისო ჩართულობის გზით მათთვის სარგებლის მოტანაში; 4. რჩევა მიეცა ამერიკის

შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით ექნებოდა პირდაპირი გავლენა საზღვარგარეთ არსებულ საზოგადოებრივ აზრს შეერთებული შტატების პოლიტიკის ეფექტურობაზე. ცივი ომის პერიოდში სწორედ ეს უწყება იყო ამერიკული სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტი. 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ჩარლზ უიკი ხელმძღვანელობდა.

1985 წლის 21 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ჟენევაში ხელმოწერილი გაცვლითი პროგრამების მთავარ შეთანხმებაში წარმოდგენილი მიმართულებების ასამოქმედებლად, 1986 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოში შეიქმნა კოორდინატორის უწყება (Coordinator's Office). ამ ოფისს, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების გასატარებლად, პრეზიდენტის სახელით, უნდა წახალისებინა ადგილობრივი ამერიკული კერძო სექტორი საბჭოთა კავშირთან სხვადასხვა გაცვლითი პროგრამის განხორციელებისთვის. შეთანხმება ამზადებდა ნიადაგს იმისთვის, რომ კერძო სექტორი აქტიურად ჩართულიყო სახალხო დიპლომატიის განხორციელებაში (U.S. ACPD 1986, 33). ამ მიზნების განსახორციელებლად, ეს უწყება მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს სხვადასხვა ოფისთან და როგორც შეერთებული შტატების, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მათ შორის, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან და მოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოსთან (U.S-Soviet Exchange Initiative 1989, 1).

1985 წლიდან, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის გაცვლითი პროგრამები საშემსრულებლო ხელოვნების, ხალხთაშორისი გაცვლითი პროგრამების, კინოს, ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამების, სახვითი ხელოვნების, გამოფენებისა და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების მიმართულებით გაფართოვდა. ჟენევაში ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში, მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში წარმოდგენებს მართავდნენ ამ ორი ქვეყნის საბალეტო დასები, ქორეოგრაფიული ანსამბლები და სიმფონიური ორკესტრები; საფუძველი ეყრებოდა ერთობლივი კულტურული პროდუქციის შექმნას. ამოქმედდა მოქალაქეთა შორის გაცვლითი პროგრამები – “მეგობრობის ლაშქარი” (Friendship Force) და დაძმობილებული

ქალაქების პროექტი. როგორც ამერიკული, ასევე საბჭოთა კავშირის კინონდუსტრიის წარმომადგენლები ეცნობოდნენ ერთმანეთის შემოქმედებას და განიხილავდნენ ერთობლივი პროდუქციის შექმნის შესაძლებლობებს, ეწყობოდა ფილმების ფესტივალები. 1987 წლიდან ამოქმედდა სკოლის უფროსკლასელებისა და სხვადასხვა საუნივერსიტეტო საფეხურის სტუდენტების, ლექტორთა, მკვლევართა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები. ეწყობოდა როგორც ამერიკელი და საბჭოთა მხატვრების, ასევე ამერიკული ტექნოლოგიებისა და საყოფაცხოვრებო ნაწარმის გამოფენები (U.S.-Soviet Exchange Initiative 1989, 2-7). რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მეორე ვადის პერიოდში სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები საზოგადოებრივი განვითარების თითქმის ყველა მიმართულებით ამოქმედდა. ეს ღონისძიებები მორგებული იყო როგორც ხანომოკლე, ასევე გრძელვადიანი პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაზე.

რეიგანის ადმინისტრაცია მოწოდებული იყო ეფექტურად ებრძოლა იდეოლოგიურ სფეროში. შეიძლება აღინიშნოს, რომ რონალდ რეიგანი საბჭოთა კავშირთან ამგვარი ხელშეკრულების დასადებად თავისი ადმინისტრაციის პირველი ვადის დროს იდეოლოგიურ ნიადაგს ამზადებდა. 1981 წელს რეიგანის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირის „ქმედით ღონისძიებებზე“ (Active Measures) სამუშაოდ შექმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრები იყვნენ სახელმწიფო (State Department), თავდაცვის (Department of Defense), იუსტიციის დეპარტამენტების (Department of Justice), ცენტრალური (Central Intelligence Agency) და თავდაცვის სადაზვერვო სააგენტოების (Defense Intelligence Agency), გამოძიების ფედერალური ბიუროს (Federal Bureau of Investigation), შეერთებული შტატების საინფორმაციო და იარაღის, კონტროლისა და განიარაღების (Arms, Control and Disarmament Agency) სააგენტოების წარმომადგენლები (Dhunjishah 07.07.2017). „ქმედითი ღონისძიებები“ საბჭოთა კავშირის მიერ სხვა სახელმწიფოების პოლიტიკაზე გავლენის მოსაპოვებლად წარმოებულ იმ ოპერაციებს გულისხმობს, რომელიც რეგულარული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებისგან განსხვავდებოდა და, მაგალითად, ცრუ ხმების, დეზინფორმაციის გავრცელებას, პრესის მანიპულირებასა და საიდუმლო რადიო სადგურებით განხორციელებულ ოპერაციებსაც მოიცავდა (Department of State Library 1987, 3). საბჭოთა კავშირის ქმედითი ზომებისა და ღონისძიებების საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების

სახელმწიფო დეპარტამენტის საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილებამ 1981 წელს გამოცემული სპეციალური ანგარიში მიუძღვნა, რომელშიც დეტალურად არის საუბარი საბჭოთა კავშირის მიერ დეზინფორმაციის გავრცელების წერილობითი და სიტყვიერი გზის, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ უცხოურ ქვეყნებში მედია საშუალებების კონტროლისა და ქმედითი ღონისძიებების სხვა ოპერაციების შესახებ (Bureau of Public Affairs 2017).

მაგალითად, ამ უწყებათაშორისი ჯგუფის ფუნქციები მოიცავდა ბრიფინგების (Briefing teams – საინფორმაციო შეხვედრების, თათბირების) მოწყობას საზღვარგარეთ და შეერთებული შტატების მეგობარი მთავრობების, პრესისა და საზოგადოების ინფორმირებას, ასევე Foreign Affairs Notes-ის სერიულ გამოცემებს, რომელშიც უარყოფილი და გამოაშკარავებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ გაყალბებული ცნობები (Waller 2008, 162). მაიკლ უოლერის მიხედვით, ეს იყო განსაკუთრებით წარმატებული კონტროპროპაგანდული ტექნიკა. მისივე თქმით, ამგვარი მიდგომით შეერთებული შტატების ხელისუფლება ევროპელებს უქმნიდა იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ თუ საბჭოთა კავშირი იტყუებოდა მესამე სამყაროში, როგორ შეიძლებოდა მისთვის (საბჭოთა კავშირისთვის – ავტ.) დაეჯერებინათ ევროპაში (Waller 2008, 162).

ამასთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო კომუნიკაციის სააგენტოს (USICA – ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს სახელწოდება 1978-1982 წლებში – ავტორი) დირექტორად ჩარლზ უიკის დანიშვნასთან ერთად, ამ უწყებამ, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან შეწინააღმდეგებისთვის 1981 წელს წამოიწყო კამპანია “Project Truth” („პროექტი ჭეშმარიტება“) (Cull 2009, 408). ეს იყო ძლიერი, გაბედული საზღვარგარეთული კამპანია, რომელსაც მსოფლიოში უნდა წარმოეჩინა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისა და იდეალების ზუსტი სურათი და ამ გზით შეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის პროპაგანდას (ICA 1982, 4). რეიგანის გადაწყვეტილებით, ამ პროექტის განსახორციელებლად საერთაშორისო საკომუნიკაციო სააგენტოსთან ერთად ასევე უნდა ემუშავა სახელმწიფო დეპარტამენტს, თავდაცვის დეპარტამენტს (Cull 2009, 408).

1982 წელს, ამ ოპერაციის უკეთ წარსამართავად, დაფუძნდა პროექტის პოლიტიკის ჯგუფი (Project Truth Policy Group) და აღდგა მისი აღმასრულებელი

კომიტეტი (Project Truth Executive Committee) (ICA 1982, 4-5). პოლიტიკის ჯგუფი, ასრულებდა ანალიტიკური ორგანიზაციის ფუნქციას და ფოკუსირებული იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის ხანგრძლივ სტრატეგიაზე, რომლითაც აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ეხელმძღვანელა. აღმასრულებელი კომიტეტი კი, თავის მხრივ, პასუხისმგებელი იყო ამ ინიციატივების განხორციელებაზე.

აღნიშნული პროექტის ყველაზე ეფექტური პროდუქტი იყო ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო კომუნიკაციის სააგენტოს კვლევითი განყოფილების მიერ მომზადებული ყოველთვიური პუბლიკაცია – “შეტყობინება საბჭოთა პროპაგანდის შესახებ” (Soviet Propaganda Alert) – რომელშიც განხილული იყო საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული პროპაგანდა (ICA 1982, 64). პუბლიკაცია ურიგდებოდა დიპლომატებს, გაზეთებსა და სხვა საკონტაქტო პირებს (Cull 2009, 408). პროექტის სხვადასხვა უწყებათაშორისი ძალისმხმევა მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც, მაგალითად, გულისხმობდა საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხის შესახებ სპიკერ-პროგრამების განხორციელებას, მედია-ბრიფინგების ჩატარებას (ICA 1982, 80), სატელევიზიო პროგრამების მომზადებას (ICA 1982, 71) და საინფორმაციო საგაზეთო ჩანართების გავრცელებას (ICA 1982, 69).

პრეზიდენტ რეიგანსა და ჩარლზ უიკს სჯეროდათ, რომ, დროთა განმავლობაში, მსოფლიოში საბჭოთა კავშირის გავლენას ძირი ეფექტურად გამოეთხრებოდა აგრესიული საინფორმაციო პროგრამების, კონტრდეზინფორმაციული გამოცემებით („პროექტი ჭეშმარიტება“) და კულტურული გაცვლითი პროგრამებით, განსაკუთრებით გამოფენების ჩატარებით (USIA Exhibits, 2011).

ზოგადად, სახალხო დიპლომატიის ყველა ამ აქტივობის მიზანი საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული პროპაგანდის უკუგდება და ამერიკელი და საბჭოთა ხალხის დაახლოვება იყო. კონკრეტული მიზნების წარმოსადგენად, ქვეთავის ფარგლებში ჩატარებული კვლევისას, რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში მოძიებული სხვადასხვა საარქივო მასალის საფუძველზე, რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა.

1985 წლის 28 ნოემბერს გაზეთში “Литературная газета” საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის ლეონიდ ზამიატინის სტატიაში შერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს მისიისა და აქტივობების შესახებ ბევრი უზუსტობა და დეზინფორმაციული,

პროპაგანდული შინაარსის ცნობები იყო წარმოდგენილი. სტატიის მიხედვით, ამერიკული სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა აქტივობა ზოგადად აღქმული იყო, როგორც საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოებული იდეოლოგიური ომი, რომელიც საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სისტემასა და მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზნებს არასწორად წარადგენდა და ჭეშმარიტი სოციალიზმის მზარდ გავლენას ამცირებდა. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის ჩარლზ უიკის წერილში ლეონიდ ზამიატინის მიმართ აღნიშნულია ამ უკანასკნელის ინფორმაცია, რომელსაც უიკი ფაქტებით პასუხობს. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ამერიკული სახალხო დიპლომატიის მიზანი იყო შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა და პირდაპირი, კონსტრუქციული დიალოგის დამყარება, რომელიც თანამშრომლობის საზღვრებს გააფართოებდა (USIA 25.01.1985). ფართო კომუნიკაცია შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაუგებრობით გამოწვეული კონფლიქტის შანსს შეამცირებდა (House of Representatives 21.03.1985).

რონალდ რეიგანის მიერ 1985 წლის 16 სექტემბერს უოლფსბურგში, დასავლეთ გერმანია, მდებარე ტექნიკური გიმნაზიის (Wolfsburg, West Germany, Technisches Gymnasium) წარმომადგენლის მაიკლ ბიტერმანისთვის (Michael Bittermann) მიწერილი წერილიდან 1980-იან წლებში ამერიკული სახალხო დიპლომატიის კიდევ ერთი მიზანი გამოიკვეთა. ეს მიზანი გულისხმობდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას შორის, გაცვლითი პროგრამების საშუალებით, იმ პირადი კავშირების აღდგენას, რომელიც 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში რადიკალურად იყო შემცირებული (Ronald Reagan Letter 16.09.1985).

ამასთანავე, ეროვნული უსაფრთხოების დირექტივა №223-ის მიხედვით, რომელიც ჟენევაში რეიგანისა და გორბაჩოვის საუბარისას განხილულ სახალხო დიპლომატიის საკითხებს ეხება, ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის პირდაპირი კავშირების გაფართოება მიზნად ისახავდა ღია და დახურულ საზოგადოებებს შორის წარმოქმნილ პრობლემებთან კონსტრუქციულ გამკლავებას, შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს შესახებ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის არასწორი შეხედულებების შემცირებას, საბჭოთა

სისტემის შესახებ ამერიკელების ცნობიერების ამაღლებას, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ინდივიდუალური კავშირების დამყარებას, ხალხის, ინფორმაციისა და იდეების თავისუფალ მოძრაობასთან დაკავშირებული ბარიერების გამო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ სფეროში არსებული პრობლემების შესუსტებას (Implementing the Geneva Exchanges Initiative 1986).

მამასადამე, ამ ქვეთავის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში, გამოიყო რამდენიმე მიმართულება, რომელიც შეიძლება ასე შეჯამდეს:

- საბჭოთა კავშირის მიმართ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის აქტივობები განსხვავდებოდა მისი პირველი და მეორე საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდში;
- 1981-1984 წლებში რეიგანის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მიერ გავრცელებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის უკუსაგდებად;
- რეიგანის ადმინისტრაცია ამას შეერთებული შტატების შესახებ უტყუარი, ობიექტური ინფორმაციის გავრცელებით ცდილობდა;
- 1981-1984 წლები იყო მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც აქტიურ ფაზაში გადასვლას მოითხოვდა;
- 1985 წლიდან, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო;
- ამ ეტაპს, შესაძლოა, აქტიური ფაზა და მოქმედების ეტაპი ვუწოდოთ;
- რეიგანის ადმინისტრაცია, ამ ყველა აქტივობით ცდილობდა ხელი შეეწყო ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისთვის, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი, კონსტრუქციული დიალოგის დამყარებისთვის, პირადი კავშირების აღდგენისა და შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს შესახებ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მცდარი შეხედულებების გამოსწორებისთვის;

## 2.2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოში 1980-იან წლებში



ქვეთავის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა სახის ღონისძიებებს ატარებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის კუთხით საქართველოში 1980-იან წლებში. ჩატარებული კვლევის ამოცანაა იმის განსაზღვრა, ისახავდა თუ არა მიზნად შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები 1980-იან წლებში საბჭოთა სისტემაზე შინაგანი ზეწოლის განხორციელებას, ამ შემთხვევაში საქართველოს მაგალითზე. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად მოამზადა 1980-იან წლებში შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობებმა საქართველოში ნიადაგი საბჭოთა კავშირის დასაშლელად.

ცივი ომის დროინდელი ისტორიული, პოლიტიკური და დიპლომატიური რეალობიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოსთან დაკავშირებით იმავე საბჭოთა კავშირის მიმართ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოში სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად შეერთებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენლებს მოლაპარაკებები უნდა გაემართათ ჯერ მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების, შემდეგ კი საქართველოში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან. სახალხო დიპლომატიის არსიდან გამომდინარე, ეს პერიოდი რამდენიმე საინტერესო საკითხს აერთიანებს. მაგალითად, იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მესვეურები საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის იმგვარად წარმართვასა და გაერთიანებას, რომ, ერთის მხრივ, პირდაპირი კავშირი დაემყარებინათ საქართველოს საზოგადოებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, შეენარჩუნებინათ ორმხრივობის პრინციპი, პოლიტიკური და დიპლომატიური ანგარიშვალდებულება საბჭოთა კავშირთან.

1980-იანი წლების საქართველოში ამერიკული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანა 1985 წლის 21 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილმა შეთანხმებამ კონტაქტების, გაცვლითი პროგრამებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოიცავდა მეცნიერების, მრეწველობის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებს (General Agreement 1985). ამ შეთანხმებით, 1970-იანი წლების დასაწყისში მოსკოვსა და ვაშინგტონში

ხელმოწერილი რამდენიმე შეთანხმება გახანგრძლივდა (General Agreement 1985, 2-4). ასევე, მხარეებმა დაიწყეს განათლების, საშემსრულებლო ხელოვნების, კინოინდუსტრიის, რადიოსა და ტელევიზიის, ლიტერატურის, გამოფენების მიმართულებით ახალი კონტაქტების დამყარების, გაცვლითი პროგრამების ამოქმედებისა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებების ამოქმედება. ამ პროგრამების განსახორციელებლად შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ შექმნა 1986-1989 წლებში თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების პროგრამა (Program of Cooperation and Exchanges for 1986-89). პროგრამის მიხედვით, ორივე მხარეს უნდა უზრუნველყო, მაგალითად, მოკლე და გრძელვადიანი კვლევითი ვიზიტების, სპიკერ პროგრამების, მასწავლებელთა მოსამზადებელი შეხვედრების, საშემსრულებლო ხელოვნების ჯგუფების წარმომადგენელთა ვიზიტების, გამოფენების ორგანიზება. ამ ყველაფერს კი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შორის უკეთესი ურთიერთგაგება უნდა ჩამოეყალიბებინა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის გაცვლითი პროგრამების ინიციატივების შესახებ 1989 წელს შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოცემული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ორ მხარეს შორის გაცვლითი პროგრამები 1985 წლიდან უფრო გაღმავდა და გაფართოვდა (United States Information Agency 1989, 2). საინტერესოა, რომ ამავე შეთანხმებისა და პროგრამის ფარგლებში, 1988 წლის სექტემბერში სამასმა ამერიკელმა იმოგზაურა თბილისში აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ გამართულ მეოთხე ყოველწლიურ კონფერენციაზე დასასწრებად. კონფერენციაზე ჩამოსული სტუმრებიდან 120 ამერიკელს ჰქონდა შესაძლებლობა ერთი კვირის განმავლობაში ეცხოვრა ქართველების ოჯახში (United States Information Agency 1989, 2).

მართალია, რომ როგორც განათლების, ასევე საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სფეროში 1985 წელს ხელმოწერილი შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების ამოქმედება შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შორის უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისკენ, გამოცდილების გაზირების, თანამშრომლობის დამყარებისა და მისი შემდგომი გაღრმავებისკენ იყო მიმართული, მაგრამ, მოქალაქეთა პირდაპირი დაკავშირების მიმართულებით,

სახალხო დიპლომატიის გადმოსახედიდან, ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას ხალხთაშორისი გაცვლითი პროგრამების ამოქმედება წარმოადგენდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შორის გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად, განსახორციელებლად და კოორდინირებისთვის ამერიკული მხრიდან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო. 1980-იან წლებში საქართველოში განხორციელებული მოქალაქეთა გაცვლითი პროგრამების სფეროში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორგანიზაციების – „მეგობრობის ლაშქარი“ „საერთაშორისო დაძმობილებული ქალაქების“ (Sister Cities International) როლი. 1977 წელს FF-ის შექმნის იდეის წარდგენით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯიმი კარტერს სურდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა უცხოურ ქვეყნებთან – მათ შორის, დიდ, პატარა, ძლიერ, სუსტ, ძალიან მეგობრულ და არამეგობრულ ქვეყნებთან – კავშირის გაძლიერება (Carter 1977). როგორც ამ ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა მითითებული, 1980-იან წლებში FF იყო ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც გაარღვია რკინის ფარდა და ხალხთა შორის არსებული ბარიერები დაამსხვრია (Friendship Force Website) და ერთადერთი ორგანიზაცია, რომლის გაცვლითი პროგრამის მონაწილეები საბჭოთა კავშირში ოჯახებში ცხოვრობდნენ (Henry 20.05.2004)

სახალხო დიპლომატიის განხორციელებისას საზოგადოებებს შორის ურთიერთგაგების არსებობა ნდობის შესაქმნელად აუცილებელია. 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის შეიარაღებისა და სხვადასხვა პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით უნდობლობა არსებობდა, რომელსაც ზურგს საბჭოთა პროპაგანდა უმაგრებდა. საზოგადოებებს შორის არსებული უნდობლობის შემთხვევაში, სახალხო დიპლომატიის განხორციელებისთვის უნდა მოიძებნოს გასაღები – საზიარო ელემენტი, რომელიც საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს. ხშირად საზოგადოებების საზიარო ელემენტები მოიცავს ღირებულებებსა და იდეებს. ზოგჯერ კი სინონიმურ გეოგრაფიულ სახელებს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი როლი ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების დასამყარებლად. ორმხრივი ურთიერთგაგებისა და ნდობის დასამყარებლად მსგავსი გეოგრაფიული სახელი წარმატებულად იყო გამოყენებული 1980-იანი წლების ამერიკულ სახალხო დიპლომატიაში. ამ დროს ორი

ჯორჯიის – ატლანტა, ჯორჯიის შტატი, და თბილისი, საქართველო (ინგლისური სახელწოდება ჯორჯია) – ხალხი ერთმანეთს სამოქალაქო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით დაუკავშირდა და ამ საზოგადოებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის დამყარებას შეუწყო ხელი.

1980-იან წლებში თბილისსა და ატლანტას შორის ორმხრივი სამოქალაქო გაცვლითი პროგრამების განხორციელებას კურირებდა ატლანტაში დაფუძნებული ორგანიზაცია „საერთაშორისო მეგობრობის ლაშქარი“ (Friendship Force International). პროგრამის ფაგლებში ამერიკელები ატლანტიდან სტუმრობდნენ თბილისს და ცხოვრობდნენ ოჯახებში; ხოლო ქართველები თბილისიდან მიემგზავრებოდნენ ატლანტაში და იქ ვიზიტის განმავლობაში ამერიკელთა ოჯახებში რჩებოდნენ. ოჯახში ცხოვრებისას მიღებული ყოველდღიური გამოცდილება ორივე მხარეს არა მხოლოდ ახალი ადგილების აღმოჩენაში, არამედ იდეოლოგიური საზღვრების გარღვევასა და გადალახვაში ეხმარებოდა.

მოქალაქეთა პირდაპირი გაცვლითი პროგრამების განხორციელება თბილისისა და ატლანტის მოსახლეობას შორის 1986 წელს ატლანტის მერის ენდრიუ იანგის (Andrew Young) თბილისში ვიზიტის (გაზეთი „თბილისი“ 21.05.1988) შემდეგ გაღრმავდა და გაძლიერდა. კერძოდ, თბილისსა და ატლანტას შორის დაძმობილებული ქალაქების შეთანხმების ხელმოსაწერად თბილისიდან ატლანტაში საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა. 1986 წლის 22 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძესა და ენდრიუ იანგს შორის. ატლანტა ლუბლიანას, ზაარბრიუკენის, ინსბრუკის, ნანტისა და პალერმოს შემდეგ მეექვსე ქალაქი იყო, რომელთანაც თბილისმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. თბილისთან დამეგობრების არჩევანის გაკეთებისას მნიშვნელობა მიექცა იმას, რომ ჯორჯიისა და საქართველოს ინგლისურ სახელწოდებებს ერთი ფუძე აქვს. 1980-იან წლებში თბილისსა და ატლანტას შორის ურთიერთობა დინამიურად ვითარდებოდა: 1987 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა თბილისისა და ატლანტის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეკრულების პროექტს (გაზეთი „თბილისი“ 30.09.1987).

სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით თბილისისა და ატლანტის დაძმობილება მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს

ყოვლისა, ამ პროგრამამ შექმნა თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები თბილისისა და ატლანტის მაცხოვრებლებს შორის. 1980-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული პროპაგანდა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებასა და საზოგადოებას მიუღებელ რეალობად ხატავდა, ქალაქების დამშობილების პროგრამის ფარგლებში ამოქმედებული გაცვლითი პროგრამები არსულებდა მნიშვნელოვანი მექანიზმის ფუნქციას, რომელიც მონაწილეებს საბჭოთა სისტემის მინუსებზე თვალს უხელდა. ოჯახში ცხოვრება ქართველებს საბჭოთა პროპაგანდის მიერ დახატული რეალობისგან განსხვავებულ, რეალურ, ნამდვილ სურათს აჩვენებდა. პროგრამის მონაწილეები იწყებდნენ იმის გათავისებას, რომ თავიანთი საცხოვრებლების მსგავსი სახელწოდება მათ ურთიერთგაგებისა და ნდობის დამყარების საფუძველს უქმნიდა. ისინი ხედავდნენ, რომ ამ სახელწოდების გარდა მათ კიდევ ბევრი ღირებულება, მათ შორის, მშვიდობისა და ბედნიერებისკენ სწრაფვა, ჰქონდათ საერთო. ამერიკული ღირებულებების – შრომის ეთიკა, პირადი თავისუფლება, დამოუკიდებლობა – გაგებასთან ერთად, ქართველი მონაწილეებისთვის დიდ აღტაცებას, გაკვირვებასა და მოწონებას იმსახურებდა ამერიკული ცხოვრების სტილი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით დაწყებული საყიდლებზე სიარულით დამთავრებული. დრო, რომელიც ქართველებმა შეერთებულ შტატებში გაატარეს, შეიძლება დახასიათდეს როგორც პირადი განვითარების დრო, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთს ადარებდნენ ამერიკულ და საბჭოთა ცხოვრების წესსა და კულტურას.

პროგრამის მონაწილე ამერიკელები თბილისში ჩამოსვლისას სტუმრობდნენ საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ძეგლს, ბიბლიოთეკებს და ესწრებოდნენ კულტურულ ღონისძიებებს. ამერიკელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი ვიზიტი საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული ცივი ურთიერთობის დათბობასა და ქართველებთან კონტაქტის დამყარებაში დაეხმარებოდა. პროგრამის ამერიკელი მონაწილეებისთვის საქართველოში აღტაცებას თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები იწვევდა, გაოცებას ისინი საბჭოური ცხოვრების სტანდარტებისა და პრინციპების გაცნობისას გამოხატავდნენ. ეს შეიძლება გამოეწვია იმ მოსწავლე გოგო-ბიჭების ნახვას, რომელსაც ბავშვობიდან კომუნისტებად ზრდიდნენ (Bangor Daily News 14.11.1985) ან ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიციასა და სახლში სტუმრის

გაუთვალისწინებლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, მოსვლის კულტურას. ეს უკანასკნელი საკითხი ნინო მდივანთან, 1980-იან წლებში თბილისში FF-ის პროგრამის ამერიკელი მონაწილის ერთ-ერთი ქართველი მასპინძელი ოჯახის დიასახლისთან საუბრისას გამოუკვეთა (ინტერვიუ ნინო მდივანთან 26.05.2014).

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის წარმოებული მაღალი დონის პოლიტიკურ მოლაპარაკებებთან ერთად ამგვარ მოქალაქეთა გაცვლითი პროგრამების არსებობა მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენდა საზოგადოებებს შორის სამომავლო კავშირების დამყარების თვალსაზრისით. ქართველების ამერიკელი მასპინძლები არა მხოლოდ შეერთებული შტატების პოზიტიური იმიჯის გავრცელებას უწყობდნენ ხელს, არამედ ამერიკანიზაციის აგენტები იყვნენ. ამგვარად, ორ ჯორჯიას შორის ყალიბდებოდა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთგაგების სისტემა, რომელიც სამომავლო პირდაპირი თანამშრომლობის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ეს ღონისძიებები თბილისის მაცხოვრებლებს გულებსა და გონებაში ამერიკული ღირებულებების აღქმა-გათავისებაში დაეხმარა. იმის გამო, რომ საბჭოთა ელიტისთვის ამერიკული ღირებულებები მიუღებელი იყო, თბილისიდან შტატებში გამგზავრებული მოქალაქეთა ჯგუფები ქართული ელიტისა და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიისთვის მისაღები, სანდო ხალხით იყო დაკომპლექტებული. „საერთოდ, პროგრამით შტატებში გაგზავნილი იყო ნომენკლატურის, სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების წარმომადგენელთა ოჯახის წევრები, რომლებსაც საბჭოთა სისტემაში ცხოვრება სულ არ უჭირდათ და რომლებსაც ხელისუფლება ენდობოდა. ისინი ყველანაირი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. დაბრუნებულებს აკრძალული ჰქონდათ რაიმე კარგის თქმა შტატებზე. თუმცა ვიწრო წრეში მაინც ამბობდნენ და ინფორმაცია ასე ვრცელდებოდა“, – ახსენა ჩემთან საუბარში პროფესორმა ელენე მეძმარიაშვილმა (ინტერვიუ ელენე მეძმარიაშვილთან 17.06.2019).

საერთაშორისო ურთიერთობის ამერიკელი პროფესორის რობერტ ინგლიშის თქმით, ერთ-ერთი გაკვეთილი, რაც ცივი ომის პერიოდის ამერიკული გაცვლითი პროგრამებიდან მივიღეთ არის ის, რომ ადამიანები, რომლებიც ამ პროგრამებით იღებდნენ სარგებელს, არ იყვნენ ისინი, ვისთანაც ამერიკელებს ამ პროგრამების მეშვეობით კონტაქტი სურდათ (ინტერვიუ რობერტ ინგლიშთან 04.04.2019).

ვფიქრობ, ამერიკული სახალხო დიპლომატია იმით არის უნიკალური, რომ პროგრამების განხორციელებისას ის არ არჩევს „ელიტისა“ და „არაელიტის“ წარმომადგენლებს. თუმცა, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, ცივი ომის პერიოდში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის განხორციელებული პირდაპირი ხალხთაშორისი კონტაქტები ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირის ელიტის წარმომადგენლების ჩართვით შემოიფარგლა.

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ამგვარი მიდგომა ზღუდავდა სახალხო დიპლომატიის გავრცელების საზღვარს. შედეგად, თბილისის მაცხოვრებლების უდიდეს უმრავლესობას – „ჩვეულებრივ ხალხსა“ და საბჭოური იდეოლოგიისთვის „მიუღებელ საზოგადოებას“ – პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მოქალაქეები კონკურენტულ გარემოში ირჩეოდნენ: „მეგობრობის ლაშქარი“ ამერიკულ ოჯახებსა და ამერიკელ მოქალაქე ელჩებს გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების – მაგალითად, „Citizen Ambassadors Needed“ (The Rockmart Journal 26.08.1992), „Friendship Force is Looking for Few Good Ambassadors“ (Boca Raton News 10.09.1985) და „Friendship Force Looks for Host Families“ (The News-Journal 24.08.1988) – მიხედვით ეძებდა. ამავე პერიოდის ქართული პრესა-პერიოდიკის ანალიზის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ გაზეთებში მსგავსი შინაარსის ინფორმაცია არ იბეჭდებოდა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მხრიდან პროგრამაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ შერჩეული „სანდო ადამიანები“ მონაწილეობდნენ.

FF-ის პროგრამის ფარგლებში დამყარებული კონტაქტები მოქალაქეებს უნდობლობითა და გაუგებრობით გამოწვეული შიშის დაძლევაში ეხმარებოდა. ამაზე მიუთითებს ამ ორგანიზაციის დამფუძნებლის უეინ სმიტის (Wayne Smith) ნათქვამიც: „ჩვენ არ ვიცით, რისი გვეშინია. თუ გავიცნობთ ამ ხალხს და შევისწავლით მათ, აღარ შეგვეშინდება ერთმანეთის და დავიწყებთ მეგობრობის ხიდის აგებას“ (The Daily Journal 12.07.1984).

„1985 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი იყო სახალხო დიპლომატიის საშუალებით საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაციას დახმარებოდა,“ – აღნიშნა ჩემთან საუბარში ქართველმა დიპლომატმა გელა ჩარკვიანმა. მას 1985 წელს ეკავა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის

საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. მისი თქმით, „მეგობრობის ლაშქრის“ ერთ-ერთი მიზანი – როდესაც ადამიანები გაიცნობდნენ ერთმანეთს, ისინი აღარ მისცემდნენ პოლიტიკოსებს აგრესიული მოქმედების საშუალებას – შეიძლება მიაშიტური იყო, რადგან საბჭოთა კავშირში ხალხის აზრი მნიშვნელოვანი არ იყო. თუმცა, იგი თვლის, რომ ეს კარგი იდეა იყო, რადგან ქართველმა ხალხმა გაიცნო ამერიკის შეერთებული შტატები (ინტერვიუ გელა ჩარკვიანთან 06.07.2019). ჩარკვიანს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას თავის ყველაზე ღირებულ საქმედ საქართველოსა და ჯორჯიის შტატს შორის ინტენსიური კავშირების დამყარება მიაჩნია. საუბარში გელა ჩარკვიანმა დეტალურად გაიხსენა FF-ის დამფუძნებელ უეინ სმიტთან 1985 წელს თბილისში შეხვედრის, აღნიშნული ორგანიზაციის იდეის გაცნობისა და განხორციელების ამბავი. თავიდან ჩარკვიანი FF-ის იდეის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას ვერ ხედავდა, თუმცა იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლა ამ შესაძლებლობას რეალურს გახდიდა: „იდეა არ იყო ცუდი. დაემთხვა გორბაჩოვის მოსვლას, როდესაც ჰაერში ტრიალებდა ცვლილებების იდეები... მე თავიდან ვერ წარმომედგინა, რომ ეს განხორციელდებოდა, მაგრამ დავიჯერე“. მანვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სწორედ FF-ის დამსახურება არის, რომ დღევანდელ შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული დიასპორა ატლანტაშია.

ქართველი ამერიკისმცოდნის, პროფესორ ვასილ კაჭარავას აზრით, ამ პროგრამამ ქართველებსა და ამერიკელებს შორის მეგობრობა გაამართლა. „ეს ადასტურებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ იდეას,“ – აღნიშნა ვასილ კაჭარავამ ჩემთან საუბრისას (ინტერვიუ ვასილ კაჭარავასთან 03.07.2019). მისივე თქმით, შეერთებულმა შტატებმა სახალხო დიპლომატიის საშუალებით საბჭოთა კავშირზე იდეოლოგიური იერიშის მიტანა შეძლო.

მართალია, მოქალაქეთა შორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან შტატებში გამგზავრებული ჯგუფები საბჭოთა იდეოლოგიისთვის „სანდო“ ხალხით შედგებოდა, სახალხო დიპლომატიის ამ აქტივობებმა ორ ჯორჯიას შორის 1980-იან წლებში სასარგებლო შედეგები მოიტანა: მოქალაქეებს შორის დამყარებულმა მეგობრობამ გადალახა იდეოლოგიური საზღვრები და ის ცივი ომის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. 1991 წელს



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ატლანტა შეერთებულ შტატებში ქართული დიასპორის ცენტრი გახდა.

დღესდღეობით, ატლანტასა და თბილისს შორის მსგავსი გაცვლითი პროგრამები ისეთი ინტენსიური არ არის, როგორც ეს 1980-იან წლებში იყო. FF-ის მიერ განხორციელებული ტურები საქართველოში უფრო მრავალფეროვანი გახდა: მონაწილეები შეერთებული შტატებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში მოგზაურობისას ეცნობიან ქართულ კულტურას ექსკურსიების, დღესასწაულების აღნიშვნისა და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების მეშვეობით.

ორ ჯორჯიასთან დაკავშირებული ამერიკული სახალხო დიპლომატიის შემთხვევა რამდენიმე საყურადღებო მიმართულებას მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, ის ცხადყოფს იდეოლოგიური დაპირისპირების პერიოდში საზოგადოებების დასაკავშირებლად მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდების გამოყენების მნიშვნელობას. მეორე მხრივ, აჩვენებს არასამთავრობო სექტორის ჩართვის მნიშვნელობას სახელმწიფოს სახალხო დიპლომატიის სტრატეგიაში. ამასთანავე, მიუთითებს იმაზე, რომ ყველა მოქალაქეს შეუძლია იყოს კარგი ელჩი და ხელი შეუწყოს მშობლიური ქვეყნის ღირებულებებისა და ინსტიტუტების წარმოჩენას საერთაშორისო ურთიერთობის თეორიებისა და პროტოკოლის ცოდნის გარეშე.

1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ამ პროგრამის განხორციელებისას, ამერიკული სახალხო დიპლომატიის რამდენიმე მიზანი გამოიკვეთა. უპირველეს ყოვლისა, ეს მიზანი მოიცავდა ხალხთაშორისი კავშირების დამყარებასა და განვითარებას. მოქალაქეთა შორის წარმოებული გაცვლითი პროგრამები საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პროპაგანდასთან გასამკლავებლად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდა. თუ შეერთებული შტატების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ ტექსტური მასალის წაკითხვა და/ან ვიზუალური მასალის ნახვა საქართველოს მოსახლეობას მონოლოგის წარმოების შესაძლებლობას აძლევდა, ამერიკელთა ოჯახებში ცხოვრება მათ ამერიკულ საზოგადოებასთან დიალოგის დამყარების ბრწყინვალე შესაძლებლობას აძლევდა. გარდა ამისა, პროგრამა შესაძლებლობას ქმნიდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს ამერიკული კულტურა და საზოგადოება კომპლექსურად, ერთიანად გაეაზრებინათ. ამ მხრივ, მათ შეეძლოთ არა მხოლოდ

დაკვირვებოდნენ ამერიკულ ცხოვრებას, არამედ საბჭოური ყოფა და სტანდარტები შეედარებინათ ამერიკული ცხოვრების სტილთან. ამასთანავე, ეს ყველაფერი მათ საბჭოური პროპაგანდისა და დეზინფორმაციისგან განსხვავებული, რეალური გამოცდილების პლატფორმას უქმნიდა.

1985-1990 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი ჯავახიშვილის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია უფრო მეტად ეფექტური იყო თავად შეერთებული შტატებისთვის. მისი აზრით, სახალხო დიპლომატია სახელმწიფო კურსის გაგრძელებას წარმოადგენდა (ინტერვიუ გიორგი ჯავახიშვილთან 11.07.2019).

1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების გასარკვევად გავეცანი საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს 1980-იანი წლების საარქივო დოკუმენტებს, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. საარქივო მასალების ანაწერის განხილვისას, მოვიძიე ის დოკუმენტები რომელიც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლისა და ამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტებს ეხება. ამ მიმართულებით კონკრეტულად გავეცანი №1206 ფონდის №2 ადწერის სხვადასხვა საქმეს.

ადნიშნული მასალების თემატური და ქრონოლოგიური პრინციპით – ამერიკელი ჟურნალისტებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების – განხილვისას საყურადღებო მიმართულებები იკვეთება. მაგალითად, ის, რომ ამერიკელი ჟურნალისტები საქართველოში დიპლომატიური კორეპონდენტების ფუნქციას ასრულებდნენ. ამ მხრივ საგულისხმოა 1981 წელს გაზეთ „ბოსტონ გლოუბ“-ის დიპლომატიური კორეპონდენტის უილიამ ბიჩერის (William M. Beecher) ვიზიტი საქართველოში და მისი შეხვედრა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან თეიმურაზ გორდელაძესთან. საუბრის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში პრეზიდენტ რეიგანის მოსვლის დასაწყისში, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ფორმირების პროცესში იყო. მოცემულ ეტაპზე იკვეთებოდა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი ეტაპის კონტურები, რისთვისაც აუცილებელი იყო სხვადასხვა რესპუბლიკის საზოგადოების შესწავლა. სწორედ ამ მისიით იყო ჩამოსული თბილისში ჟურნალისტი ბიჩერი, რომელიც შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ყოფილი

თანამშრომელი და ნიუ იორკ თაიმსის ყოფილი სამხედრო კორესპონდენტი იყო. მას აინტერესებდა ყველაფერი საქართველოს შესახებ: ქართველი ერის ხასიათი, ოჯახის, რელიგიის, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკითხები (საქმე №1252). რონალდ რეიგანის პირველი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდში საქართველოში ჩამოსული იყო გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნალ“-ის (The Wall Street Journal) კორესპონდენტი დევიდ ბრენდი, რომელსაც საბჭოთა კავშირის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით სურდა დაეწერა სტატია იმ სხვადასხვა ერის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირს ქმნიდნენ. მას აინტერესებდა, მაგალითად, ის შტრიხები, რომელიც მხოლოდ ქართულ კულტურას ახასიათებდა (საქმე №1294).

რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მეორე ვადის პერიოდში თბილისში კვლავაც აგრძელებდნენ ჩამოსვლას ამერიკელი ჟურნალისტები. საქართველოს შესახებ სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სტატიებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებისას, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება მათი პროპაგანდული მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობდა. ამას მოწმობს 1985 წელს თბილისში „ბალტიმორ სან“-ის (The Baltimore Sun) ჟურნალისტის ანტერო პიეტილასა (Antero Pietila) და „კრისჩენ საიენს მონიტორ“-ის (The Christian Science Monitor) ჟურნალისტის გერი ტეტჩერის (Gary Thatcher) ვიზიტი. ჟურნალისტებს სურდათ მოეგროვებინათ მასალები სტატიისთვის თემებზე – თბილისის თოჯინების თეატრი, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტის საქმიანობა და ღვინის წარმოება. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებას (отдел печати) ამ ჟურნალისტების ვიზიტი სათავისოდ, პროპაგანდული მიზნებისთვის უნდოდა. ამას ვიგებთ საქმეში წარმოდგენილი ტელეფონოგრამის ტექსტით, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ იური გრემიციკიმ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მისწერა. ტელეფონოგრამის მიხედვით, ჟურნალისტებისთვის უნდა მიეწოდებინათ პროპაგანდული შინაარსის ინფორმაცია საქართველოში ცხოვრების შესახებ. იქვე, გრეცკი ყურადღებას ამახვილებს ორივე კორესპონდენტის პროფესიული მომზადების მაღალ დონეზე. მისი სიტყვებით, ორივე ჟურნალისტი თვალყურს ადევნებდა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და ცხოვრებას (საქმე №1394). განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს №1206 ფონდის №2 აღწერის

№1440 საქმე ეხება სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულ მადლობის წერილს ამერიკელი კორეპონდენტის ანტერო პიეტისთვის საქართველოში ყოფნისას სასარგებლო პროპაგანდის გაწვევისთვის. ეს მადლობის წერილი საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გორდელამეს იური გემიციმ გამოუგზავნა. წერილის მიხედვით, სტატია ამერიკელი მკითხველისთვის წარმოადენდა იმის წარმატებულ ვიზუალურ მაგალითს, რომ ჩვენს ქვეყნებში მნიშვნელოვანი ცვლილებები სასიკეთოდ მიმდინარეობდა.

1985 წელს თბილისს ასევე ესტუმრა კალიფორნიის შტატის დამოუკიდებელი ტელეკომპანიის წარმომადგენელთა და ამერიკის გადამღები ჯგუფი /ეი-ბი-სი/. მათ უნდა მოემზადებინათ რეპორტაჟები საბჭოთა ხალხის შესახებ, რომელსაც ნოემბერში აშშ-სსრ ლიდერების შეხვედრამდე და შეხვედრის დროს ამერიკელ მაყურებლებს აჩვენებდნენ (საქმე №1398). თბილისს 1986 წელს ასოშეიტიდ პრესის (Associated Press) კორესპონდენტი ქეროლ უილიამსი (Carol Williams) (საქმე №1415), ხოლო 1987 წელს მოსკოვში ნიუ იორკ თაიმსის (The New York Times) ბიუროს გამგე ფილიპ ტაუბმენი (Philip Taubman) (საქმე №1449) ესტუმრა. უილიამსს ვიზიტისას ძირითადად განათლების საკითხები, ტაუბმენს კი ღვინის წარმოების გაცნობა აინტერესებდა.

რა თქმა უნდა, თბილისში 1980-იან წლებში ჩამოსული ამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტი მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ერთ-ერთი რესპუბლიკის, იმიჯის გაცნობის თვალსაზრისით, მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მათი ვიზიტების შესახებ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში ცალკეული დოკუმენტები მზადდებოდა. ეს მიუთითებს თუნდაც იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტებს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა და მათი სტუმრობა დიპლომატიური რანგის პირების დონის რეგლამენტით იყო გათვლილი. ჩემთან საუბარში გიორგი ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, თუ სად წაიყვანდნენ ჟურნალისტებს და რას ეტყოდნენ მათ. საქართველოს მხარემ იცოდა, რომ ზოგი „პაგონიანი“ ჟურნალისტი იყო (ინტერვიუ გიორგი ჯავახიშვილთან 11.07.2019).

სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით რონალდ რეიგანის პირველი საპრეზიდენტო ვადიდან მნიშვნელოვანია 1982 წელს თბილისში სსრკ-ში შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის არტურ ჰარტმანის

(Arthur A. Hartman) ვიზიტი (საქმე №1264). ვიზიტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრისას ჰარტმანმა უნივერსიტეტს გადასცა წიგნები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის, კულტურის, სოციალური საკითხების შესახებ. საუბრის დროს ელჩი დაინტერესდა უნივერსიტეტის საქმიანობით და აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება ცივდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კულტურული კავშირების გაღრმავებას. ელჩმა აღნიშნა, რომ ის ყოველმხრივ დაეხმარებოდა და ხელს შეუწყობდა ამ მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას კი მან ყურადღება გაამახვილა ქართველი და ამერიკელი ხალხის საერთო ღირებულებებზე – ემუშავათ უკეთესად, ხარისხიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ. საჩუქრების ჩუქება სახალხო დიპლომატიაში ნდობის მოსაპოვებლად გამოსაყენებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტაქტიკაა. საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებზე ყურადღების გამახვილება კი საზოგადოებებს ნდობის დამყარებასა და თანამშრომლობის დაწყებაში ეხმარება, რაც სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი შინაარსია. 1983 წელს, ბიზნეს პოტენციალის გაცნობის თვალსაზრისითა და აშშ-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფრანცისკოს სავაჭრო პალატის დირექტორის ჯონ ჯეკობსის მეთაურობით კალიფორნიის შტატის საქმიანი წრეებისა და (საქმე №1300) საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად შეერთებული შტატების სენატორთა დელეგაციები (საქმე №1304) ესტუმრნენ. 1985 წელს თბილისს უნდა წვეოდა ამერიკელ სენატორთა ჯგუფი (საქმე №1359), თუმცა ამ მასალების ფაილში ვხვდებით მხოლოდ საქართველოში მიღების მოსამზადებელი სამუშაოების გეგმას, რომელიც სახალხო დიპლომატიის მიმართულებით ხელშესახებ ინფორმაციას არ შეიცავს.

შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი საქართველოს 1984 წელსაც ესტუმრა (საქმე №1346), თუმცა მისი შეხვედრის ან საუბრის ამსახველი დოკუმენტები საარქივო მასალებში არ მიიპოვება. წიგნების ჩუქება, როგორც სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მექანიზმი, გამოყენებული იყო

საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩევლის ეკონომიკურ საკითხებში ჰენრი ა. კლარკის თბილისში სტუმრობის დროსაც. კლარკმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში შეხვედრისას წარმომადგენლებს საჩუქრად გადასცა ამერიკელი მწერლების წიგნი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შესახებ 1980-იან წლებში (საქმე №1331).

რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მეორე ვადის დროს საქართველოში სტუმრად ჩამოსული ამერიკელი დიპლომატები საუბრისას დაინტერესებას გამოხატავდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ. მაგალითად, 1986 წელს სამინისტროში ჩაწერილი საუბრიდან საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელთან ჯ.ორდუეისთან და მეორე მდივან მ.მატეროსთან ვგებულობთ, რომ მათ ამ საკითხებთან ერთად აინტერესებდათ კავშირი, რომელიც საქართველოსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა უწყებებს შორის არსებობდა (საქმე №1426).

სახალხო დიპლომატიის მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1987 წელს საქართველოში რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ დირექტორის რიჩარდ კარლსონის (საქმე №1446) და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოსკოვში ჯეკ მეტლოკის (საქმე №1450) ვიზიტები; ხოლო 1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ჯ. შულცისა (საქმე №1472) და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ბიუროს დირექტორის რ. სოლომანის საქართველოში (საქმე №1476) სტუმრობა.

კარლსონი და მეტლოკი თბილისში ორგანიზებული გამოფენის „ინფორმატიკა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში“ გახსნისთვის იყვნენ ჩამოსული. გამოფენა 1987 წლის 16 დეკემბერს გაიხსნა (გაზეთი „კომუნისტი“ 18.12.1987).

კარლსონმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტისა და ჟურნალისტების კავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მისთვის ეს იყო პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში და, რომ იცოდა ის ნეგატიური დამოკიდებულება, რაც ზოგიერთ საბჭოთა მსმენელს ამერიკის ხმის მიმართ ჰქონდა. მისივე თქმით, ეს გამოფენა წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში პირველი პოზიტიური ნაბიჯის ნაწილს. ამ გამოფენის გახსნისას



მეტლოკმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ტექნიკა – კომპიუტერები, საკომუნიკაციო აღჭურვილობა და სხვადასხვა მოწყობილობა – წარმოდგენდა იმის ჩვენების მცდელობას, თუ რა ზეგავლენას ახდენდა ინფორმატიკის თანამედროვე ტექნიკა ამერიკულ ცხოვრებაზე. ალბათ, ამ გამოფენის ორგანიზებით ამერიკელები აძლევდნენ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი ცხოვრების სტანდარტები შეედარებინათ ამერიკული ცხოვრების სტანდარტებთან. მეტლოკმა ისიც აღნიშნა, რომ საზოგადოების შეცვლა ისე, რომ მას შეეძლოს ახალი ტექნიკის ყველაზე ეფექტიანი და პასუხისმგებლური გამოყენება – გაცილებით უფრო რთული ამოცანა იყო. მისი თქმით, ეს გამოფენა მიზნად ისახავდა საზოგადოებებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. მისი სიტყვებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა სწორედ უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბება და ნდობის შექმნა იყო (საქმე №1450).

ელჩმა მეტლოკმა ამ გამოფენაზე დამსწრეებს მოკლე სიტყვით ქართულად მიმართა. მან ამისთვის სიმბოლოების შრიფტი შექმნა (ინტერვიუ ჯგკ მეტლოკთან 12.08.2019). „ამ გამოფენების ორგანიზებით ჩვენ [ამერიკელები - ავტ.] ვცდილობდით, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის შეერთებული შტატების შესახებ უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნა და გვეჩვენებინა ჩვენი სურვილი მიგვედწია მშვიდობისთვის. როდესაც გამოფენები არა-რუსულ რესპუბლიკებში იმართებოდა, ჩვენ ვცდილობდით, რომ პატივისცემა გამოგვეხატა ადგილობრივი ენისა და კულტურის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გიდების უმეტესობა რუსულად საუბრობდა. მე ამ გამოფენაზე სიტყვა ქართულად წარმოვთქვი. ტექსტი მოწოდებული იყო ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ. ტექსტი ქართული ფონტით ავკრიფე, რომელიც თვითონ შევქმენი ... პიროვნული ინტერესი მქონდა საქართველოში, თუმცა, ქართულად საუბარი არ შემეძლო. ვისწავლე ანბანი, ძირითადი სიტყვები და შევძელი, რომ წამეკითხვა სხვების მიერ გადათარგმნილი მიმართვა. სხვადასხვა დროს სიტყვით უკრაინულ, ლატვიურ და სომხურ ენებზეც გამოვსულვარ“, - აღნიშნა მეტლოკმა ჩემთან ინტერვიუში. მიმაჩნია, რომ, სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით, მეტლოკის ქართულ ენაზე სიტყვით გამოსვლაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, რასაც იმდროინდელი ქართული საზოგადოება მიჩვეული არ იყო, ვინაიდან, როგორც წესი, მას რუსულად მიმართავდნენ. ეს ფაქტი ხაზს

უსვამდა იმას, რომ შეერთებული შტატები აფასებდა საქართველოს, როგორც საბჭოთა კულტურისგან განსხვავებულ ქვეყანას და ქართულ საზოგადოებას, რომლისთვისაც მშობლიური ენა არა რუსული, არამედ ქართული იყო. მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივ, მსოფლიოში, მათ შორის, შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირს რუსეთს უწოდებდნენ, იქ მცხოვრებ მოსახლეობას კი რუსებს.

რიჩარდ კარლსონი - შეერთებული შტატების ელჩი, 1985-1986 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს, ხოლო 1986-1991 წლებში რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ დირექტორი - ჩემთან ინტერვიუში იხსენებს, რომ მისთვის თბილისში ამ გამოფენის გახსნა შესანიშნავი და დასამახსოვრებელი გამოცდილება იყო (ინტერვიუ რიჩარდ კარლსონთან 09.08.2019). კარლსონი ამერიკის ხმის პირველი დირექტორი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. მისი სიტყვებით, ამ საინფორმაციო გამოფენის მიზანს ორმხრივი ურთიერთგაგების ხელშეწყობა წარმოადგენდა და სახალხო დიპლომატიის საუკეთესო, ეფექტური გამოხატულება იყო. „ეს გამოფენა კონკრეტულად საბჭოთა კავშირის მოსახლეობისთვის იყო შექმნილი. მას ყოველდღიურად დაახლოებით 200 000 სტუმარი ჰყავდა. იყო დიდი რიგი. სტუმრების უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ; მათ შეეძლოთ ენახათ, რომ ამერიკა იყო ხელგაშლილი, ბარაქიანი სახელმწიფო, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა საბჭოთა დიქტატურის ქვეშ მყოფი მათი საკუთარი ქვეყნისგან. ეს გამოფენა [საბჭოთა კავშირში - ავტ.] დაუპირისპირდა შიდა ანტიამერიკულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციას. მოძრავი გამოფენები USIA-სთვის, რომელსაც იმ დროს პრეზიდენტ რეიგანის პირადი მეგობარი ჩარლზ უიკი ხელმძღვანელობდა, ფასეული იყო. ეს ჩემთვისაც ასე იყო. პრეზიდენტ რეიგანის მსგავსად, ბატონ უიკსაც მტკიცედ სჯეროდა, რომ მოძრავ გამოფენებსა და აგრესიულ საინფორმაციო კამპანიებს დიდი გავლენა ჰქონდა. ამ შემთხვევაში, ორივე ნამდვილად მართალი იყო,“ - აღნიშნა კარლსონმა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის, პროფესორის იან კელის თქმით, ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატები ცდილობდა უფრო ფართო აუდიტორიას დაკავშირებოდა კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამებით. მისი აზრით, ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ღონისძიება სწორედ გამოფენების ორგანიზება იყო (ინტერვიუ იან კელისთან 26.04.2019).



1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებისას ყურადღება მახვილდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობის გაფართოების მნიშვნელობაზე, რომელიც ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ამერიკელი და საბჭოთა ხალხის დაახლოების გარანტი იყო. თუ, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პირველი ვადის დროს საქართველოში ჩამოსული ამერიკელი დიპლომატები ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებისა და საქმიანობის შესწავლაზე, 1988 წელს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების თანამშრომლობის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. 1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის დაგეგმის დეპარტამენტის ბიუროს დირექტორის რ.სოლომანის საქართველოში სტუმრობის ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას სტივ პიჩენიკმა (ბიუროს თანამშრომელმა) აღნიშნა იმის შესაძლებლობა, რომ მისი რამდენიმე ნაცნობი შეძლებული ამერიკელი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით დაინტერესდებოდა, მათ შორის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, ღვინის წარმოებისა და ტურისტული კავშირების მიმართულებით. მანვე იმედი გამოთქვა რესპუბლიკასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოში განხორციელებული სახალხო დიპლომატიის მიზნების განსაზღვრისთვის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ამავე პერიოდის საარქივო მასალების დამუშავებისას შეიძლება ორი მიმართულება გამოიყოს. ერთი მიმართულება მოიცავს თბილისში ამერიკელი დიპლომატების მიერ შეხვედრების დროს ყურადღების გამახვილება საქართველოში ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულ საკითხებზე. ამ მხრივ, ვფიქრობ, ისინი ცდილობდნენ დაენახვებინათ საქართველოს წარმომადგენლებისთვის საბჭოთა კავშირის სისტემაში საკუთრივ საქართველოს, როგორც არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის, არამედ განსხვავებული კულტურისა და მახასიათებლების მქონე ქვეყნის როლზე. მეორე მიმართულება, ამ როლის გამოკვეთასთან ერთად, შეიძლება დაუკავშირდეს

ქართული და ამერიკული საზოგადოებისთვის საერთო ღირებულებებზე ყურადღების გამახვილებას. ასევე, ამ ვიზიტების დროს აღმოჩნდა სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მექანიზმის – წიგნების ჩუქების ტენდენცია.

ზოგადად, საქართველოში საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული პროპაგანდის მიმართ მიუღებლობის ძალიან მაღალი ხარისხი იყო. ამაზე ყურადღება ჩემთან საუბარში ქართველმა დიპლომატმა, ელჩმა და 2003-2004 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, თედო ჯაფარიძემ გამახვილა. მისი თქმით, საბჭოთა პროპაგანდული მანქანა აერთიანებდა სიყალბეს, შიშს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამსახურსა და პოლიტიკურ პროპაგანდას, რაც, საერთო ჯამში, ამერიკულ სახალხო დიპლომატიასთან შედარებით, მას ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აყენებდა (ინტერვიუ თედო ჯაფარიძესთან 28.06.2019).

თედო ჯაფარიძემ ყურადღება გაამახვილა ამერიკული სახალხო დიპლომატიის იმ მნიშვნელოვან ფასეულობებზე, რომელიც, საბჭოთა იდეოლოგიისგან განსხვავებით, მის საფუძველს წარმოადგენდა. მისი თქმით, ეს ფასეულობები – სიმართლე, თავისუფლება და დემოკრატიული იდეები – ის ფასეულობები იყო, რომელიც ქართულ საზოგადოებას საბჭოთა პერიოდში, შექმნილი იდეოლოგიური მდგომარეობის გამო, აკლდა. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატიის საშუალებით ამერიკელებმა ეს ფასეულობები კარგად გამოიყენეს საბჭოთა სისტემისა და წყობის შესარყევად, რამაც საბოლოოდ საბჭოთა კავშირის ჩამონგრევა გამოიწვია. „ამერიკული სახალხო დიპლომატია არ იყო მხოლოდ ფასეულობებზე დაფუძნებული კონცეფცია, ამას ჰქონდა პოლიტიკური, სტრატეგიული დატვირთვა; მიმართული იყო ამერიკის სტრატეგიული მოწინააღმდეგის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გარდა სამხედრო, პოლიტიკური აქტივობებისა, იდეოლოგია და სახალხო დიპლომატია საბჭოთა კავშირის შერყევსკენ იყო მიმართული. ამერიკელებმა ამის გაკეთება შეძლეს. ამაში განსაკუთრებით დიდი როლი მიუძღვის რეიგანსა და მის ადმინისტრაციას, რომელმაც შეძლო არა მხოლოდ ჩაეთრია საბჭოთა კავშირი შეიარაღების ახალ ესკალაციაში, არამედ მისმა მთავრობამ შეძლო ძალიან სერიოზული, ძალიან ღრმა და ძალიან მტკივნეული იდეოლოგიური დარტყმები მიეყენებინა საბჭოთა კავშირისთვის. ამით ასევე იყო დაკავებული კარტერის ადმინისტრაცია და მისი გუნდი. რეიგანის დროს სახალხო დიპლომატია იყო ძალიან მნიშვნელოვანი იარაღი

საბჭოთა კავშირის შესარყევად, საბჭოთა კავშირს ამაში ჩაბმის თავი არ ჰქონდა და ჩამოიშალა,“ – აღნიშნა თედო ჯაფარიძემ ჩემთან საუბრისას.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სახალხო დიპლომატიის პროფესორის ნიკოლას ქალის აზრით, შეერთებული შტატები მუდმივად ცდილობდა საბჭოთა კავშირში ცენტრიდან მოშორებული, ე.წ. ცენტრიდანული ძალების (Centrifugal Forces) დახმარებას. მისი სიტყვებით, ამ მიზნით, რადიო ამერიკის ხმა და რადიო თავისუფლება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ქართულად მაუწყებლობდა. მაგალითად, 1972 წელს, ოლიმპიური თამაშების გადმოცემისას, რადიო ამერიკის ხმამ საბჭოთა კავშირის ათლეტები წარადგინა მათი ეროვნულობის – ყაზახები, უკრაინელები, ქართველები – მიხედვით და არა როგორც საბჭოთა მოქალაქეები. ის ასევე აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ, 1980-იან წლებში რადიო ამერიკის ხმის ქართული რედაქცია გამოიყენებოდა საქართველოს მოსახლეობისთვის კოდირებული შეტყობინებების გადაცემისთვის (ინტერვიუ ნიკოლას ქალთან 19.07.2019).

იმაზე, რომ 1980-იან წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობები საბჭოთა კავშირის შერყევასა და, საბოლოო ჯამში, მის ჩამონგრევას ისახავდა მიზნად, ჩემთან საუბარში აღნიშნა ქართველმა ამერიკისმცოდნემ, პროფესორმა ელენე მემმარიაშვილმა (ინტერვიუ ელენე მემმარიაშვილთან 17.06.2019). შესაძლოა, სახალხო დიპლომატიასა და ხალხთაშორის კავშირებს ამგვარ მნიშვნელობას მხოლოდ პრო-ამერიკულად და პრო-დასავლურად მოაზროვნე ქართველები ანიჭებდნენ. თუმცა, რა თქმა უნდა, სახალხო დიპლომატიამ, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში გათვალისწინებული ხისტი ძალის სხვადასხვა კომპონენტთან ერთად, შეძლო კომპლექსური იერიშის მიტანა საბჭოთა იდეოლოგიაზე. შეკითხვით, რა როლი შეასრულა ამერიკულმა სახალხო დიპლომატიამ 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის დანგრევის მიმართულებით, მივმართე ნუგზარ ფოფხაძეს. იგი 1979-1986 წლებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე, 1986-1987 წლებში საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგე, 1987-1988 წლებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, ხოლო 1988-1989 წლებში საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი იყო. „კაცმა არ იცის, სახალხო დიპლომატიამ, თუ სხვა დიპლომატიამ დაანგრია საბჭოთა კავშირი ...“

საბჭოთა კავშირი სხვა რამემაც დაანგრია,“ – აღნიშნა მან ჩემთან სატელეფონო საუბარში (ინტერვიუ თენგიზ ფოფხაძესთან 27.06.2019). მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდა სხვა დიპლომატიაში, მაგრამ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რადგან მისი ძირითად საქმიანობას 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის პროპაგანდის გატარება წარმოადგენდა, იგი არ ან/და ვერც გაამახვილებს ყურადღებას ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობაზე.

ქვეთავში ჩატარებული კვლევისა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- 1980-იან წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები მოიცავდა ამერიკელ და ქართველ ხალხს შორის კავშირების დამყარებასა და განვითარებას, რაც, მათ პირდაპირი დიალოგის, ამერიკული კულტურისა და საზოგადოების კომპლექსური გააზრების, საბჭოთა ყოფასთან მისი შედარების, რეალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევდა და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პროპაგანდასთან გასამკლავებლად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდა;
- შეერთებული შტატებისა და საქართველოს მოსახლეობას შორის უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისკენ, გამოცდილების გაზიარების, თანამშრომლობის დამყარებისა და მისი შემდგომი გაღრმავებისკენ მიმართული ამერიკული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები მოქალაქეებს უნდობლობითა და გაუგებრობით გამოწვეული შიშის დაძლევაში ეხმარებოდა და საბჭოთა კავშირზე შინაგან ზეწოლას ისახავდა მიზნად;
- სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით გავრცელებულმა ამერიკულმა იდეებმა და ფასეულობებმა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიაზე დარტყმების განხორციელების შესაძლებლობა შექმნა და მის დასაშლელად კარგი ნიადაგი მოამზადა.

### თავი 3. ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის

#### 3.1. ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და შეერთებული შტატებისა და რუსეთის რბილი ძალის შეფასება საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

ამ ქვეთავის მიზანია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვის წარმოჩენა და საქართველოში რუსეთის მიერ გააქტიურებული რბილი ძალის შეფასება. აღნიშნული საკითხის კვლევა საჭიროდ ჩავთვალე მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზნის – 1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის, რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში – მისაღწევად. გარდა ამისა, ამ საკითხის შესწავლის გარეშე შეუძლებელია საქართველოში 1980-იანი წლებისა და თანამედროვე შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთის რბილი ძალის მიზნებისა და მათი მემკვიდრეობითობის შედარება, ცივი ომის ბოლო ათწლეულისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ პირველ ათწლეულს შორის სახალხო დიპლომატიის საკითხების თვალსაზრისით საინტერესო პარალელების გაკეთების, მსგავსებისა და განსხვავებების შემჩნევის შესაძლებლობა იქმნება. სახალხო დიპლომატიის აქტივობების დაგეგმვა ყველაზე ეფექტურად შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მიზანი გამოკვეთილია, სამიზნე საკითხის ბუნება კი შესწავლილი. თავის მხრივ, სახალხო დიპლომატიის სამიზნე საკითხის შესწავლა ქმედითი რეკომენდაციების შემუშავების პერსპექტივას აყალიბებს.

სახალხო დიპლომატია, ერთის მხრივ, რბილი ძალის წარმოქმნის, გატარების ერთ-ერთი საშუალებაა. მეორე მხრივ, სახალხო დიპლომატია სახელმწიფოს როგორც საკუთარი, ასევე სხვა სახელმწიფოს მიერ გატარებული რბილი ძალის მართვაში ეხმარება. სახალხო დიპლომატიას ეროვნული ინტერესების დაცვა, განმტკიცება და

ხელშეწყობა შეუძლია. ამასთანავე, მისი გამოყენებით ქვეყნის წინაშე არსებულ სხვადასხვა საგარეოპოლიტიკურ საფრთხესთან, რისკთან და გამოწვევასთან გამკლავება და საგარეო პოლიტიკის მიზნების, ამოცანების, პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების განხორციელება შეიძლება.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკული სახალხო დიპლომატიის მიზნები, მექანიზმები და აქტივობები ტრანსფორმირდა. თუმცა, საქართველოს არც ცივი ომის დასრულების შემდეგ დაუკარგავს ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გლობალურ სტრატეგიაში. თუ ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოსთან დაკავშირებით იმავე საბჭოთა კავშირის მიმართ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის შემადგენელი ნაწილი იყო, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მიმართ ამერიკული სახალხო დიპლომატიის მიზნები ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა თვისობრივად ახალ ფაზაში გადავიდა და 2009 წლის 9 იანვარს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელმოწერილ ქარტიას ეფუძნება (იხ.: ქარტიის ტექსტი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოსთან მიმართებით იცავს ამ ქარტიაში ჩამოყალიბებული და გაწერილი პარტნიორობის საერთო, ძირითად პრინციპებსა და ორმხრივი თანამშრომლობის მიმართულებებს თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის, დემოკრატიის გაძლიერების, ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავებისა და კულტურული გაცვლის გაფართოების სფეროებში. ქარტიაში აღნიშნული ორმხრივი პრინციპები ესადაგება როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, სამთავრობო უწყება, რომელიც უშუალოდ კურირებს სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებს, საქართველოს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა გაცვლით პროგრამასა (იხ.: საქართველოში აშშ-ის საელჩოს ვებგვერდი: გაცვლითი პროგრამები) და საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს (იხ.: საქართველოში აშშ-ის საელჩოს ვებგვერდი: საგანმანათლებლო პროგრამები). საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო კოორდინირებას უწევს ამერიკული სტილის ბიბლიოთეკების,

ამერიკული სივრცეების/კუთხეების საქმიანობას (იხ.: საქართველოში აშშ-ის საელჩოს ვებგვერდი: ამერიკული კუთხეები), კულტურული პროგრამების განხორციელებასა და საგრანტო პროექტებს (იხ.: საქართველოში აშშ-ის საელჩოს ვებგვერდი: განათლება და კულტურა). ამ პროგრამებისა და მიმართულებების ფარგლებში, ამერიკული სახალხო დიპლომატია არა მხოლოდ ეხმარება საქართველოს მოქალაქეებს ამერიკული განათლების მიღებაში, არამედ მათ საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწის, განვითარების შესაძლებლობას, ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სხვადასხვა აქტუალური საკითხის მიმართულებით ამერიკული გამოცდილების გაზიარების, მიღების შესაძლებლობასა და ამ გამოცდილების საქართველოში განხორციელების პერსპექტივას ქმნის. მოცემულ შემთხვევაში, ამერიკული სახალხო დიპლომატია ეფუძნება ორმხრივად ურთიერთხელსაყრელ პრინციპს და ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების მოწესრიგებაში გვეხმარება.

მაგალითად, ორი ჯორჯიის ურთიერთობის თანამედროვე კონტექსტი ცივი ომის პერიოდის კონტექსტისგან მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ ეტაპზე, ეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამის „ღია სამყარო“ (Open World) ფარგლებში ვითარდება. აღნიშნულ პროგრამას ადმინისტრირებას უწევს შეერთებულ შტატებში მდებარე „ღია სამყაროს ლიდერობის ცენტრი“ (The Open World Leadership Center). პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და კონგრესის ბიბლიოთეკის (აშშ) მხარდაჭერით, საქართველოდან სხვადასხვა შტატში პროფესიული განვითარებისთვის დელეგაციები მიემგზავრება. დღესდღეობით, ატლანტაში დაფუძნებული რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის „მეგობრობის ლაშქარი“ და „ფონდი ჯორჯია ჯორჯიისთვის“ (Georgia to Georgia Foundation) ჯორჯიის შტატში „ღია სამყაროს“ გაცვლითი პროგრამის ეროვნულ გრანტიორ ორგანიზაციებს წარმოადგენს. ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სწორედ ეს ორგანიზაციები, ჯორჯიის შტატის სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციასთან, მაგალითად, „ატლანტა-თბილისის დადობილებული ქალაქის კომიტეტი“ (Atlanta-Tbilisi Sister City Committee) პარტნიორობით, მასპინძლობენ ქართულ დელეგაციებს. პროგრამის ფარგლებში, ორი ჯორჯიის წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა პროფესიულ საკითხზე შეხვედრები იმართება. სამუშაო შეხვედრების თემატიკა მოიცავს პოლიტიკის შემუშავების, კანონის უზენაესობის, ვაჭრობის, ინვესტიციების,

საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებულ, ადგილობრივი მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ გაცვლითმა პროგრამამ ახალ ფორმატში წარმოადგინა ატლანტისა და თბილისის დამძობილებული ქალაქების ურთიერთობა. პროგრამაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ეს ქმნის ცოდნის, პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების ქსელს, რომელიც, თავის მხრივ, ხანგძლივი პროფესიული კავშირების დამყარებას უწყობს ხელს.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. სადოქტორო კვლევის საკითხიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ საქართველოში გააქტიურებული რბილი ძალისა და პროპაგანდის პარალელურად, შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და მედიაწიგნიერების განვითარების საქმეში ეხმარება. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობისთვის ქვეყნის სტრატეგიული კომუნიკაციების გასაძლიერებლად 2018 წელს გამოყოფილი 499,675 აშშ დოლარის ფინანსური დახმარება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი ეს ფინანსური დახმარება საქართველოს მთავრობამ ანტიდასავლური პროპაგანდისგან მომდინარე საფრთხეების მიმართ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგობის გაძლიერებისა და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით მიიღო. ამ დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება პროექტი – „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“. პროექტის მიზანია, საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდოს ობიექტური და სწორი ინფორმაცია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე (იხ.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი). მეორე მხრივ, საქართველოში შეერთებული შტატების საელჩო, სხვადასხვა საგრანტო პროექტის ფარგლებში, აქტიურად ეხმარება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გაცვლითი პროგრამების მონაწილეებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საქართველოს საზოგადოებაში მედიაწიგნიერების გაძლიერებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლისკენ მიმართული პროექტების განხორციელებაში



(იხ.: საქართველოში აშშ-ის საელჩო: მედიაწიგნიერების პროგრამა). ამ მიმართულებით აღსანიშნავია მედიის განვითარების ფონდის (Media Development Foundation) პროექტი „ახალგაზრდების მედიაწიგნიერების ლაბორატორია პასუხისმგებლიანი მედია მოხმარებისთვის“. ეს პროექტი საქართველოში შერთებული შტატების საელჩოს ფინანსური დახმარებით ხორციელდება და მისი მიზანია მედია მომხმარებლებში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა, ხარისხიანი მედია-პროდუქტის მანიპულირებულისგან გარჩევის უნარების განვითარება და ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება (იხ.: მედიის განვითარების ფონდის ვებგვერდი). ეს მოწმობს იმას, რომ თანამედროვე საქართველოში, რუსეთის რბილი ძალისგან განსხვავებით, ამერიკული რბილი ძალის ინსტრუმენტები ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ არ გამოიყენება.

როგორც საქართველოს თავდაცვის 2017-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიაშია აღნიშნული, თანამედროვე საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რუსეთის მიერ განხორციელებულ რბილ ძალასთან გამკლავება, ჰიბრიდული ომის სპეციფიკის გათვალისწინება და მასთან ადაპტაცია (საკომუნიკაციო სტრატეგია, 2). შესაბამისად, ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ეკისრება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას. ამ მიმართულებით, საქართველოს საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიაში სახალხო დიპლომატიის ჩართვა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის რბილი ძალის ბუნების შეფასებას მოითხოვს, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსში სახალხო დიპლომატიის სათანადო, შესაბამისი აქტივობების განხორციელების საფუძველს შექმნის.

ძალის კონკრეტული სახე, მაგალითად, ხისტი, რბილი, გონიერი თუ მკვეთრი (მკაცრი, უხეში) (Sharp), აკადემიურ სფეროში შესწავლის შედარებით ახალ მიმართულებას წარმოადგენს. მაგრამ, პრაქტიკულად, ძალის ეს ყველა სახე თითქმის ყოველთვის იყო იმ სახელმწიფოების შეუცვლელი საგარეოპოლიტიკური იარაღი, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა და საგარეო პოლიტიკის სფეროს გაძლიერება სურდა. დღესდღეობით, საერთაშორისო ურთიერთობის როგორც აკადემიურ, ასევე პრაქტიკულ სფეროში ბევრს საუბრობენ რბილი ძალისა და მისი რთული, ცვალებადი ბუნების შესახებ. თანამედროვე საერთაშორისო

ურთიერთობის სფეროში, სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, რეგიონული და გლობალური ვითარების გამო, რბილი ძალა, ძალის ამ სახეებიდან, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ფორმაა. როგორც პირველ თავშია აღნიშნული, საერთაშორისო ურთიერთობის დარგში რბილი ძალის განმარტების, ბუნებისა და რესურსების შესახებ ბევრი კვლევაა ჩატარებული, რომელიც უმთავრესად რბილი ძალის ტერმინისა და მნიშვნელობის დამფუძნებლის ჯოზეფ ნაის სახელს უკავშირდება.

სახალხო დიპლომატიის კონტექსტში რბილი ძალა, როგორც ტერმინი, განმარტებულია დისერტაციის პირველ თავში. მაგრამ, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მარტივად ამ ტერმინის განმარტება შეიძლება მაშინ, თუ მას ხისტი ძალის პარალელურად განვიხილავთ. ხისტი ძალა, სასურველი შედეგების მისაღწევად იძულებისა და შეგულიანების, წაქეზების, გამოყენებას გულისხმობს (Nye 2004, 7). კვლევის ამ ნაწილში ტერმინი “რბილი ძალა” ჯოზეფ ნაის მიერ წარმოდგენილი ვიწრო გაგებით გამოიყენება. ნაის მიხედვით, რბილი ძალა არის “შესაძლებლობა, რომ მიიღო სასურველი შედეგები დღის წესრიგის შემუშავების, დარწმუნებისა და მიმზიდველობის კოოპტაციური საშუალებებით” (Nye 2011, 16). შესაძლოა, რბილი ძალის ტერმინთან დაკავშირებით არ არსებობდეს დიდი ტერმინოლოგიური გაურკვევლობა, თუმცა, მისი მნიშვნელობა, თეორიული ინტერპრეტირების საკითხებთან მიმართებით, გაიზარდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ ერთ ათწლეულში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში რუსეთის რბილი ძალის ქმედებების შესწავლის მიმართ მზარდი ინტერესი შეიმჩნევა.

რუსეთის მიერ საქართველოში რბილი ძალის მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა რუსეთის რბილი ძალის ქმედების ხელახალი შეფასების აუცილებლობა წარმოშვა. აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომში ჩატარებული კვლევა, ქრეგ ჰაიდენის მიერ წიგნში „რბილი ძალის რიტორიკა: სახალხო დიპლომატია გლობალურ კონტექსტებში“ წარმოდგენილ თვალსაზრისზე დაფუძნებით, განიხილავს რუსეთის რბილი ძალის ქმედებას საქართველოში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. ამ თვალსაზრისით, კვლევის კონკრეტული მიზანია შეფასდეს რუსეთის რბილი ძალა ჯოზეფ ნაის მიერ წიგნში “ძალის მომავალი” (The Future of Power) წარმოდგენილი რბილი ძალის სამი ქცევის – დღის წესრიგის შემუშავება, დარწმუნება და მიმზიდველობა – მიხედვით. ეს კვლევა

არ ითვალისწინებს რუსეთის რბილი ძალის ყოველმხრივ განხილვას. ამ კვლევის ორი მთავარი საკითხია იმის განსაზღვრა, თუ როგორ აღიქვამს რუსეთი რბილი ძალის ცნებას და როგორ – პირდაპირ, აშკარად (Explicitly) თუ არაპირდაპირ, შეფარულად (Implicitly) – იყენებს რუსეთი რბილ ძალას საქართველოში საკუთარი სტრატეგიისა და მოქმედების გზით. ამ შემთხვევაში, პირდაპირობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად აქვს რუსეთს ჩამოყალიბებული რბილი ძალის სტრატეგია და ახორციელებს მის ღონისძიებებს. მეორე მხრივ, არაპირდაპირობა გულისხმობს რბილი ძალის შემუშავებისა და განხორციელების არაპირდაპირ, შეფარულ ხასიათს.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს საგარეოპოლიტიკური რეალობა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ რბილი და ხისტი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს თანამედროვე საგარეოპოლიტიკური რეალობა და ეროვნული უსაფრთხოების მრავალგანზომილებიანი გარემო, რომელშიც რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება იზრდება, სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური გამოწვევის წინაშეა. ამ გამოწვევებს სხვადასხვა გეოპოლიტიკური და პოლიტიკური ფაქტორი ქმნის. ხშირად მოიაზრება, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და მისმა შემდგომმა პერიოდმა არა მხოლოდ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის გარემო, არამედ რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მიმართულებით ახალი საფრთხეები წარმოქმნა, რომელიც არსით რბილი და ხისტი ძალის სფეროს განეკუთვნება. ფართოდ გავრცელებული შეხედულებაა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთმა არაერთგზის გამოიყენა ხისტი ძალის ინსტრუმენტები (Sergunin and Karabeshkin 2015, 347), რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი პირველი შემთხვევა იყო პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც რუსეთის ფედერაციამ საერთაშორისო საზღვრების გასწვრივ სამხედრო ძალა განათავსა (Rutland and Kazantsev 2016, 407), რომ რუსეთის მიერ ხისტი ძალის ხელახალი გამოყენების სურვილის გამოხატვით (Wieclawski 2011, 15) ამ ომის დროს რუსეთი საჯაროდ დაუბრუნდა დიდი ძალის სტატუსს (Friedman 2008). ნაის მიხედვით, 2008 წელს, საქართველოში შემოჭრის შემდეგ, რუსეთის სამხედრო ძალის გავლენა გაიზარდა, თუმცა რუსეთი არ იყო სათანადოდ დახელოვნებული იმისთვის, რომ საკუთარი სამხედრო გამარჯვება რბილი ძალის

გამოყენებით გაემყარებინა (Nye 2011, 99). შესაბამისად, საქართველოს თანამედროვე საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის გეზის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა 2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებულმა ხისტი ძალის ნაბიჯებმა. 2008 წლის შემდეგ ეს გეზი რუსეთის მიერ რბილი ძალის მუდმივი გამოყენებისა და მის მიერ ძალის ამ ორივე სახის ურთიერთქმედების შედეგად ტრანსფორმირდა.

2008 წლის აგვისტოს ომმა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ სამხედრო აგრესიად არის შეფასებული (საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტატეგია 2015-2018; საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტი), რადიკალურად შეცვალა (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, 5) და მნიშვნელოვნად გააუარესა (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, 12) საქართველოს უსაფრთხოების გარემო. 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ საქართველოს მთავრობა მუდმივად აცხადებს საკუთარ დასავლურ მისწრაფებებს. ევროატლანტიკური ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2011), საგარეოპოლიტიკური მიზანი (Panjikidze 2013, 2) და სტრატეგიული ამოცანა გახდა (საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტატეგია 2015-2018). რაც უფრო მეტად უახლოვდება საქართველო ევროატლანტიკურ სივრცეს, მით უფრო მეტად ცდილობს რუსეთი საქართველოში რბილი ძალის გამოყენებას.

რუსული რბილი ძალა თანამედროვე საქართველოში, ამერიკული რბილი ძალისგან განსხვავებით, პროპაგანდას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების გარემო და საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები სტრუქტურულად შეიცვალა ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე რუსეთის რბილი და ხისტი ძალის ქმედებებთან მიმართებით.

როგორც საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტშია აღნიშნული, „რუსეთის ფედერაციის მთავარ სამიზნეს საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და საქართველოს რუსულ ორბიტაზე ძალადობრივი გზით დაბრუნება წარმოადგენს“ (საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტი, 2). 2017-2020 წლების საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში მითითებულია, რომ „რუსეთის ფედერაციის აგრესიული საგარეო პოლიტიკა საქართველოს

უსაფრთხოების გარემოსთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს“ (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, 5). გარდა ამისა, ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კრემლის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტებისა და რბილი ძალის ინსტრუმენტების გამოყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევად რჩება (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, 12). ამავე დოკუმენტის მიხედვით, კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებდა რბილი ძალის ელემენტების გაძლიერებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება, პრორუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება და დასავლური საგარეოპოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია, პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო ბერკეტების გამოყენებით, განაგრძობდა მცდელობას საქართველოსთვის შეეზღუდა როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020, 14). ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ რბილ ძალაზე ფოკუსირებული რუსეთის საგარეოპოლიტიკური დღის წესრიგი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის არ წარმოადგენს ირიბ და მარტივ ფაქტორს. უფრო მეტიც, რბილ ძალაზე ფოკუსირებული რუსეთის საგარეოპოლიტიკური დღის წესრიგი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მრავალგანზომილებიან გარემოზე პირდაპირ ახდენს გავლენას, რადგან მისი მიზნები, ბუნება და ხერხები საქართველოს ძირითად საგარეოპოლიტიკურ დოკუმენტებშია აღნიშნული.

იმ დროს, როდესაც რუსეთის რბილი ძალა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის პირდაპირ გამოწვევას წარმოადგენს, შეერთებული შტატები რბილი ძალისა და სახალხო დიპლომატიის საშუალებით ამ გამოწვევის მოგვარებას ცდილობს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მაგალითზე ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა გულისხმობს დესტრუქციული მიზნების განხორციელებას. ამას მოწმობს მედიის განვითარების ფონდის ანგარიში „ანტიდასავლური პროპაგანდა: 2018“. ანგარიშის მიხედვით, კრემლის მიერ განხორ-

ციელებული ე.წ. ინფორმაციული გავლენის აქტივობები<sup>7</sup> საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის იყენებს ნეგატიურ, დესტრუქციულ, ასევე ირიბ-დესტრუქციულ სტრატეგიებს (კინწურაშვილი 2019, 40).

სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავარი ეროვნული ინტერესი და საქართველოს მთავრობის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიული მიზანია (საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტატეგია 2015-2018; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2011). რუსეთის ხისტი ძალის ძალისხმევა – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ძალის არსებობა – და მისი რბილი ძალის შესაძლებლობები – პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მზარდი აქტივობები – საფრთხეს უქმნის საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უფლებამოსილებას, რადგან ჩვენი ქვეყნის ისეთ საგარეოპოლიტიკურ მიზნებს, როგორცაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, გამოწვევების წინაშე აყენებს.

დღესდღეობით საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა რთულ ფაზაშია, რადგან რუსეთი აქტიურად იყენებს რბილ ძალას (საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი 02.03.2016). საქართველოში რუსეთის რბილ ძალასთან დაკავშირებული ეს კონკრეტული და სხვა შეხედულებები, მათ შორის, რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის, კიბერთავდასხმებისა და პროპაგანდის ნეგატიური გავლენა რეგიონული უსაფრთხოების გარემოზე, საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურსში, უფრო ინტენსიურად ქდერდება. ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის რიტორიკა (იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი 04.11.2017; საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი 05.14.2018). პრეზიდენტი მარგველაშვილი თავის ზოგიერთ გამოსვლაში ყურადღებას ამახვილებდა რუსეთის რბილ ძალასა და პროპაგანდაზე, როგორც გამოწვევაზე ქართული საზოგადოების დასავლური არჩევანისთვის (საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი 26.03.2015; საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური

---

<sup>7</sup> Information Influence Activities – უცხოური ძალების მიერ განხორციელებული აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავს მათთვის სასარგებლო შედეგების მიღებას სამიზნე ჯგუფების აღქმების, ქცევისა და გადაწყვეტილებებზე გავლენის მეშვეობით (იხ.: Pammet ... 2018, 14)

ვებგვერდი 09.12.2017). მართალია, ამ ეტაპისთვის, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული რბილი ძალის აქტივობების შესახებ რიტორიკით არ გამოირჩევა, თუმცა, მისთვის რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება, ყალბი სიახლეებით მეზობელ ქვეყანაში დაპირისპირების, დაძაბულობის გამძაფრებასა და მის უკიდურესობამდე მიყვანას ემსახურება (საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი 25.01.2019).

აღნიშნული საგარეოპოლიტიკური გარემო მიუთითებს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შექმნილი ვითარების ხასიათზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საგარეოპოლიტიკური მიზნები, ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოების გარემო საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომავლის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს. გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენად მოქნილი და ეფექტურია რუსეთისთვის საქართველოში რბილი ძალის გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია. რუსეთის ხისტი ძალის მოქმედებებთან ერთად, მისი რბილი ძალა თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის მიმდინარე გამოწვევას წარმოადგენს. მიზნები, რომლის მიღწევასაც რუსეთი საქართველოში რბილი ძალის ღონისძიებების გამოყენებით ცდილობს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან შეუთავსებელია.

სრულიად საპირისპირო სურათი გვხვდება თანამედროვე საქართველოში ამერიკული რბილი ძალის განხორციელების შემთხვევაში: შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობები შეთავსებელია საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან. თანამედროვე საქართველოში ამერიკულ რბილ ძალას, რუსეთის რბილი ძალისგან განსხვავებით, კონსტრუქციული მიზნები აქვს.

საგარეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები, ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოების სფერო ურთიერთქმედებს, კვლევის წინა ნაწილშია შესწავლილი. ამ ნაწილში კი საქართველოში რუსეთის რბილი ძალის დღის წესრიგის შემუშავების დეტალებია განხილული.

გლობალური პერსპექტივიდან, 2008-2018 წლებში რუსეთის რბილი ძალის სტრატეგიამ გასაოცარი და სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა. რეგიონული თვალთახედვით, ეს პროცესი ადვილად შესამჩნევია საქართველოს მაგალითზე. საკითხის უკეთ შესასწავლად, კვლევა ქრეგ ჰაიდენის წიგნში “რბილი ძალის რიტორიკა: სახალხო დიპლომატია გლობალურ კონტექსტებში” (2012) წარმოდგენილ კონცეპტუალურ თვალსაზრისს ეფუძნება. ჰაიდენის მიხედვით, “რბილი ძალის გასაგებად აუცილებელი ნაბიჯია იმის დადგენა, თუ როგორ ესმით საერთაშორისო აქტორებს, მოთამაშეებს, თავად ეს ცნება და როგორ იყენებენ მას თავიანთ სტრატეგიებსა და მოქმედებებში – პირდაპირ თუ ირიბად” (Hayden 2012, 37). ამ თვალსაზრისის უპირატესობა არის ის, რომ მოთამაშე, რბილი ძალის განმხორციელებელი ქვეყნის რბილი ძალის უკეთესი განხილვისა და შეფასების შესაძლებლობას გვთავაზობს. ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით, კვლევის ამ ნაწილში განხილულია ის, თუ როგორ ესმის რუსეთს რბილი ძალა და როგორ აყალიბებს ის რბილი ძალის სტრატეგიას საქართველოს მიმართ. საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის რბილი ძალის სტრატეგიის თეორიული ასპექტის განსახილველად აუცილებელია მისი განხილვა რბილი ძალის ერთ-ერთი ქცევის – დღის წესრიგის – მიხედვით.

სამთავრობო სტრატეგიაში რბილი ძალის ჩართვა იმაზე მეტად რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს (Nye 2011, 83). რბილი ძალის თეორიული კონცეპტუალიზაცია, იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ძალის ეს სახე პრაქტიკულად განხორციელდეს და შეფასდეს, საგარეო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული დოკუმენტების, როგორცაა, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, შექმნისას კარგად ჩამოყალიბებული მიდგომის გამოყენებას მოითხოვს. რუსეთის შემთხვევაში, რბილი ძალის იდეის ძირითად ფორმულირებას 2013 და 2016 წლების რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვხვდებით. რუსეთის ტრადიციული დიპლომატია მჭიდროდ უკავშირდებოდა ხისტი ძალის ისეთი რესურსების გამოყენებას, როგორცაა გაზი, ნავთობი და სამხედრო პირველობა (Maliukevičius 2013, 6). თანამედროვე სამყაროში რბილ ძალას, არატრადიციული დიპლომატიის რესურსს, არსებითი როლი ეკისრება რუსეთის საგარეო პოლიტიკის სფეროში. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ დოკუმენტებში რბილი



ძალა ჩამოყალიბებულია როგორც ყოვლისმომცველი კომპლექტი (Концепция внешней политики Российской Федерации 2013) და საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი ძალისხმევების განუყოფელი ნაწილი (Концепция внешней политики Российской Федерации 2016).

საგარეო პოლიტიკის ამ მთავარი წყაროების გარდა, რბილი ძალის იდეა და მისი მნიშვნელობა საგარეო საქმეებში რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგში გაჟღერდა. კონკრეტულად, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები არა მხოლოდ მიიჩნევენ, რომ რბილი ძალა საგარეო პოლიტიკაში მზარდ როლს ასრულებს (Министерство иностранных дел Российской Федерации 21.01.2017) ან იმას, რომ ის სახელმწიფოებისთვის საერთაშორისო გავლენის მოსაპოვებლად ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია (Министерство иностранных дел Российской Федерации 01.12.2012), არამედ განსაზღვრულია, რომ რბილი ძალა ფართოდ და ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული (Министерство иностранных дел Российской Федерации 14.10.2015). ფართო პერსპექტივიდან, რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დისკურსში რბილი ძალის იარაღები შეფასებულია როგორც საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად აუცილებელი ძალისხმევების განუყოფელი ნაწილი, რბილი ძალა განსაზღვრულია როგორც შესაძლებლობების პრაქტიკულად შეუზღუდავი კომპლექტი (Концепция внешней политики Российской Федерации 2016) და მიჩნეულია, რომ რბილი ძალის შესაძლებლობები რუსეთის საგარეო პოლიტიკის აქტივობების, ღონისძიებების, ეფექტურობის გასაზრდელად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული (Министерство иностранных дел Российской Федерации 30.01.2013). უფრო მეტიც, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები რბილ ძალას ხედავენ საშუალებად, რომელმაც რუსეთის ავტორიტეტი უნდა გააძლიეროს და პოზიტიური, დაბალანსებული, ერთიანი საერთაშორისო დღის წესრიგის დაწინაურებას უნდა შეუწყოს ხელი (Министерство иностранных дел Российской Федерации 26.03.2018).

გასული ათწლეული ისტორიული მნიშვნელობის იყო როგორც რუსეთის მიერ რბილი ძალის აღქმის თეორიული ევოლუციის, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. მიჩნეულია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადმა რევოლუციებმა – საქართველოში 2003 წელს ვარდების რევოლუციამ და უკრაინაში 2004 წელს ნარინჯისფერმა რევოლუციამ – რბილი ძალის ცნების მიმართ რუსეთის ინტერესი გააღვივა (Herpen 2015, 34). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კერძოდ კი 2008

წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რბილი ძალის ინსტრუმენტების გაუმჯობესება (Министерство иностранных дел Российской Федерации 29.12.2014) და მისი მექანიზმების გამოყენებაში დახელოვნება (Министерство иностранных дел Российской Федерации 25.02.2013) თანამედროვე რუსული დიპლომატიის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა. ამასთანავე, რბილი ძალის გამოყენებაზე დამოკიდებულება რუსეთისთვის საკუთარი საგარეო პოლიტიკის ეფექტურობის, ქმედითობის ძირეული გაუმჯობესების განხორციელების ხელშესაწყობად აღიქმებოდა (Министерство иностранных дел Российской Федерации 23.01.2013).

აქვე აღსანიშნავია რუსული რბილი ძალის უპირველესი თეორეტიკოსის, ევრაზიული მოძრაობის ლიდერის ალექსანდრ დუგინის შეხედულებები რბილი ძალის იდეოლოგიის შესახებ. მისი პოლიტიკური საქმიანობის არსს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების რუსეთთან ინტეგრირების ხარჯზე ევრაზიული ზესახელმწიფოს შექმნა (ჩეჩელაშვილი 2019). რბილი ძალის დუგინისეული ანალიზი, მის მონოგრაფიებსა და ლექციებზე დაფუძნებით, კვლევის ცალკე საგანს წარმოადგენს (იხ.: Вебсайт Александра Дугина), რისთვისაც აუცილებელია ცალკეულ საგარეოპოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით – გეოპოლიტიკა, იდეოლოგია, მულტიპოლარიზმი – დუგინის შეხედულებების შესწავლა.

რბილი ძალის კონცეფციის ჩამოყალიბების გარდა, მიჩნეულია, რომ რბილი და ხისტი ძალის ელემენტების – ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური და საინფორმაციო ღონისძიებები – განვითარება და განხორციელება სტრატეგიული შეკავების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, შეიარაღებული კონფლიქტების აღსაკვეთად, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის დასაცავად და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად სასარგებლოა (Стратегия национальной безопасности Российской Федерации 2020). გარდა ამისა, რბილი ძალის კონსტრუქციულ კომპონენტს – სახალხო დიპლომატიას – რუსეთის ფედერაციის ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთ არასამხედრო გზად მიიჩნევენ (План деятельности Министерства иностранных дел Российской Федерации на период до 2018 г.). მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა 2018 წლამდე, რომელიც გამოცემულია 2013 წელს, რუსეთის რბილი

ძალის, როგორც მსოფლიოში რუსეთის კულტურული და საგანმანათლებლო არსებობის ზრდის ერთ-ერთი ნაწილის, თეორიულ და პრაქტიკულ პროგრესს ცხადყოფს.

საკითხი, თუ როგორ აღიქვამს რუსეთი რბილ ძალას, დიდი გულდასმით უნდა განვიხილოთ რბილი ძალის იმ კლასიკურ ტერმინთან მიმართებით, რომელსაც ჯოზეფ ნაი გვთავაზობს. სამომავლო კვლევებმა შესაძლოა უფრო ღრმად შეაფასონ რუსეთის მიერ რბილი ძალის თეორიული აღქმის მახასიათებლები. მაგრამ, ამ კონკრეტულ საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მართებული იქნება, საკითხს მოკლედ თუ მიმოვიხილავთ. რბილი ძალის სფეროში გავლენის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განსხვავებაა რუსულ და ტრადიციულ, ამერიკულ, კლასიკურ, ჯოზეფნაისეულ მიმართებებს შორის. ნაის მიხედვით, რბილი ძალა მხოლოდ გავლენა არ არის. მისი თქმით, რბილი ძალა არის მიზიდვის უნარი (Nye 2004, 6). ამის საპირისპიროდ, რუსეთის საგარეოპოლიტიკურ თვალთახედვაზე დაკვირვებით ირკვევა, რომ რბილი ძალა არის “საშუალება მსოფლიოზე ცივილიზაციური, ჰუმანიტარულ-კულტურული, საგარეოპოლიტიკური და მომხიბვლელით გავლენა მოახდინო” (Министерство иностранных дел Российской Федерации 07.07.2008). გარდა ამისა, ხშირად მოიხსენიებენ, რომ რუსული ელიტა ინტერესს იჩენს რბილი ძალის მიმართ, რათა საერთაშორისო სისტემაში რბილი ძალა მისთვის სტატუსისა და გავლენის მიღწევის საშუალება გახდეს (იხ.: Kiseleva 2015). არსებობს შეხედულება, რომ რუსეთის დღევანდელი გავლენა ეფუძნება “რბილ იძულებას” (Soft-Coercion), გავლენას, რომელიც ირიბად იძულებითია, ეფუძნება საიდუმლო მეთოდებსა – სამხედრო შეჭრა, ქრთამი, შანტაჟი – და ძალის ახალ ფორმებს – ენერგეტიკული მარაგი – რომლის განსაზღვრა ხისტ და რბილ ძალად რთულია (იხ.: Sherr 2013). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავინახოთ, რომ გავლენის ფლობა და გავლენის მოპოვება რუსეთის რბილი ძალის ინსტრუმენტსა და მიზანს ერთდროულად წარმოადგენს.

თუმცა, გავლენის საკითხთან მიმართებით ამ არსებული განსხვავების მიუხედავად, რბილი ძალის რესურსების რუსული და ტრადიციული აღქმა მსგავსია. ჯოზეფ ნაის მიერ ჩამოყალიბებულ რბილი ძალის სამ ძირითად წყაროს – კულტურას, პოლიტიკურ ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკას (Nye 2011, 84) – რბილი ძალის რუსული ცნებაც იზიარებს. თავად რუსეთის რბილი ძალის ცნება

ჩამოყალიბებულია როგორც პოზიტიური საერთაშორისო დღის წესრიგის ხელშეწყობის საშუალება (Министерство иностранных дел Российской Федерации 24.03.2007). ამასთანავე, მიჩნეულია, რომ კრემლი რბილი ძალის დასავლური ცნების გამოყენებას ცდილობდა და მისი ჩამოყალიბება იძულებითი პოლიტიკის, ეკონომიკური წნეხის ეუფემიზმად სურდა (Minzarari 2012).

გარდა ამისა, რუსეთის რბილი ძალის შესაფასებლად შესაბამისი მიდგომის მოძიება შეგვიძლია 2012 წელს გამოქვეყნებულ ვლადიმერ პუტინის სტატიაში “რუსეთი და ცვალებადი სამყარო” (Russia and the Changing World). ეს სტატია რუსეთის რბილი ძალის იდეოლოგიური შეფასების დამატებით შესაძლებლობას ქმნის. რბილი ძალა, როგორც ამ სტატიაშია აღნიშნული, არის ინსტრუმენტებისა და მეთოდების ერთიანობა, რომელიც საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იარაღების გამოყენების გარეშე ქმნის. ეს მეთოდები ხშირად ექსტრემიზმის, სეპარატიზმის, ნაციონალიზმის, საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულაციისთვის, დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში პირდაპირი ჩარევისა და პროვოცირებისთვის გამოიყენება (Путин 27.02.2012).

მნიშვნელოვანია ასევე იმ მიზნის განხილვა, რაც საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის დღის წესრიგის მიღმა დგას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალის კონკრეტული სახე, მაგალითად, ხისტი, რბილი თუ გონიერი, თითქმის ყოველთვის იყო იმ სახელმწიფოების შეუცვლელი საგარეოპოლიტიკური იარაღი, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა და საგარეო პოლიტიკის სფეროს გაძლიერება სურდა. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, რბილი ძალა ეხმარება სახელმწიფოებს საგარეოპოლიტიკური სტრატეგია იმ ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების დაცვით განავითარონ, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია ჩამოყალიბებული.

სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა ღონისძიებას ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობით გეგმავენ და ახორციელებენ. ეროვნული ინტერესების დაცვა საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის სტრატეგიის მიღმა არსებული მიზნის გასაგებად მნიშვნელოვანია რუსეთისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების შედარება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და ევროპული და ევროატლანტიკური

ინტეგრაცია საქართველოს რამდენიმე მთავარ ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის უმთავრესია სუვერენიტეტი და სახელმწიფო და ტერიტორიული მთლიანობა. 2013 და 2016 წლების რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციებში ნეგატიური დამოკიდებულებაა გამოკვეთილი ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტებში რუსეთის მეზობელ რეგიონებში ნატოს მზარდი სამხედრო აქტივობები თანასწორუფლებიანი და განუყოფელი უსაფრთხოების (Indivisible Security) პრინციპის დარღვევად, ევროპაში ძველი გამყოფი ხაზების გაზრდისა და ახალი გამყოფი საზღვრების წარმოქმნის ხელშემწყობ მოვლენადაა აღნიშნული.

მოცემული კვლევის შედეგები ნათელყოფს იმას, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესები არ არის ურთიერთდაკავშირებული და, რომ ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული ეროვნული პრიორიტეტები ერთმანეთთან შეუთავსებელია. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს არა მხოლოდ რბილი ძალის დღის წესრიგის ჩამოყალიბებას, არამედ იმ შედეგებსაც, რომლის მიღწევა რბილი ძალის განმახორციელებელ სახელმწიფოს სურს. ზოგადად ამგვარმა დაკვირვებამ შესაძლოა გაამყაროს ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, რომ რბილი ძალის განმახორციელებელი და სამიზნე ქვეყნის ეროვნული ინტერესების ურთიერთსასარგებლო ბუნებას რბილი ძალის სტრატეგიებისა და მოქმედებების განსაზღვრა, დადგენა შეუძლია. ამავე საკითხთან მიმართებით საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ურთიერთსასარგებლო ეროვნულ ინტერესებს პირდაპირ შეუძლია გავლენის მოხდენა სანდოობაზე (Credibility), რომელსაც რბილი ძალა ეფუძნება.

როგორც აღინიშნა, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები შეუსაბამოა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ხაზი გაესვას იმას, რომ რაც უფრო მეტად ცდილობს რუსეთი რბილი და ხისტი ძალის ტაქტიკის გამოყენებას საქართველოს მიმართ, მით უფრო მეტი დრო დასჭირდება მისთვის სასურველი შედეგების მიღწევას. ეს მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განხორციელების გზაზე პროგრესს მიაღწიოს.

კვლევის ეს შედეგები გვაძლევს იმის ხაზგასმის შესაძლებლობასაც, რომ რბილი ძალის იდეა რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგში შედარებით დეტალურად არის ჩამოყალიბებული. საერთოდ, ეროვნული ინტერესების ხასიათი

მთავარ როლს თამაშობს საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. ამ კვლევამ საყურადღებო საკითხები წამოჭრა რბილი ძალის განმახორციელებელ და სამიზნე ქვეყნებს შორის ეროვნული ინტერესების – შეუთავსებელი და შეთავსებადი – როლის შესახებ, რომელსაც პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია იმ შედეგების ხარისხზე, რომლის მიღწევაც რბილი ძალის განმახორციელებელ ქვეყანას სურს. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოს მიმართ რუსეთის ამჟამინდელი რბილი ძალის დღის წესრიგი რუსულ პირობებშია კონცეპტუალიზებული. უფრო მეტიც, შესაძლოა ითქვას ისიც, რომ გავლენის როლის საკითხების გამო, რუსეთის რბილი ძალა ამერიკული რბილი ძალის კლასიკური განმარტების კონტრაფაქციას, გაყალბებას, ყალბ იდეას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ იყო ახსნილი, ჰაიდენის (2012) მიხედვით, რბილი ძალის გასაგებად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოთამაშის მიერ რბილი ძალის ტერმინისა და ღონისძიებების იდენტიფიცირება. ცხადია, რბილი ძალის ანალიზი მოითხოვს მის თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას. წინა ნაწილში განხილული იყო საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესი რბილი ძალის ერთ-ერთი ასპექტის – დღის წესრიგის შემუშავების – მიხედვით.

ახლა მნიშვნელოვანია ავხსნათ საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის ღონისძიებების, აქტივობების ბუნება, რბილი ძალის სხვა ქცევის – დარწმუნებისა და მიმზიდველობის მიხედვით. ამ კონტექსტში კვლევის მთავარი საკითხები ითვალისწინებს იმის დადგენას, თუ რა ძირითადი სახის რბილი ძალის საშუალებებს, მეთოდებს, მიმზიდველობის ხარისხს, არგუმენტაციის სახეებს იყენებს რუსეთი საქართველოში, ქართველების შეხედულებებსა და ქმედებებზე გავლენის მოსახდენად. ამ საკითხების განხილვა საბოლოოდ მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ, თუ როგორია საქართველოში რუსეთის რბილი ძალის ბუნება – პირდაპირი თუ ირიბი.

აღნიშნული საკითხების კვლევა ეფუძნება ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობაში ძირითადი საგარეოპოლიტიკური საკითხების – საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რუსული პროპაგანდა და სხვა – მიმართ დამოკიდებულებების შესასწავლად ჩატარებულ გამოკითხვებს. მათ შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ნაწილში განხილულია ტენდენცია,

რომელიც ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში შეინიშნება, რათა გაირკვეს რამდენად მისაღებად, მიუღებლად, პოზიტიურად თუ ნეგატიურად აღიქმება რუსეთის რბილი ძალა საქართველოში. ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ არგუმენტის ხარისხზე, რომელსაც რუსეთი ქართველების შეხედულებებსა და ქმედებებზე გავლენის მოსახდენად იყენებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, გავლენას ახდენს თუ არა რუსეთი ქართველების შეხედულებებისა და ქმედებების ჩამოყალიბებაზე იძულების, ძალის მუქარით. ზოგადად, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით მოპოვებული მონაცემები, გამოყენებულია იმისთვის, რომ განვსაზღვროთ რამდენად მიმზიდველი და დამაჯერებელი ბუნება აქვს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოში რუსეთის რბილ ძალას. მაგრამ მანამ, სანამ გავაანალიზებთ რუსეთის რბილი ძალის ქმედებებს, მნიშვნელოვანია აღვწეროთ ის, თუ რბილი ძალის რა ძირითად ხერხს იყენებს რუსეთი საქართველოში.

ამ ორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შორის არსებულ შეუსაბამობას გავლენის მოხდენა შეუძლია არა მხოლოდ საქართველოში რუსეთის მიერ, რბილი ძალის საშუალებით, გამოვლენილ მიმზიდველობასა და ხარისხზე, არამედ იმ არგუმენტებზეც, რომელსაც რუსეთი ქართველების შეხედულებებსა და ქმედებებზე გავლენის მოსაპოვებლად იყენებს. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ რბილი და ხისტი ძალის კომბინაციას იყენებს. სხვა სიტყვებით, რუსეთი ქართველი ხალხის შეხედულებებზე ზეგავლენას მცოცავი ოკუპაციის მუქარის პარალელურად ცდილობს. ზოგადად, საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ საგარეო პოლიტიკის კურსში რბილი და ხისტი ძალის გაერთიანებამ, როდესაც რბილი ძალის განმახორციელებელ და სამიზნე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები შეუთავსებელია, შეიძლება საქართველოს მოსახლეობაში წარმოქმნას არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის რბილი ძალის ქცევასთან დაკავშირებით. ამგვარი დამოკიდებულება დღესდღეობით შეინიშნება ქართული საზოგადოების პროდასავლურად და პროამერიკულად განწყობილ ნაწილში.

უახლესი გამოკითხვებისა და ანგარიშების მიხედვით, კრემლის პროპაგანდის მთავარ დასაყრდენსა (ავალიშვილი 2016, 9) და საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის მთავარ წყაროს მედიასაშუალებები წარმოადგენს კინწურაშვილი 2014-2015, 9; კინწურაშვილი 2016, 19; კინწურაშვილი 2017: 19). იმის ასახსნელად, თუ

როგორ წარმოქმნის რუსეთის რბილი ძალის ქმედებები ანტიდასავლურ განწყობებს ქართულ საზოგადოებაში, შეიძლება დაგვეხმაროს ზოგიერთ ქართულ მედიასაშუალებაში, მათ შორის, ტელევიზიაში, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში, გაქდერებული ანტიდასავლური რუსული პროპაგანდის ნარატივი. გარდა ამისა, ანტიდასავლური პროპაგანდის მედია მონიტორინგის ანგარიშებში, რომელიც მედიის განვითარების ფონდმა (MDF) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (2014-2015, 2016, 2017) განახორციელა, დასახელებულია პრორუსული ქართული მედიასაშუალებები (კინწურაშვილი 2017, 18-19; კინწურაშვილი 2014-2015, 9). ეს ანგარიშები გამოკვეთს ქართულ დისკურსში კრემლის ნარატივის მთავარ მიზნებს: საფრთხეების შექმნა, პარტნიორებისა და დასავლური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის დათესვა, საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობისა და ავტორიტარული/საბჭოური მმართველობის საჭიროების აზრის დამკვიდრება (კინწურაშვილი 2017, 26). ამასთანავე, ყველაზე ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ კრემლის პროპაგანდა მიზნად ისახავს ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის შეფერხება, კრემლის მიერ მხარდაჭერილი გლობალური პოლიტიკის პოპულარობის გაზრდა და ქართულ საზოგადოებაში გაურკვეველობის, შიშისა და სიძულვილის დანერგვა (ავალიშვილი 2016, 8). ეს მიუთითებს იმაზე, რომ მედია საქართველოში რუსეთის რბილი ძალის მთავარი საყრდენია და, რომ რუსული პროპაგანდა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ინტერესის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, საწინააღმდეგოდ, ძირის გამოსათხრელად გამოიყენება. ნატოსთან და ევროკავშირთან დაკავშირებით რუსეთის ანტიდასავლური ნარატივი (იხ.: MDF ანგარიშები 2014-2015, 2016, 2017) უკავშირდება ისეთი თვალსაზრისის გავრცელებას, როგორცაა, მაგალითად, ის, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია თურქეთის გაფართოებასა და საქართველოს ტერიტორიების დაკარგვასთან ასოცირდება (MDF ანგარიში 2014-2015, 12), რომ ნატოს არ სჭირდება საქართველო და ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროატლანტიკური სივრცისკენ უტოპიაა (MDF ანგარიში 2016, 14), საქართველო ვერ მოიპოვებს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლას ან ევროკავშირში ინტეგრაციას, რადგან ევროკავშირი დაიშლება (MDF ანგარიში 2016, 17), ნატოში საქართველოს გაწევრიანება არარეალურია და რომ ალიანსს კრიზისის



პერიოდი აქვს და რეფორმირებ სჭირდება (MDF ანგარიში 2018, 11). მთლიანობაში, ეს ტენდენცია აძლიერებს შეხედულებას, რომ ამგვარი ნარატივი ქართველებში ევროკავშირისა და ნატოს შესახებ სკეპტიციზმის გაღვივებას ემსახურება.

ის, რომ რუსეთის მიერ წარმოებული პროპაგანდა საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში გაწევრების ხელისშემშლისკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს საზოგადოების ერთიანობის შესუსტებას, დასავლური ღირებულებების შესუსტებასა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის შესუსტებას, აღნიშნულია ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში 2017-2020 წლებისთვის (საქართველოს მთავრობის განკარგულება №765).

მედია ყოველთვის მიიჩნევა მოსახლეობის აღქმებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების მამოძრავებელ ძალად მაშინ, როდესაც დარწმუნება – სამიზნე აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა, ცნობიერების ან ემოციის მართვით – ადამიანის დამოკიდებულებების შესაცვლელად მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. მასობრივი კომუნიკაციების ამერიკელი პროფესორების ლანს ჰოლბერტისა (R. Lance Holbert) და ჯონ ჩერნევის (John M. Tchernev), მიხედვით, მედიის გავლენა, მის თანმდევ ყველა სირთულესთან ერთად, უნდა გავიგოთ როგორც დარწმუნება (იხ.: Holbert and Tchernev 2013, 37). ამასთანავე, მასობრივი კომუნიკაციების კიდევ ერთი ამერიკელი პროფესორის ჯეიმს ფრაის დილარდის მიხედვით (James Price Dillard), დარწმუნება არის “ერთი სოციალური მოთამაშის მიერ სიმბოლოების (რომელსაც ზოგჯერ თან გამოსახულებებიც ახლავს) გამოყენება იმ მიზნით, რომ სხვა სოციალური მოთამაშის შეხედულება ან ქცევა შეცვალოს ან მხარი დაუჭიროს” (Dillard 2010, 203).

თუმცა, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ კონკრეტული კვლევის შედეგებს, რადგან აქ არ არის დეტალურად განხილული საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ცვლილების მიმართულებით სხვა ფაქტორების, როგორცაა, მაგალითად, რუსეთის პროპაგანდის სხვა ფორმების გავლენის საკითხი. პრაქტიკული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევა არ გვთავაზობს საქართველოში რუსეთის რბილი ძალის ხერხებისა და მიზნების ყოვლისმომცველ მიმოხილვას. თუმცა ამ კვლევაში ყურადღება კონკრეტულად გამახვილებულია რუსეთის მთავარ მიზანზე – გააღვივოს ანტიდასავლური განწყობა – და ეს განხილულია საზოგადოებაზე მედიის კოგნიტური გავლენის ობიექტივიდან.


საკვლევ საკითხთან განხილული თეორიების მისადაგებით, წარმოდგენილი თვალსაზრისი გულისხმობს იმას, რომ რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდა ქართული საზოგადოების შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლას ცდილობს.

ტრადიციულად, ეროვნულ დონეზე, არსებობს ორი მთავარი გამოკითხვა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას შეისწავლის. ამ გამოკითხვებს საქართველოში ატარებს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). მათი მასალების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში გამოყენებულ შეკითხვებს არ აქვს მეთოდურად დალაგებული სტრუქტურა, ნატომი საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პასუხების გაცემის თვალსაზრისით, სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და მასში ორი განსხვავებული მიმართულებით არის ყურადღება გამახვილებული. ერთის მხრივ, 2008-2011 წლებში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ექვსი ტალღის მონაცემების (NDI 2011, 476) რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ამ კვლევების მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად უჭერენ მხარს ქართველები საქართველოს ნატომი გაწევრიანებას. მეორე მხრივ, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2012-2018 წლებში ჩატარებული გამოკითხვები კი მიზნად ისახავს იმის შესწავლას, ემხრობა თუ არა საქართველოს მოსახლეობა საქართველოს მთავრობის მიზანს ქვეყნის ნატომი გაწევრიანებასთან დაკავშირებით (იხ.: NDI Polls 2012-2018).

კითხვების ამგვარად ჩამოყალიბება არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ამ კონკრეტული კვლევის საკითხს მეთოდურად არ მიესადაგება. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვები (IRI 2018, 30) წლების განმავლობაში თანმიმდევრულად დასმულ შეკითხვებს ეფუძნება. მისი გამოკითხვები ცდილობს განსაზღვროს, თუ რამდენად უჭერენ მხარს ქართველები ნატომი ინტეგრაციას. ამასთანავე, 2013 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვები მოიცავს შეკითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად უჭერენ ქართველები მხარს ევროკავშირში გაერთიანებას (IRI 2018, 32). აქედან გამომდინარე, მონაცემები, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მოცემულ

ნაშრომში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევებიდან არის მოძიებული. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მსჯელობა საკვლევ საკითხს არ აცდეს და განისაზღვროს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით მოსახლეობის მიერ გამოხატული სრული მხარდაჭერის ტენდენცია.

მოცემული სადოქტორო ნაშრომის ამ ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ პირველი ათწლეულის პერიოდს – 2008-2018 წლებს. შესაბამისად, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვების მიხედვით, ქართველების მხარდაჭერა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით 2008-2018 წლებში მოცემულ სქემა I-ზეა აღნიშნული.



სქემა I. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერის ცვლილება 2008-2018 წლებში. წყარო: IRI 2018: 30. სქემა შედგენილია ავტორის მიერ.

ეს მონაცემები აჩვენებს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, წლების განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. ზოგადად, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოსახლეობის სხვადასხვა დამოკიდებულებას შორის სტატისტიკური განსხვავება შეიმჩნევა.

სქემაზე ასახულია, რომ გამოკითხულთა სურვილი მერყევია, ცვალებადია, და რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ არათანმიმდევრულად კლებულობს. ამ დამოკიდებულების დეფიციტზე შესაძლოა რამდენიმე პირდაპირმა და არაპირდაპირმა მიზეზმა იმოქმედოს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მედიის კოგნიტურ ეფექტს, შეიძლება ითქვას, რომ ანტიდასავლური რუსული პროპაგანდა ამ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია განხილვის მწვავე თემას წარმოადგენს, შეკითხვები ამ თემასთან დაკავშირებით ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებს 2017 წელს დაემატა. ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდასთან შედარებით, გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) თანხმდება, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა არსებობს (NDI Polls, Results of December 2017, q.11, q.13, q.15). 2017 წლის დეკემბრიდან, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დამოკიდებულებების შესასწავლად ჩატარებული გამოკითხვების ანალიზი მიუთითებს, რომ რესპოდენტებს (53%) ქართული სატელევიზიო არხები რუსული პროპაგანდის მთავარ გამავრცელებლად მიაჩნია (NDI Polls, Results of December 2017, q.11, q.13, q.15), ხოლო გამოკითხულთა 60% კი ფიქრობს, რომ ქართული სატელევიზიო სადგურები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას. უფრო მეტიც, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის 2018 წლის მარტის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 48%-ს მიაჩნია, რომ რუსეთი საქართველოში ტყუილსა და ცრუ ინფორმაციას ავრცელებს საკუთარი ინტერესებისა და იმიჯის გაუმჯობესების პარალელურად. ამავე კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გამოკითხულთა 25% ფიქრობს, რომ ევროკავშირი, ხოლო 26% ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში ტყუილსა და ცრუ ინფორმაციას ავრცელებს საკუთარი ინტერესებისა და იმიჯის დაცვისას (NDI Polls, Results of March 2018, q. 41, q. 44, q. 46).

ამ მონაცემებიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი სურათი: მართალია ქართული საზოგადოების მხარდაჭერა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის მიმართ მცირდება, მაგრამ მოსახლეობა რუსეთის დეზინფორმაციულ ძალისხმევას ნათლად აღიქვამს. ეს შედეგები შესაძლოა არ იყოს მოულოდნელი, ან პარადოქსული, თუმცა, ადასტურებს ქართული საზოგადოების

ტენდენციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოსალოდნელი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია რუსული ანტიდასავლური პროპაგანდის მიერ, მედიასაშუალებების მეშვეობით, დისკრედიტირებულია. ყველა ეს შედეგი მიუთითებს, რომ მაკრო დონეზე ანტიდასავლური რუსული პროპაგანდა საქართველოში შედეგიანია, მაგრამ რუსების ძალისხმევა თითქმის მთლიანად ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე.

რაც შეეხება საქართველოში რუსეთის რბილი ძალის პირდაპირი თუ ირიბი ბუნების შეფასებას. კვლევის შედეგებმა შესაძლოა სრულად არ დაგვანახოს რუსეთის რბილი ძალის ბუნება საქართველოში. მაგრამ, ეს შედეგები ცხადად გვაჩვენებს, რომ მედიაში წარმოდგენილი ანტიდასავლური ნარატივით რუსეთის რბილი ძალის ქმედებები, აქტივობები პირდაპირ, ნათლადაა გამოხატული და განხორციელებული. კვლევის შედეგების გაერთიანება ამყარებს თვალსაზრისს, რომ მედიის კოგნიტური გავლენის ობიექტივიდან, საქართველოში რუსეთის მიერ მედიის, როგორც პროპაგანდის მთავარი წყაროს, გამოყენება გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. ამ შედეგების მიუხედავად, საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები კვლავ დარჩეს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დამატებითი კვლევა ჩატარდეს, რომელშიც რუსეთის რბილი ძალის ბუნება – პირდაპირი თუ ირიბი – შეფასებული იქნება რბილი ძალის სხვა ღონისძიებების, აქტივობებისა და განსხვავებული მიზნების მიხედვით. იმედია, ეს კვლევა სამომავლოდ სხვადასხვა მიმართულებით საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მცდელობას შეუწყობს ხელს.

მართალია, რუსეთის რბილი ძალის ძირითადი საშუალებისა და მთავარი მიზნის განხილვა მხოლოდ საქართველოში მისი მოქმედების შესწავლაზე ფოკუსირდებოდა, მაგრამ მიღებულ შედეგებს სამომავლო პრაქტიკისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს რამდენიმე მიმართულებით. კონკრეტულად, იმედია, კვლევის შედეგები პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ კი საქართველოში, რუსეთის რბილი ძალის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ არსებული ლიტერატურის გამდიდრებაში შეიტანს წვლილს. ამავე დროს, წინამდებარე კვლევა პრაქტიკული შედეგების მომტანი იქნება სამომავლო კვლევისთვის, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას შექმნის.

საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს

საგარეოპოლიტიკური რეალობის შეფასება საქართველოში რუსეთის მიერ გამოყენებული რბილი და ხისტი ძალის ქმედებების შესწავლის პარალელურად. კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებული გარემო, რომელშიც საქართველოს თანამედროვე საგარეოპოლიტიკური მიზნები, ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოების გარემო ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული, რუსეთის მიერ განხორციელებული რბილი ძალის მოქმედებების გამო, გამოწვევების წინაშეა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ შედეგები, რომლის მიღწევასაც რუსეთი საქართველოში რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს, შეუთავსებელია არამარტო საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, არამედ საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთანაც.

კვლევის ეს ნაწილი ეფუძნებოდა ქრეგ ჰაიდენის მიერ ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ ხედვას, რომლის მიხედვით, რბილი ძალის გასაგებად მნიშვნელოვანია შეფასდეს ის, თუ როგორ ესმის საერთაშორისო მოთამაშეს რბილი ძალის ტერმინი და როგორ იყენებს იგი მას – პირდაპირ თუ ირიბად – სტრატეგიებსა და ქმედებებში. ამ მიდგომის გამოყენებით, რუსეთის რბილი ძალის სტრატეგიისა და მოქმედებების შესაფასებლად გამოყენებული იყო ჯოზეფ ნაის მიერ წარმოდგენილი რბილი ძალის ქცევის სამი სახე – დღის წესრიგის შემუშავება, დარწმუნება და მიმზიდველობა. აქედან გამომდინარე, რუსეთის მიერ რბილი ძალის კონცეფციის შესაფასებლად, პირველად წყაროებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა თეორიულად რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგში შედარებით დეტალურადაა აღქმული. ამასთანავე, როგორც ზემოთ არის განხილული, ეროვნული ინტერესების ბუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის დღის წესრიგის შემუშავებაში.

ამ კვლევის ყველა შედეგი აჩვენებს, რომ:

- ზოგადად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველ ათწლეულში რუსეთის რბილი ძალა, ამერიკის შეერთებული შტატების რბილი ძალისგან განსხვავებით, საქართველოს მიზნის – ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია – პირდაპირ, აშკარა გამოწვევას წარმოადგენს;
- საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ რბილი ძალის სტრატეგიის ჩამოყალიბებას ირიბი, ფარული ბუნება აქვს;

- გასული ათი წელი ისტორიული მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ რუსეთის მიერ რბილი ძალის თეორიული აღქმის ევოლუციის, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც;
- ამ ათწლეულმა, რუსეთის მხრიდან წამოსულ რბილ ძალასა და პროპაგანდასთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, საქართველოსთვის საკუთარი რბილი ძალისა და სახალხო დიპლომატიის გაძლიერების აუცილებლობა დაანახვა;
- ეს პროცესი კვლავ გრძელდება. მომდევნო წლებში კი რუსეთის რბილი ძალის ქცევასთან დაკავშირებით მიღებული წარსული და აწმყო გამოცდილება გავლენას მოახდენს საქართველოს გრძელვადიანი საგარეოპოლიტიკური რეალობის სტრუქტურაზე და მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას გარკვეული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას გამოიწვევს;

### **3.2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში**

ამ ქვეთავის მიზანია იმ რეკომენდაციების შემუშავება, თუ როგორ არის შესაძლებელი 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილების გაზიარება თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილების გაზიარებას თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმის გააზრება, თუ როგორ შეეცადა შეერთებული შტატები, სახალხო დიპლომატიის საშუალებით, 1980-იან წლებში საქართველოში საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პროპაგანდასთან შეწინააღმდეგებას, გვაძლევს რაციონალური დასკვნების გაკეთებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას თანამედროვე საქართველოში რუსეთის გააქტიურებულ პროპაგანდასთან საბრძოლველად. როგორც უკვე აღინიშნა, ერთის მხრივ, სახალხო დიპლომატია რბილი ძალის წარმოქმნის, გატარების ერთ-ერთი

საშუალებათა. მეორე მხრივ კი, სახალხო დიპლომატია სახელმწიფოს როგორც საკუთარი, ასევე სხვა სახელმწიფოს მიერ გატარებული რბილი ძალის მართვაში ეხმარება. აქედან გამომდინარე, განსახილველია ის, თუ როგორ შეუძლია საქართველოს, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით, საკუთარი რბილი ძალა რუსეთის რბილი ძალის სამართავად და მასთან დასაპირისპირებლად გაატაროს.

საქართველოს აქვს დიდი გამოცდილება როგორც საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული პროპაგანდის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის აქტივობების მიმართულებით. ჩვენმა ქვეყანამ და მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოსცადა საბჭოთა კავშირის მიერ დიდი ხნის მანძილზე გამოყენებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ნეგატიური გავლენა. მეორე მხრივ, საქართველო ცივი ომის პერიოდში წარმოადგენდა იმ ერთ-ერთ რესპუბლიკას, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები საქართველოს მოსახლეობას საბჭოთა კავშირის პროპაგანდასთან გამკლავებაში ეხმარებოდა. ამ გზით ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობას ინდივიდუალური, საქართველოს კონტექსტზე მორგებული დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს აჩვენებდა. ამავე დროს, საქართველო საბჭოთა კავშირის მთავარ იდეოლოგიასთან დასაპირისპირებლად ამოქმედებული ამერიკული სახალხო დიპლომატიის დიდი სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენდა. როგორც უკვე აღინიშნა, შეერთებული შტატები, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში, სახალხო დიპლომატიის გამოყენებით საბჭოთა კავშირის იდეოლოგიაზე შიდა ზეწოლის განხორციელებას ცდილობდა. ამგვარმა ტაქტიკამ, საბოლოო ჯამში, შეერთებული შტატებისა და დასავლური სამყაროსთვის სასურველი სტრატეგიული შედეგი გამოიღო: საბჭოთა კავშირი ჩამოიშალა. 1980-იან წლებში და, ზოგადად, მთელი ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოში განხორციელებული სახალხო დიპლომატიის აქტივობებს შეიძლება ეწოდოს „ციხის შიგნიდან გატეხვის“ სტრატეგია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ დინამიურად შეიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია. თუმცა, საქართველო კვლავაც არ კარგავს აქტუალობას ამერიკული სახალხო დიპლომატიის გლობალურ სტრატეგიაში. დღესდღეობით, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ნეგატიური გავლენის



შესამცირებლად და მისთვის საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილების დაბრუნების შესაძლებლობის ხელისშეშლისკენ მიმართული ამერიკული სახალხო დიპლომატიის კონტექსტში საქართველო კვლავ ცენტრალურ ადგილს იკავებს. სამიზნე ქვეყნის საზოგადოებაში სახალხო დიპლომატიის მეშვეობით ამერიკული ფასეულობების, იდეებისა და ღირებულებების გავრცელება შეერთებული შტატებისთვის საკუთარი ფუძემდებლური ღირებულებების დაცვის გარანტია არის.

რა თქმა უნდა, საქართველოს თანამედროვე საგარეოპოლიტიკური კონტექსტი ცივი ომის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობის სფეროსგან განსხვავდება, მაგრამ 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში საბჭოთა კავშირის მიმართ გამოყენებული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებები პრაქტიკულ გაკვეთილებს რამდენიმე მიმართულებით შეიცავს. ამას განაპირობებს ის, რომ ორივე შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გამკლავება და დაპირისპირება, რომელსაც ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირი, თანამედროვე პერიოდში კი მისი მემკვიდრე რუსეთი ახორციელებს.

უპირველეს ყოვლისა, ეს მოითხოვს ჩვენი ქვეყნის **ერთიანი, ურყევი, მტკიცე საგარეოპოლიტიკური კურსის შემუშავების აუცილებლობას**. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, სამწუხაროდ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო მეტად რეაქციას ემსგავსება არსებულ გამოწვევაზე, ვიდრე რაციონალური ხასიათის გადაწყვეტილებას. სხვადასხვა საგარეოპოლიტიკური საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება რაციონალური სტრატეგიული დიპლომატიის განხორციელების შესაძლებლობას გამორიცხავს. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რაციონალურ მიდგომას ეფუძნებოდა. 1980-იან წლებში რონალდ რეიგანიც ცდილობდა საბჭოთა კავშირთან მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე დიალოგის წარმოებას, თუმცა რეიგანის ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის თვალთახედვით არ საუბრობდა: ორმხრივობის პრინციპის დაცვით, რეიგანის ადმინისტრაცია დიალოგის წარმოების პროცესში მტკიცედ უპირისპირდებოდა საბჭოთა პროპაგანდასა და დეზინფორმაციას. ის, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოზიციიდან, ეროვნული

უსაფრთხოების ინტერესებთან მიმართებით და ამერიკული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, საუბრობდა და მოქმედებდა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რუსეთის ფედერაციის მიერ გააქტიურებულ რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად ნათლად, მკვეთრად გამოხატული მიზანი ჰქონდეს. ეს მიზანი „ბოროტების იმპერიის“ დაშლის რეიგანისეულ მიზანდასახულობას მოითხოვს. მიზნის ნათლად ჩამოყალიბება აუცილებელია ურთიერთდაკავშირებული, თანმიმდევრული და პროგნოზირებადი საგარეპოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესამუშავებლად.

საქართველოს ურყევ მიზანზე მორგებულ საგარეპოლიტიკურ სტრატეგიაში აუცილებელია როგორც ხისტი, ასევე რბილი ძალის მიდგომების გონივრული, გონიერი ძალის საშუალებით გამოიყენება. ხისტი და რბილი ძალის კომბინაცია საგარეო პოლიტიკის კურსში საქართველოს როგორც ხანმოკლე, ასევე გრძელვადიან პრესპექტივაში პოზიტიურ შედეგებს მოუტანს. დეოკუპაციაზე საუბარი ხისტი ძალის გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია, რუსეთის პროპაგანდასთან გამკლავება კი მხოლოდ რბილი ძალის ამოქმედებითა და მისი გონივრული, აქტიური გამოყენებითაა შესაძლებელი.

ამ ფონზე, ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის სწორ ინტერპრეტაციას. მართალია, ხშირად ვიგებთ ტერმინებს – რბილი ძალა, პროპაგანდა, სახალხო დიპლომატია, დეზინფორმაცია – მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტერმინები არასწორი ინტერპრეტაციითა და შინაარსით არის გავრცელებული. აუცილებელია ამ მხრივ საზოგადოების ცოდნის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, ამ ტერმინების როგორც სწორი ინტერპრეტაციის გამოყენების, ასევე მასთან დაკავშირებული ტაქტიკისა და სტრატეგიის მართებულად ჩამოყალიბების შესაძლებლობას შექმნის. ინტელექტუალური რესურსების მართვასთან ერთად აუცილებელი საკითხია ფინანსური რესურსების არსებობა. საქართველო სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით პროექტებს ძირითადად შეერთებული შტატების, ნატოსა და ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური დახმარებით ახორციელებს. მაგალითად, სხვადასხვა საგრანტო პროექტის გაცემით, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა რუსულ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში უფრო მეტ

ფინანსურ რესურსს დებს, ვიდრე ამ მიმართულებით საქართველო მუშაობს. ამ საკითხში აუცილებელია საქართველოს ბიუჯეტში ცალკე ფინანსური სახსრების გამოყოფაც. საქართველოს მცირე ბიუჯეტი ან/და ეკონომიკური სისტემის არასტაბილურობა აღნიშნული მიმართულებით ცალკე ფინანსური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხების მოწერსიგებას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პრიორიტეტების, მიზნების, სტრატეგიული ამოცანების ხელახალი გამიჯვნის, განსაზღვრისა და შეფასების საჭიროებას წარმოშობს.

კიდევ ერთი მიმართულება რუსულ პროპაგანდასთან და რბილ ძალასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგში ნარატივის გააქტიურების საჭიროებაა. **საპრეზიდენტო, საპარლამენტო რიტორიკაში ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, ხშირი საუბარი, სამთავრობო დისკუსია აუცილებელია.** ამგვარი მიდგომით უნდა გამოიხატოს ხელისუფლების მზაობა – ქვეყანა რუსეთის რბილ ძალას დაუპირისპირდეს. თუმცა, ეს ნამდვილად კომპლექსური საკითხია.

როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, **სახალხო დიპლომატია არა მხოლოდ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს, არამედ ის ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქმედით ინსტრუმენტად უნდა ჩამოყალიბდეს.** ამისთვის, აუცილებელია, შიდასახელმწიფოებრივი, უწყებათაშორისი ძალისხმევების გააქტიურება, რუსეთის რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად **სამოქმედო სამთავრობო ჯგუფების შექმნა, სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება.** სახალხო დიპლომატია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად და განსამტკიცებლად უნდა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს, ჩამოყალიბდეს და დარეგულირდეს სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტის ორგანიზაციული და სტრუქტურული საკითხები. რა თქმა უნდა, რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირება მოითხოვს კვალიფიციურ, ცოდნასა და კვლევაზე დაფუძნებულ ხანგრძლივ სტრატეგიას, რომელიც რუსეთის რბილ ძალას თანდათან შეეწინააღმდეგება და საბოლოოდ მის უკუგდებას მოახერხებს. სწორედ ამგვარი ტაქტიკით შეეცადა რეიგანი 1980-იან წლებში საბჭოთა იდეოლოგიასთან გამკლავებას. საქართველოს თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ შეერთებული შტატების, ნატოსა და

ევროკავშირის მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის გამტარებელ ქვეყანად დარჩეს, არამედ თავად ჩართოს ამგვარი აქტივობების შემუშავებაში, ორგანიზებასა და განხორციელებაში. საქართველოში გააქტიურებული რუსეთის რბილი ძალის აქტივობებთან გამკლავება საკუთრივ საქართველოს ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის ღრმა, ყოვლისმომცველ გააზრებასა და ამ კონტექსტზე მორგებული მრავალმხრივი, სტრატეგიული ნაბიჯების შემუშავებას მოითხოვს. საგარეო პოლიტიკის რესურსების კომპლექსურ ამოქმედებასთან ერთად კი აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გააქტიურება.

1980-იან წლებში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის სახალხო დიპლომატიის სტრატეგიის განხორციელებაში სამთავრობო ძალისხმევასთან ერთად, აქტიურად უნდა იყო ჩართული კერძო სექტორი. არასამთავრობო სექტორის – არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ორგანიზაციები, სამოქალაქო ინიციატივების ჯგუფები, აკადემიური დაწესებულებები, მედია – ჩართვა რუსეთის რბილ ძალასთან გასამკლავებლად საქართველოს ბევრი მიმართულებით გამოადგება. ჯერ ერთი, ამგვარი მიდგომა რესურსების რაციონალურად გადანაწილების შესაძლებლობას შექმნის. მეორე მხრივ, კი გააქტიურდება სამეცნიერო ხასიათის კვლევები და დებატები, რომელიც საგარეო პოლიტიკის სფეროს მესვეურებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების პლატფორმას შეუქმნის. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ეფექტურობასა და სიძლიერეს საფუძველს ისიც უქმნის, რომ ამერიკელი დიპლომატები მუდმივად იყენებენ მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებულ ინფორმაციას და მუდმივ დიალოგს აწარმოებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. აუცილებელია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის შემუშავებისა და დიპლომატიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იქნას გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული მასალები.

რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირება საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი და უწყებათაშორისი ძალისხმევის გააქტიურებასა და განვითარებას მოითხოვს. უწყებათაშორისი ძალისხმევა გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის კაბინეტთან ერთად სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლობითი ჯგუფების შექმნასა და მუდმივი, კოორდინირებული საქმიანობის წარმართვას. ამ მხრივ, ყველაზე დიდი როლი

ეკისრება საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს.

რუსეთის რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსში პრაქტიკული ნაბიჯები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს: აუცილებელია საქართველოს ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ გამოყენებული რუსული პროპაგანდისა და რბილი ძალის გამოვლენა, კლასიფიკაცია და მასზე, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყების წარმომადგენლების კოორდინირებული მუშაობით, სამთავრობო ანგარიშების მომზადება. რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში სხვადასხვა უწყებათაშორისი ჯგუფი და სამთავრობო უწყება, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა საბჭო, აქვეყნებდა ყოველწლიურ ანგარიშებს, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა კავშირის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ხასიათი, მახასიათებლები, მიზნები. ამგვარი ყოველწლიური, ან მით უმეტეს ყოველთვიური ანგარიშების მომზადება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. აუცილებელია ისინი შინაარსობრივად აერთიანებდეს როგორც რუსულ პროპაგანდულ ნარატივს, ასევე მის დეზინფორმაციულ ნაბიჯებს, ქმედებებს, რესურსებსა და ტაქტიკას. ასევე, ციფრული დიპლომატიის ხანაში, ეფექტურ შედეგს გამოიღებს სოციალურ მედიაში რუსული პროპაგანდული ნარატივის გამოვლენა და მასზე სხვადასხვა ინტენსივობით ანალიტიკური ანგარიშების მომზადება, რომელიც, საქართველოს მოსახლეობაში, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით გავრცელდება. მნიშვნელოვანია, რომ სამთავრობო ანგარიშები და ანალიტიკური მასალები მომზადდეს არა მარტო ქართულ, არამედ აზერბაიჯანულ, სომხურ და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ენაზე, რადგან, რუსეთის პროპაგანდის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს სწორედ საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქმნიან. საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან საწინააღმდეგოდ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ამოქმედებული სახალხო დიპლომატიის აქტივობები გვაჩვენებს, რომ საქართველომ ამ მიმართულებით უფრო აქტიურად და ქმედითად უნდა იმუშავოს. რუსული დეზინფორმაციული ქმედებების საპირისპირო ღონისძიებების გატარებამდე კი მნიშვნელოვანია რუსული რბილი ძალის აქტივობები და მიზნები ყოველმხრივ შეფასდეს.

გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია დაიხვეწოს საქართველოს განათ-

ლების სისტემა და განათლების საბაზისო დონეზე სკოლაში დაინერგოს მედიაწიგნიერების სწავლება და 21-ე საუკუნის უნარჩვევების – როგორცაა, მაგალითად, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება – გამომუშავებისა და გაძლიერებისკენ მიმართული ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები. მედიაწიგნიერი ადამიანი ფლობს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც მას ყალბი, მცდარი, დეზინფორმაციული, პროპაგანდული შინაარსის მქონე ინფორმაციის ამოცნობასა და ობიექტური, გაუყალბებელი, ჭეშმარიტი ინფორმაციის მოძიებაში ეხმარება.

თანამედროვე საქართველოში რუსეთის რბილი ძალისა და დეზინფორმაციის დაპირისპირების კონტექსტში ეფექტური შედეგის მომტანი ამ ეტაპზე არ/ვერ შეიძლება იყოს რუსეთის მოსახლეობასთან საქართველოს მხრიდან ხალხთაშორისი კავშირების გაღრმავება გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობით. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ საქართველოს რუსულ ანტიპროპაგანდულ სამთავრობო სტრატეგიაში სახალხო დიპლომატიის სამიზნე ჯგუფი უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობა, რადგან სწორედ მისკენ მიემართება რუსეთის რბილი ძალა და არა რუსეთის საზოგადოება. ამისთვის უფრო ეფექტურ შედეგს გამოიღებს საქართველოს მოსახლეობასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის (Public Affairs) სტრატეგიების გამოყენება, მათ შორის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გაძლიერება და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ თემებზე, რომელთან დაკავშირებითაც რუსეთი დეზინფორმაციას ავრცელებს. პროდასავლურად მოაზროვნე საქართველოს საზოგადოების ნაწილი კარგად ხვდება რუსეთის პროპაგანდულ ნარატივს და ნათლად ხედავს მის ნეგატიურ მიზნებსა და საფრთხეებს. ამასთან დაკავშირებით, პარადოქსია, რომ საქართველოს საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ცივი ომის პერიოდში საკუთარ თავზე გამოსცადა საბჭოთა კავშირის პროპაგანდული და დეზინფორმაციული ღონისძიებები, უფრო ადვილად ექცევა რუსეთის რბილი ძალის გავლენის ქვეშ. ამას არაერთი ფაქტორი განაპირობებს. თუმცა, ამ მიმართულებით გამოსაკვეთია აღნიშნული თაობის წარმომადგენლების მიერ ევროპული ენების არცოდნა ან/და ნაკლები ცოდნა. მათთვის რუსული მეორე ენა იყო. ისინი, კვლავ საბჭოური ნოსტალგიით გამოირჩევიან, ძირითადად უყურებენ რუსულ ტელეარხებს ან ქართულ ტელესივრცეში რუსული პროპაგანდით გაჯერებულ სატელევიზიო გადაცემებს, კითხულობენ დეზინფორმაციულ პრესას, რაც მათ იდეოლოგიურად

კვლავ რუსული რბილი ძალის ნარატივის მიმართ ხდის მიდრეკილს.

როგორც ვხედავთ, აუცილებელია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებულ რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად საქართველომ:

- გადადგას საგარეო პოლიტიკის კურსში კომპლექსური, კოორდინირებული და ქმედითი ნაბიჯები;
- გამოხატოს რეიგანისეული მიზანდასახულობა და შეიმუშავოს რაციონალური, ურთიერთდაკავშირებული, თანმიმდევრული და პროგნოზირებადი საგარეოპოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა;
- გამოიყენოს გონივრულად ხისტი და რბილი ძალის მიდგომები;
- გადაანაწილოს რაციონალურად ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები;
- გააძლიეროს ამ თემატიკაზე სამთავრობო დისკუსია;
- ჩამოაყალიბოს სახალხო დიპლომატია საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად;
- გამოიყენოს სახალხო დიპლომატია ეროვნული უსაფრთხოების ქმედით ინსტრუმენტად;
- გააქტიუროს შიდასახელმწიფოებრივი და უწყებათაშორისი ძალისხმევა;
- გარდაქმნას საკუთარი თავი შეერთებული შტატების, ნატოსა და ევროკავშირის მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის გამტარებელი ქვეყნის პოზიციიდან ამ აქტივობების შემუშავებისა და ორგანიზების განმახორციელებელ ქვეყნად;
- შეიმუშავოს საქართველოს კონტექსტზე მორგებული მრავალმხრივი, სტრატეგიული ნაბიჯები;
- გაზარდოს არასამთავრობო სექტორის როლი რუსეთის რბილ ძალასთან გამკლავების ღონისძიებებში;
- დახვეწოს განათლების სისტემა მასში მედიაწიგნიერების ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებით.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები 1980-იანი წლების საქართველოში. კვლევის შედეგები საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. როგორც დავინახეთ, საკითხის ანალიზისთვის მნიშვნელოვანი იყო კვლევის რამდენიმე ნაწილად დაყოფა. კვლევის წარმართვისთვის გამოიკვეთა როგორც 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების შესწავლის, ასევე 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიმართ შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ზოგადი მიზნების წარმოჩენის აუცილებლობა.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შეჯამებულია კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი დასკვნები და დებულებები, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს.

**1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები.** ნაშრომის ამ ნაწილმა საკითხის ანალიზისთვის თეორიული ნიადაგი მოამზადა. კვლევის ფარგლებში განისაზღვრა, რომ ფართო გაგებით, რბილი ძალა ეხმარება ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარი მიზნები და სურვილები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვისაც სასურველი გახადონ; სახალხო დიპლომატიის ამოქმედება სახელმწიფოს რბილი ძალის გავრცელებასა და გამოყენებაში ეხმარება. ზოგადად, სახალხო დიპლომატია გამოხატავს მთავრობის ძალისხმევას, სხვადასხვა მეთოდითა და აქტივობებით, პირდაპირი კავშირი დაამყაროს უცხოურ საზოგადოებებთან. კვლევამ აჩვენა, რომ 1980-იან წლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის ისტორიოგრაფიაში. რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციაში სახალხო დიპლომატიის მიმართ ინტერესი საპრეზიდენტო გამოსვლებში გამოიხატა. სხვადასხვა მასალის განხილვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 1980-იან წლებში ამერიკული სახალხო დიპლომატია განისაზღვრებოდა, როგორც ინფორმირებისა და გავლენისთვის გამიზნული პროგრამების ერთობლიობა, საერთაშორისო პოლიტიკური ადვოკატირების ფორმა და იდეოლოგიური ტრენდების



ფორმირებისთვის აუცილებელი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა ტრადიციული ამერიკული დიპლომატია. სახალხო დიპლომატია რეიგანისთვის იმ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც, დიალოგის გზით, ბიპოლარულ სამყაროში, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული განსხვავება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა დაერეგულირებინა. ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს გადმოსახედიდან, 1980-იან წლებში ამერიკულ სახალხო დიპლომატიას უნდა შეექმნა ძლიერი დემოკრატიის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელშიც მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი ბედის განსაზღვრის შესაძლებლობა ექნებოდა. რონალდ რეიგანის სურვილი, ძალის საშუალებით მიეღწია მშვიდობისთვის, საგარეო პოლიტიკის კურსში სახალხო დიპლომატიის გამოყენებას გულისხმობდა. აქედან გამომდინარე, მშვიდობა რეიგანისთვის მიღწევადი საგარეოპოლიტიკური მიზანი იყო, სახალხო დიპლომატია კი ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება გახდა. ამ უკანასკნელის დაგეგმვას, ისტორიულ კონტექსტთან ერთად, თავად რონალდ რეიგანის პიროვნულმა ხასიათმაც შეუწყო ხელი.

კვლევამ აჩვენა, რომ 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა და, რომ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებდა. 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატია არა მხოლოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან, არამედ მის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. გამოიკვეთა, რომ 1980-იან წლებში სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ელემენტი როგორც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში, ასევე ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივებში ჩამოყალიბდა. ამ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებით ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივებიდან საყურადღებოა ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების დირექტივები № 45, № 77, № 75 და № 130.

გარდა ამისა, რეიგანი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ ურთიერთობაზე ყურადღებას თავის გამოსვლებშიც ამახვილებდა.

სახალხო დიპლომატიისა და აშშ-საბჭოთა კავშირის კონტექსტთან დაკავშირებით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რეიგანის გამოსვლა ბრიტანეთის პარლამენტში და მისი სიტყვა დასავლეთ ბერლინში.

რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში სახალხო დიპლომატია, სტრუქტურულად, შინაარსობრივად და მიზნობრივად დაიხვეწა, განვითარდა და საგარეო პოლიტიკის სფეროში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად რეიგანის ადმინისტრაცია, სახალხო დიპლომატიის გამოყენებით, საბჭოთა იმპერიალიზმთან გარეგნული წინააღმდეგობის გამოხატვით, საბჭოთა კავშირზე შიგნიდან ზეწოლით, საბჭოთა იმპერიალიზმის წყაროების დასუსტებასა და წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკებების გამოყენებას ისახავდა მიზნად. ამ გზით შეერთებული შტატების ხელისუფლება საბჭოთა კავშირის მთავარ იდეოლოგიასთან – კომუნიზმთან შეწინააღმდეგებასა და, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის რღვევას ისახავდა მიზნად.

**1980-იან წლებში საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები.** ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა ორ ნაწილს მოიცავდა. პირველ ნაწილში განისაზღვრა შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ზოგადი მიზნები საბჭოთა კავშირის მიმართ 1980-იან წლებში. კვლევის მეორე ნაწილში კი ყურადღება გამახვილდა 1980-იანი წლების საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლაზე. საბჭოთა კავშირის მიმართ 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლა გვაჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის აქტივობები განსხვავდებოდა მისი პირველი და მეორე საპრეზიდენტო ადმინისტრაციის პერიოდში. 1981-1984 წლებში რეიგანის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მიერ გავრცელებული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გასაწეიტრალებლად. რეიგანის ადმინისტრაცია ამას შეერთებული შტატების შესახებ უტყუარი, ობიექტური ინფორმაციის გავრცელებით ცდილობდა. ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც აქტიურ ფაზაში გადასვლას მოითხოვდა.

1985 წლიდან, სახალხო დიპლომატიის ღონისძიებების თვალსაზრისით,

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ახალი ეტაპი დაიწყო. ამ ეტაპს, შესაძლოა, აქტიური ფაზა და მოქმედების ეტაპი ვუწოდოთ. რეიგანის ადმინისტრაცია, ამ ყველა აქტივობით ცდილობდა ხელი შეეწყო ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისთვის, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი, კონსტრუქციული დიალოგის დამყარებისთვის, პირადი კავშირების აღდგენისა და შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს შესახებ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის არასწორი შეხედულებების გაქარწყლებისთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ 1980-იან წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები მოიცავდა ამერიკელ და ქართველ ხალხს შორის კავშირის დამყარებასა და განვითარებას, რაც, მათ პირდაპირი დიალოგის, ამერიკული კულტურისა და საზოგადოების კომპლექსური გააზრების, საბჭოთა ყოფასთან მისი შედარების, რეალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევდა და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პროპაგანდასთან გასამკლავებლად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ამერიკული სახალხო დიპლომატია მიზნად ისახავდა შეერთებული შტატებისა და საქართველოს მოსახლეობას შორის უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას, თანამშრომლობის დამყარებასა და მის შემდგომ გაღრმავებას. ამგვარი მიდგომა საქართველოს მოქალაქეებს უნდობლობითა და გაუგებრობით გამოწვეული შიშის დაძლევაში ეხმარებოდა და შეერთებული შტატების მხრიდან საბჭოთა კავშირზე შინაგანი იდეოლოგიური ზეწოლის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებით საქართველოში 1980-იან წლებში ვრცელდებოდა ამერიკული იდეები და ფასეულობები. ამერიკულმა სახალხო დიპლომატიამ, თანდათანობით განახორციელა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიაზე დარტყმები და მის დასაშლელად ნიადაგი მოამზადა.

**ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გაკვეთილები თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის.** კვლევის ეს ნაწილი საკითხს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას მატებს. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოში რუსეთის მიერ გააქტიურებული რბილი ძალის შეფასებამ გვაჩვენა, რომ ზოგადად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველ ათწლეულში, რუსეთის

რბილი ძალა, ამერიკული რბილი ძალისგან განსხვავებით, საქართველოს მიზნის – ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია – პირდაპირ, აშკარა გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ რბილი ძალის სტრატეგიის ჩამოყალიბებას ირიბი, ფარული ბუნება აქვს. შედეგები ცხადად აჩვენებს, რომ მედიაში წარმოდგენილი ანტიდასავლური ნარატივით რუსეთის რბილი ძალის ქმედებები, აქტივობები პირდაპირ, ნათლადაა გამოხატული და განხორციელებული. ამის საპირისპიროდ, ამერიკული სახალხო დიპლომატია ეფუძნება ორმხრივად ურთიერთხელსაყრელ პრინციპს და ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხების – მათ შორის, სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიმართულებით – მოწესრიგებაში გვცხმარება. თანამედროვე საქართველოში, რუსეთის რბილი ძალისგან განსხვავებით, ამერიკული რბილი ძალის ინსტრუმენტები ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ არ გამოიყენება.

გასული ათი წელი ისტორიული მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ რუსეთის მიერ რბილი ძალის თეორიული აღქმის ევოლუციის, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც. ამ ათწლეულმა, რუსეთის მხრიდან წამოსულ რბილ ძალასა და პროპაგანდასთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, საქართველოსთვის საკუთარი რბილი ძალისა და სახალხო დიპლომატიის გაძლიერების აუცილებლობა დაანახვა. ეს პროცესი კვლავ გრძელდება. მომდევნო წლებში კი რუსეთის რბილი ძალის ქცევასთან დაკავშირებით მიღებული წარსული და აწმყო გამოცდილება გავლენას მოახდენს საქართველოს გრძელვადიანი საგარეოპოლიტიკური რეალობის სტრუქტურაზე და მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას გარკვეული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას გამოიწვევს.

პირველად წყაროებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ამერიკული რბილი ძალის რუსეთისეული ხედვა თეორიულად რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგში შედარებით დეტალურადაა აღქმული. ამასთანავე, ეროვნული ინტერესების ბუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის დღის წესრიგის შემუშავებაში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ შედეგები, რომლის მიღწევასაც რუსეთი საქართველოში რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს, შეუთავსებელია არამარტო საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, არამედ საგარეოპოლიტიკურ

პრიორიტეტებთანაც. კვლევის შედეგების გაერთიანება ამყარებს თვალსაზრისს, რომ მედიის კოგნიტური გავლენის ობიექტივიდან, საქართველოში რუსეთის მიერ მედიის, როგორც პროპაგანდის მთავარი წყაროს, გამოყენება გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. მონაცემებზე დაკვირვებით გაირკვა, რომ მართალია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ქართული საზოგადოების მხარდაჭერა მცირდება, მაგრამ მოსახლეობა რუსეთის დეზინფორმაციულ ძალისხმევას ნათლად აღიქვამს. კვლევით დადგინდა, რომ მაკრო დონეზე ანტიდასავლური რუსული პროპაგანდა საქართველოში შედეგიანია, მაგრამ რუსების ძალისხმევა თითქმის მთლიანად ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე.

1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის გამოცდილების გამოყენების თვალსაზრისით, გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებულ რბილ ძალასთან დასაპირისპირებლად უნდა გადაიდგას საგარეო პოლიტიკის კურსში კომპლექსური, ფრთხილი, კოორდინირებული და ქმედითი ნაბიჯები. მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მესვეურებმა გამოხატონ რეიგანისეული მიზანდასახულობა და შეიმუშაონ რაციონალური, ურთიერთდაკავშირებული, თანმიმდევრული, პროგნოზირებადი საგარეოპოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა. საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკის კურსში ხისტი და რბილი ძალის მიდგომების გონივრული გამოყენება რუსეთის ჰიბრიდული ომის ტაქტიკასთან გასამკლავებლად აუცილებელია. ამავე საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გადამზადდნენ საგარეო პოლიტიკის მესვეურები, რათა ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია სახალხო დიპლომატიის სფეროში. ამასთანავე, აუცილებელია რაციონალურად გადანაწილდეს საქართველოს ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები და გაძლიერდეს სამთავრობო დისკუსია ჰიბრიდული ომის, სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის მიმართულებით.

რუსეთის რბილ ძალასთან დაპირისპირების კონტექსტში საგულისხმოა სახალხო დიპლომატიის ჩამოყალიბება საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად. ამასთანავე, პოზიტიური შედეგების მომტანია ეროვნული უსაფრთხოების ქმედით ინსტრუმენტად სახალხო დიპლომატიის გამოყენება. ამგვარ

მიდგომებთან ერთად, უწყებათაშორისი ძალისხმევის გააქტიურება, საქართველოს კონტექსტზე მორგებული მრავალმხრივი, სტრატეგიული ნაბიჯების შემუშავება არ უნდა დარჩეს სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღმა. ასევე, მნიშვნელოვან რესურსს შექმნის არასამთავრობო სექტორის ჩართულობის გაძლიერება და განათლების სისტემის დახვეწა. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი საქართველოს დაეხმარება გარდაქმნას საკუთარი თავი შეერთებული შტატების, ნატოსა და ევროკავშირის მიერ წარმოებული სახალხო დიპლომატიის გამტარებელი ქვეყნის პოზიციდან ამ აქტივობების შემუშავებისა და ორგანიზების განმახორციელებელ ქვეყნად. საბოლოოდ, ამან შეიძლება მოამზადოს ნაყოფიერი ნიადაგი რუსეთის რბილ ძალასთან თანდათან გამკლავებისა და საბოლოოდ, მისი უკუგდების მიმართულებით.

**კვლევის შედეგების თეორიული გამოყენება.** შესასწავლი საკითხის ამ ვიწრო მიმართულებით კვლევის თეორიული მნიშვნელობა და სიახლე გამოიხატება იმ ფაქტით, რომ, მოცემულ ნაშრომში შესწავლილი როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საქართველოში 1980-იან წლებში, ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში გააქტიურებული რუსეთის რბილი ძალა – საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა.

კვლევის შედეგები სიახლის მომტანი იქნება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის, სახალხო დიპლომატიის, რბილი ძალის, ეროვნული უსაფრთხოების, რონალდ რეიგანის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის, პროპაგანდის, ცივი ომის, საბჭოთა კავშირის საკითხების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

ასევე, საქართველოში რუსეთის რბილი ძალის შესწავლით, ეს კვლევა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საკითხის სისტემური შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, კერძოდ კი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სფეროში რბილი ძალის მნიშვნელობის შესახებ არსებული დებატების საკითხების გასაღრმავებლად. კვლევის შედეგები ასევე სიახლის მომტანი იქნება პოსტსაბჭოთა სივრცეში, კონკრეტულად საქართველოში, რუსეთის რბილი ძალის ქმედებასთან დაკავშირებით არსებული

თეორიული და აკადემიური დისკუსიების განვითარებისთვის; გარდა ამისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებით სახალხო დიპლომატიის, ძალის სხვადასხვა სახის, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის, ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართულებით არსებული დებატების განვითარებისთვის.

აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგები ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის, საგარეო პოლიტიკისა და სახალხო დიპლომატიის მიმართულებით ახალი კვლევების წარმოებისთვის თეორიულ მასალად იქნება გამოყენებული.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება.** 1980-იანი წლების შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მემკვიდრეობის ანალიზმა საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის კონკრეტული წინადადებების შემუშავების საშუალება მომცა. ეს კი მოცემული ნაშრომის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებასა და შედეგების გამოყენებას შეუწყობს ხელს. სადოქტორო დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციები საინტერესო იქნება ქართული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის, კერძოდ, სახელმწიფო ლიდერებისთვის, დიპლომატებისთვის, საგარეო პოლიტიკის მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის, ექსპერტებისთვის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის და ა.შ. აღნიშნული კვლევა მათ სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესებასა და პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარება.

ასევე, შედეგები გამოყენებული იქნება ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული სამომავლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ინტერდისციპლინურ კვლევებისას. ეს ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას ზრდის.

კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, საყურადღებოა ისიც, რომ მიღებული მასალები ძირითად და დამხმარე სასწავლო მასალად იქნება გამოყენებული საუნივერსიტეტო კურსებში, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო სალექციო კურსებზე, როგორებიცაა, მე-20 საუკუნის ამერიკული დიპლომატია, ამერიკის შეერთებული შტატების მე-20 საუკუნის

ისტორია, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორია. ასევე, ეს მასალები ძირითად და დამხმარე მასალად იქნება გამოყენებული ჩემს სალექციო კურსებში – მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია და სხვა, რომლებსაც წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე ვკითხულობ. ამასთანავე, ეს მასალები ინტეგრირებული იქნება ჩემს სამომავლო სალექციო კურსებშიც.

**კვლევის შედეგების მიმართება კვლევის ჰიპოთეზასთან.** კვლევის შედეგების განზოგადება ცხადყოფს, რომ კვლევის ჰიპოთეზა – 1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში სახალხო დიპლომატიის აქტივობების განხორციელებით ცდილობდა საბჭოთა კავშირის შიგნიდან დაშლისთვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას – რეალობას შეესაბამება. თუმცა, ამ მიმართულებით აუცილებელია სამომავლოდ კვლევა მულტიპერსპექტიულ ჭრილში გაღრმავდეს.

**საკითხის შემდგომი შესწავლისთვის ჩასატარებელი კვლევების რეკომენდაციები.** საკითხის შემდგომი შესწავლისთვის პერსპექტიული იქნება რამდენიმე მიდგომის გათვალისწინება. მაგალითად, ინტერვიუების ჩატარება ამერიკელ დიპლომატებთან, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მრჩეველთა საბჭოს, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, თეთრ სახლსა და მოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოში 1980-იან წლებში მომუშავე პიროვნებებთან. მათთან ინტერვიუების ჩაწერა საკვლევი საკითხისა და ჰიპოთეზის ამერიკულ ჭრილში განხილვის შესაძლებლობას შექმნის.

ასევე, სამომავლო კვლევების ჩასატარებლად რეკომენდირებული შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1980-იან წლებში განხორციელებული სახალხო დიპლომატიის მიზნების შესწავლაც. ამ რესპუბლიკებში 1980-იან წლებში შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებისა და მიზნების კვლევა მათი შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს. ამგვარი მიდგომა დაგვეხმარება ცივი ომის პერიოდის ამერიკული სახალხო დიპლომატიის ტენდენციის შეფასებაში.



ამასთანავე, საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას შექმნის, მაგალითად, რეიგანისა და მიხეილ გორბაჩოვის მიმოწერისა და საუბრის ჩანაწერების ანალიზიც, რომელიც ჯეისონ სალთუნ-ებინის (Jason Saltoun-Ebin) წიგნებშია თავმოყრილი (იხ.: Saltoun-Ebin 2010; Saltoun-Ebin 2012; Saltoun-Ebin 2013; Saltoun-Ebin 2014).

ამგვარი მიდგომა, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, საკითხის უფრო ვრცელი, სრული სურათის წარმოდგენაში დაგვეხმარება. მიმაჩნია, რომ სახალხო დიპლომატიის სფეროს საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია ინტერვიუების ჩატარება საქართველოს საგარეო უწყების გადაწყვეტილების მიმღებ პირებთანაც. ეს და სხვადასხვა თემატური მიდგომა, საკითხის გასაღრმავებლად და გასაფართოვებლად ახალი ჰიპოთეზებისა და შედეგების ჩამოყალიბების შესაძლებლობას შექმნის.

ვფიქრობ, აღნიშნული კვლევის შედეგებს ახალი საკვლევი საკითხები დაეფუძნება. ამ მიმართულებით, აღნიშნულ სადოქტორო დისერტაციაში წარმოდგენილი მასალები და ინფორმაცია ახალი კვლევის წარმოების პერსპექტივას ქმნის.

## ბიბლიოგრაფია

### 1. წყაროები და დოკუმენტური მასალები:

#### ა) საარქივო მასალები

1. ამერიკელ სენატორთა ჯგუფის საქართველოში მიღების მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა. – 14.04.-15.04.1985. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1359.
2. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოსკოვში ბ-ნ ჯორჯ მეტლოკის ვიზიტი საქართველოში. 16.12.-18.12.1987. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1450.
3. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის დაგეგმის დეპარტამენტის ბიუროს დირექტორის ბ-ნ რ.სოლომანის საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 03.11.-06.11.1988. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1476.
4. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ჯ. შულცის მეუღლითურთ საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 26.04.-25.04.1988. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1472.
5. აშშ-ის სენატორთა დელეგაციის საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 26.08.-28.08.1983. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1304.
6. აშშ-ს საელჩოს მრჩევლის ბ-ნ ჰენრი ლ.კლარკის თბილისში სტუმრობის ანგარიში. 09.02.-10.02.1984. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1331.
7. გაზეთ „უოლ-სტრიტ ჟურნალ“-ის კორესპონდენტის დევიდ ბრენდის საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 25.01.-29.01.1983. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1294.
8. დიდი ბრიტანეთისა /რეიტერის სააგენტოს/ კორესპონდენტის ჯონ კამპფნერისა და ასოშიეტედ პრესის /აშშ/ კორესპონდენტ კაროლ უილიამსის საქართველოში

- სტუმრობის ანგარიში. 23.03.-27.03.1986. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1415.
9. კალიფორნიის შტატის / აშშ/ საქმიანი წრეების დელეგაციის, ქ.სანფრანცისკოს სავაჭრო პალატის დირექტორის ჯონ ჯეკობსის მეთაურობით საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 21.06.-24.06.1983. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1300.
  10. „ნიუორკ ტაიმის“ ბიუროს გამგის მოსკოვში ბ-ნ ფილიპ ტაუბმენის საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 16.02.-22.02.1987. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1449.
  11. პოლონელი, კანადელი, ამერიკელი, გაიანის, ბელგიელი, არგენტინელი და ბულგარელი დიპლომატიური წარმომადგენლების საქართველოში სტუმრობის პროგრამები. 1985. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1394.
  12. რადიოსადგური „ამერიკის ხმის“ დირექტორის ბ-ნ რიჩარდ კარლსონის მეუღლითურთ საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 15.12.-17.12.1987. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1446.
  13. სამინისტროში ჩაწერილი საუბარი აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელთან ჯ.ორდუეისთან და მეორე მდივან მ.მატეროსთან. 09.06.1986. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1426.
  14. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული წერილი ამერიკელი კორეპონდენტის ანტერო პიეტელისთვის საქართველოში ყოფნისას სასარგებლო პროპაგანდის გაწევისათვის. 12.03.1986. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1440.
  15. სსრკ-ში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ა.ჰარტმანის საქართველოში სტუმრობის ანგარიში. 27.03.-31.03.1982. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1264.
  16. ცნობა აშშ-ს კონგრესმენის უილიამ მ.ლიმანის /მეუღლითა და სამი თანაშემწით/ საქართველოში სტუმრობის შესახებ. 23.10.-26.10.1984. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1346.
  17. ცნობა კალიფორნიის შტატის დამოუკიდებელი ტელეკომპანიის

წარმომადგენელთა და ამერიკის გადამღები ჯგუფის /ეი-ბი-სი/ თბილისში სტუმრობის შესახებ. 19.10.-22.10.1985. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1398.

18. ცნობა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თ.გორდელაძის საუბრის შესახებ გაზეთ „ბოსტონ კლუბ“-ის დიპლომატიურ კორესპონდენტთან უილიამ ბიჩერთან. 23.06.1981. 23.06.1981. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი №1206, აღწერა №2, საქმე №1252.
19. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (April 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
20. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (June 1982 – August 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
21. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (March 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
22. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (May 1982) (1)(2). The Ronald Reagan Presidential Library.
23. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (November 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
24. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (October 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
25. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (September 1981 – February 1982). The Ronald Reagan Presidential Library.
26. Blair, Dennis: Files. Box 4. Public Diplomacy 1982 (September 1982) (1)(2). The Ronald Reagan Presidential Library.
27. Congress of the United States, House of Representatives. Letter to Charles Z. Wick. March 21, 1985. The Ronald Reagan Presidential Library.
28. Deputy Chief of Staff, Office of the. McManus, Michael: Files. Box 29. London: Summit Public Diplomacy. London Summit: Meeting on Summit Public Diplomacy 05/10/1984 4:00pm Roosevelt Room. The Ronald Reagan Presidential Library.
29. European and Soviet Affairs Directorate, NSC: Records. Box 12. Public Diplomacy 1983 (1)-(19). Public Diplomacy. The Ronald Reagan Presidential Library.
30. Implementing the Geneva Exchanges Initiative 1986: Implementing the Geneva

- Exchanges Initiative. National Security Decision Directive Number 223. 22.04.1986. The Ronald Reagan Presidential Library.
31. Korengold, Robert J. (Bud): Files. Box 1. Reagan-Gorbachev Geneva Meeting 11.19.1985-11.20.1985: Inter-Agency Group on Arms Control and SDI Public Diplomacy. The Ronald Reagan Presidential Library.
  32. Ledsky, Nelson C.: Files. RAC Box 9. Moscow Summit Public Diplomacy 05.26.1988-06.03.1988. The Ronald Reagan Presidential Library.
  33. Matlock, Jack F.: Files. Box 44. (United States Information Agency) USIA Conference on Public Diplomacy London. 03.03.1986-03.04.1986. The Ronald Reagan Presidential Library.
  34. Matlock, Jack F.: Files. Box 50. Geneva Meeting: Coordinating Committee Public Diplomacy, November 1985 (1)(2). The Ronald Reagan Presidential Library.
  35. Matlock, Jack F.: Files. Box 53. Geneva Meeting: Public Diplomacy-General. The Ronald Reagan Presidential Library.
  36. Matlock, Jack F.: Files. Box 53. Geneva Meeting: Public Diplomacy-Strategic Defense Initiative. The Ronald Reagan Presidential Library.
  37. Matlock, Jack F.: Files. Box 55. Summit 1986 – US Advisory Commission on Public Diplomacy. The Ronald Reagan Presidential Library.
  38. Matlock, Jack F.: Files. Box 57. Reykjavik Meeting Public Diplomacy/Presidential Statements 10.12.1986-10.13.1986. The Ronald Reagan Presidential Library.
  39. Matlock, Jack F.: Files. Box 62. Papers Ambassador Matlock took to Moscow; Miscellaneous [US-USSR Fusion Reactor; Geneva Public Diplomacy, US-USSR Communiqué]. The Ronald Reagan Presidential Library.
  40. Matlock, Jack. F., U.S. Exchange Programs in the Soviet Union. Memorandum for William P. Clark. 06.10.1983. The Ronald Reagan Presidential Library.
  41. Memorandum 28.11.1984: Memorandum for Soviet Political Action Working Group. Soviet Anniversaries Significant for Public Diplomacy. 28.11.1984. The Ronald Reagan Presidential Library.
  42. President's Handwriting. White House Office of Records Management: Presidential Handwriting File (Copy Set). Box 29 – Speeches, Folder 577. 09.16.1987 Conference on U.S. Advisory Commission on Public Diplomacy 506708 SP 1180. The Ronald Reagan

Presidential Library.

43. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (01.01.1984-03.31.1984).  
The Ronald Reagan Presidential Library.
44. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (01.01.1985-03.31.1985).  
The Ronald Reagan Presidential Library.
45. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (01.01.1986-08.20.1986).  
The Ronald Reagan Presidential Library.
46. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (04.01.1984-04.15.1984).  
The Ronald Reagan Presidential Library.
47. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (04.01.1985-04.16.1985).  
The Ronald Reagan Presidential Library.
48. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (04.16.1984-06.25.1984).  
The Ronald Reagan Presidential Library.
49. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (04.17.1985-09.30.1985).  
The Ronald Reagan Presidential Library.
50. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (06.26.1984-06.30.1984).  
The Ronald Reagan Presidential Library.
51. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (07.01.1984-12.31.1984).  
The Ronald Reagan Presidential Library.
52. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (08.21.1986-12.31.1986).  
The Ronald Reagan Presidential Library.
53. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (10.01.1985-12.31.1985).  
The Ronald Reagan Presidential Library.
54. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (1983). The Ronald Reagan  
Presidential Library.
55. Raymond, Walter: Files. Box 11. US-Soviet Public Diplomacy (1987). The Ronald Reagan  
Presidential Library.
56. Ronald Reagan Letter to Michael Bittermann. The White House. 16.09.1985. U.S.-Soviet  
Public Diplomacy: 04.17.1985-09.30.1985. The Ronald Reagan Presidential Library.
57. Soviet Elites Split over U.S. Policy and Other Foreign-Affairs Issues: Results of Surrogate  
Interviews. U.S. Information Agency: Office of Research, Soviet and East European

- Branch. Prepared by: Richard B. Dobson and Steven A. Grant. 12.1986. The Ronald Reagan Presidential Library.
58. Speechwriting Office of, Robinson, Peter: Files. Box 10. Address: Conference on U.S. Advisory Commission on Public Diplomacy, 09.16.1987. The Ronald Reagan Presidential Library.
59. Speechwriting, Office of: Research Office: Records. Box 340. 09.16.1987. US Advisory Commission on Public Diplomacy (1)-(4). The Ronald Reagan Presidential Library.
60. Speechwriting, Office of: Research Office: Records. Box 341. 09.16.1987. US Advisory Commission on Public Diplomacy (5)-(9). The Ronald Reagan Presidential Library.
61. Speechwriting, Office of: Speech Drafts: Records. Box 350. Conference of U.S. Advisory Commission on Public Diplomacy (Robinson) (Itchon). 09.16.1987 (1)-(4). The Ronald Reagan Presidential Library.
62. Statement of Edwin J. Feulner, Jr. Chairman, United States Advisory Commission on Public Diplomacy Before the Subcommittee on International Operations. House of Representatives. 16.07.1986. The Ronald Reagan Presidential Library.
63. The Geneva and Reykjavik Summits 1986: The Geneva and Reykjavik Summits. 17.11.1986. Ian Brzezinski to Ty Cobb. The Ronald Reagan Presidential Library.
64. United States Information Agency 25.01.1985. Charles Z. Wick's Letter to Leonid M. Zamyatin. The Ronald Reagan Presidential Library.

## ბ) დოკუმენტები

65. აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. 01.09.2009. <http://natoinfo.freetzi.com/aSS-saqartvelos%20qartia.pdf> (მოძიებულია 08.07.2019)
66. კინწურაშვილი, თამარ (რედ.). ანტიდასავლური პროპაგანდა: მედია მონიტორინგის ანგარიში 2014-2015. მედიის განვითარების ფონდი. 2016. <http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/15/file/Antidasavluri-GEO-web.pdf> (მოძიებულია 05.29.2018)
67. კინწურაშვილი, თამარ (რედ.). ანტიდასავლური პროპაგანდა: მედია მონიტორინგის ანგარიში 2016. მედიის განვითარების ფონდი. 2017.

[http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavluri-GEO-web\\_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavluri-GEO-web_(1).pdf)

(მოძიებულია 05.29.2018)

68. კინწურაშვილი, თამარ (რედ.). ანტიდასავლური პროპაგანდა: ანგარიში, 2017. მედიის განვითარების ფონდი. 2018.  
[https://www.scribd.com/document/378996962/Anti-Dasavluri-Propaganda-2017-GEO#from\\_embed](https://www.scribd.com/document/378996962/Anti-Dasavluri-Propaganda-2017-GEO#from_embed) (მოძიებულია 05.29.2018)
69. კინწურაშვილი, თამარ (რედ.). ანტიდასავლური პროპაგანდა: ანგარიში, 2018. მედიის განვითარების ფონდი. 2019.  
<http://mdfgeorgia.ge/uploads/library/119/file/AntiWest-2018-GEO.pdf> (მოძიებულია 18.07.2019)
70. პატარიძე, მარიამ. კვლევა: “რუსული სამყარო” საქართველოში”. მედიის განვითარების ფონდი. 2019.  
[http://mdfgeorgia.ge/uploads/library/117/file/%E2%80%9Crusuli\\_samyaro%E2%80%9D\\_saqarTveloSi.pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/117/file/%E2%80%9Crusuli_samyaro%E2%80%9D_saqarTveloSi.pdf) (მოძიებულია 03.06.2019)
71. საკომუნიკაციო სტრატეგია: 2017-2020. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. [https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/strategia\\_geo.pdf](https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/strategia_geo.pdf) (მოძიებულია 05.06.2019)
72. სალომე ზურაბიშვილი: საქართველო-ევროკავშირი: გაწევრიანება სახელის გარეშე? საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. 25.01.2019.  
<https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/interviuebi/salome-zurabishvili-saqartvelo%E2%80%93evrokavshiri-gacevr.aspx> (მოძიებულია 03.06.2019)
73. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტი. <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/TAD-GEO.pdf> (მოძიებულია 08.03.2018)
74. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020. <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf> (მოძიებულია 08.03.2018)
75. საქართველოს მთავრობის განკარგულება №765. სტრატეგია ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლებისთვის. 04.13.2017.  
[http://gov.ge/files/468\\_61619\\_878311\\_765.pdf](http://gov.ge/files/468_61619_878311_765.pdf) (მოძიებულია 03.06.2019)
76. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. გიორგი მარგველაშვილი



- რუსულ პროპაგანდასთან გასამკლავებლად საჭიროა საერთაშორისო პარტნიორებისა და ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია. 05.14.2018.  
<https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/%E2%80%8Bgiorgi-margvelashvili-rusul-propagandastan-gasamk.aspx> (მოძიებულია 05.25.2018)
77. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. გიორგი მარგველაშვილი – რუსული პროპაგანდის გასაბათილებლად საჭიროა საზოგადოების, ხელისუფლების და პარტნიორი ქვეყნების ერთიანი მიდგომის არსებობა. 04.11.2017.  
<https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/%E2%80%8Bgiorgi-margvelashvili-rusuli-propagandis-gasabati.aspx> (მოძიებულია 05.02.2018)
78. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. პრეზიდენტის საერთაშორისო კონფერენციის სადისკუსიო პანელზე. 26.03.2015.  
<https://www.president.gov.ge/ka-GE/pressamsakhuri/siakhleebi/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%90.aspx>  
 (მოძიებულია 25.02.2018)
79. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თბილისის საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. 12.09.2017.  
<https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentma-giorgi-margvelashvilma-tbi.aspx> (მოძიებულია 20.02.2018)
80. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება. 03.02.2016.  
<https://www.president.gov.ge/geo/prezidenti/cliuri-mokhseneba/2016-clis-saparlamento-mokhseneba.aspx> (მოძიებულია 12.01.2018)

81. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx> (მოდირებულია 08.03.2018)
82. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2015-2018. <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx?lang=ka-GE> (მოდირებულია 08.03.2018)
83. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022. <http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx> (მოდირებულია 22.07.2019)
84. Brinkley, Douglas (Ed.). *The Reagan Diaries*. New York: Harper Perennial, 2009. PDF.
85. Bureau of Public Affairs, U.S. Department of State. "Soviet Active Measures: Forgery, Disinformation, Political Operations". Special Report No.88. October, 1981. PDF. <http://insidethecoldwar.org/sites/default/files/documents/Soviet%20Active%20Measures%20Forgery,%20Disinformation,%20Political%20Operations%20October%201981.pdf> (მოდირებულია 10.25.2017)
86. Carter, Jimmy. *The Public Papers of Jimmy Carter: 1977 (In two books). (Book 1)*. Digital Library Production Service (DLPS), 270. <http://quod.lib.umich.edu/p/ppotpus/4732130.1977.001/288?rgn=full+text;view=image> (მოდირებულია 06.18.2016)
87. International Communication Agency. "Report on Project Truth: USICA". July 20, 1982. <https://archive.org/details/ProjectTRUTH/page/n4> (მოდირებულია 15.06.2019)
88. International Republican Institute. "Public Opinion Survey: Residents of Georgia, April 10-22, 2018". [http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29\\_georgia\\_poll\\_presentation.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2018-5-29_georgia_poll_presentation.pdf) (მოდირებულია 06.01.2018)
89. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a March 2011 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Survey-Results-0411.pdf> (მოდირებულია 02.07.2018)

90. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of an April 2010 Survey". [https://www.ndi.org/sites/default/files/April-2010-Media-Presentation-Final\\_ENG.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/April-2010-Media-Presentation-Final_ENG.pdf) (მომიებულია 02.07.2018)
91. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a July 2010 Survey". [https://www.ndi.org/sites/default/files/July-2010\\_FINAL-media-Presentation\\_ENG.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/July-2010_FINAL-media-Presentation_ENG.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
92. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a March 2011 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Survey-Results-0411.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
93. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a March 2011 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Survey-Results-0411.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
94. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a February 2012 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Survey-Results-0212.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
95. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a June 2012 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-NDI-survey-update-June2012-ENG.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
96. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a November 2012 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Nov-2012-Survey-ENG.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
97. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a June 2013 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-Georgia-Survey-June-2013-ENG.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
98. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a September 2013 Survey". [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-Georgia-September-2013-survey-Issues\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-Georgia-September-2013-survey-Issues_ENG_vf.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
99. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a November 2013 Survey". <https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Public-Attitudes-Poll-121813-ENG.pdf> (მომიებულია 02.05.2018)
100. National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of an April 2014

- Survey”. [https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia\\_April\\_2014\\_Survey\\_English.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia_April_2014_Survey_English.pdf)  
(მომიებულია 02.05.2018)
- 101.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of an August 2014 Survey”. [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_Georgia\\_August-2014-survey\\_Public-Issues\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_Georgia_August-2014-survey_Public-Issues_ENG_vf.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 102.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of an April 2015 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_ENG\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_ENG_VF_0.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 103.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of an August 2015 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_August\\_2015%20survey\\_Public%20Issues\\_ENG\\_VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_August_2015%20survey_Public%20Issues_ENG_VF.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 104.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of a November 2015 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_Winter%20poll\\_2015\\_Public%20presentation\\_ENG\\_version%20FINAL\\_0.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_Winter%20poll_2015_Public%20presentation_ENG_version%20FINAL_0.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 105.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of a March 2016 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_March%202016%20poll\\_Public%20Issues\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_Public%20Issues_ENG_vf.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 106.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of a June 2016 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_June\\_2016%20poll\\_Public%20Issues\\_ENG\\_VFF%20%281%29.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_ENG_VFF%20%281%29.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 107.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of a November 2016 Survey”.  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_November%202016%20poll\\_Issues\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_ENG_vf.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 108.National Democratic Institute. “Public Attitudes in Georgia: Results of an April 2017 Survey”.

- [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_April%202017\\_Foreign%20Affairs\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_April%202017_Foreign%20Affairs_ENG_vf.pdf) (მომიებულია 02.05.2018)
- 109.National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a June 2017 Survey".  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_june%202017\\_ISSUES\\_ENG\\_VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_june%202017_ISSUES_ENG_VF.pdf)  
(მომიებულია 02.05.2018)
- 110.National Democratic Institute. "Public Attitudes in Georgia: Results of a December 2017 Survey".  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_December%202017\\_ISSUES\\_ENG\\_vf.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_ENG_vf.pdf) (მომიებულია 05.01.2018)
- 111.National Democratic Institute/ "Public Attitudes in Georgia: Results of a March 2018 Survey".  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_March\\_2018\\_Public%20Presentation\\_English\\_final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf) (მომიებულია 05.01.2018)
- 112.Open World Leadership Center: 2017 Annual Report.  
[https://www.openworld.gov/sites/default/files/2017\\_OW\\_AnnualReport\\_final.pdf](https://www.openworld.gov/sites/default/files/2017_OW_AnnualReport_final.pdf)  
(მომიებულია 08.07.2019)
- 113.Pammet, James, Howard Nothhaft, Henrik Agardh-Twetman, and Alicia Fjällhed. Countering Information Influence Activities: The State of the Art, version 1.4. Research Report. July 1, 2018. Department of Strategic Communication, Lund University.  
<https://www.msb.se/RibData/Filer/pdf/28697.pdf> (მომიებულია 18.07.2019)
- 114.Panjikidze, Maia. "Foreign Policy Priorities of Georgia, Sasakawa Peace Foundation". 22.05.2013. <http://www.spf.org/smeif/news/dbfiles/464236f9615.pdf> (მომიებულია 08.03.2018)
- 115.Reagan Library Topic Guide – Public Diplomacy. Ronald Reagan Presidential Library. PDF.  
<https://www.reaganlibrary.gov/sites/default/files/archives/textual/topics/publicdiplomacy.pdf> (მომიებულია 03.15.2019)
- 116.Reagan, Ronald. "Address to the Nation and Other Countries on United States-Soviet Relations," January 16, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39806>

(მოდებულა 10.05.2017)

- 117.Reagan, Ronald. "Letter Accepting the Resignation of David R. Gergen as Assistant to the President for Communications." January 16, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39850>. (მოდებულა 05.10.2017)
- 118.Reagan, Ronald. "Message to the Speaker of the House of Representatives and the President of the Senate Transmitting the Fiscal Year 1988 Budget ," January 5, 1987. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=34163>. (მოდებულა 10.05.2017)
- 119.Reagan, Ronald. "Remarks and a Question-and-Answer Session at a World Affairs Council Luncheon in Los Angeles, California." October 28, 1988. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=35084>. (მოდებულა 10.05.2017)
- 120.Reagan, Ronald. "Remarks at a Fund-raising Luncheon for Senator Don Nickles in Oklahoma City, Oklahoma ," June 5, 1985. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=38731>. (მოდებულა 10.05.2017)
- 121.Reagan, Ronald. "Remarks at a New York Republican Party Fund-raising Dinner." March 6, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39603>. (მოდებულა 10.05.2017)
- 122.Reagan, Ronald. "Remarks at a Republican Campaign Rally in Springfield, Missouri." October 27, 1988. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=35081>. (მოდებულა 10.05.2017)
- 123.Reagan, Ronald. "Remarks at a White House Briefing for Senior Staff on the Congressional and Gubernatorial Election Results ," November 5, 1986. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=36695>. (მოდებულა 10.05.2017)
- 124.Reagan, Ronald. "Remarks at the 40th Anniversary Conference of the United States Advisory Commission on Public Diplomacy." September 16, 1987. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project.

- <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=34799>. (მომიებულია 10.05.2017)
- 125.Reagan, Ronald. "Remarks at the Swearing-In Ceremony for George P. Shultz as Secretary of State ." July 16, 1982. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=42739> (მომიებულია 19.10.2017)
- 126.Reagan, Ronald. "Remarks Following a Meeting With Republican Members of Congress and Congressional Candidates," October 4, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39187>. (მომიებულია 10.05.2017)
- 127.Reagan, Ronald. "Remarks on Soviet-United States Relations at the Town Hall of California Meeting in Los Angeles." The American Presidency Project. Gerhard Peters and John T Woolley. August 26, 1987. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=34736&st=power&st1> (მომიებულია 19.10.2017)
- 128.Reagan, Ronald. "Remarks to Employees at a Rockwell International Facility in Palmdale, California," October 22, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39298>. (მომიებულია 10.05.2017)
- 129.Reagan, Ronald. "Statement on the Observance of National Peace Through Strength Week ," September 22, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=40428>. (მომიებულია 10.05.2017)
- 130.Reagan, Ronald. "The President's News Conference Following the Soviet-United States Summit Meeting in Moscow." The American Presidency Project. Gerhard Peters and John T Woolley. June 01, 1988. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=35903&st=cultural+exchange&st1> (მომიებულია 19.10.2017)
- 131.Reagan, Ronald. "Address to Members of the British Parliament". June 8, 1982. <https://www.reaganlibrary.archives.gov/archives/speeches/1982/60882a.htm> (მომიებულია 19.10.2017)
- 132.Reagan, Ronald. "National Security Decision Directive Number 238: Basic National

- Security Strategy”. The White House: September 2, 1986. PDF.
- 133.Reagan, Ronald. “National Security Decision Directive Number 32: U.S. National Security Strategy”. The White House: May 20, 1982. PDF.
- 134.Reagan, Ronald. “National Security Decision Directive Number 77: Management of Public Diplomacy Relate to National Security”. The White House: January 14, 1983. PDF.
